№301 (12 371) 25 დეკემბერი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი



## მოურინიო მილანში მიდის და ჩელსიდან დროგბა მიჰყავს

ფრანს ფუტბოლის ვერსია 6



მიუნხენის ბაიერნი: 7

## ჰიტცფელდს ვან ბასტენი შეცვლის?



## ველით ღვინიანიძეს! 5

გიორგი შაშიაშვილის შეგონება:

# ნუ წახვალთ უკრაინასა და რუსეთში!

გიორგი შაშიაშვილი ერთადერთი ქართველი ლეგიონერია, რომლის გუნდმაც ამ სეზონის პირველი წრე პირველი ადგილით ჩაამთავრა - გრაცის „შტურმი" ავსტრიის ჩემპიონატის ლიდერია. 28 წლის შაშიაშვილს „შტურმამდე" ოდესის „ჩერნომორეცში" და ვლადიკავკაზის „ალანიაში" უთამაშია, საქართველოში კი თბილისის „დინამოში" წარმოჩინდა.
შაშიაშვილი ძალიან მოსწონდა იოჰან ბოსკამპს და ყველა იმ მწვრთნელს, რომელიც „დინამოს" თავკაცობდა.
ის, ასე ვთქვათ, კლასიანი მცველია, ტექნიკური, ორივე ფეხით კარგად მოთამაშე, დაფიქრებული და სწრაფი.
აბა, გაიხსენეთ, ვინ გაუტანა გოლი გასულ შესარჩევში იტალიას - შაშიაშვილმა ერთი მეტოქე მოხდენილად ჩამოიცილა და ცაციათი აუღებელი დაურტყა ჯანლუიჯი ბუფონს.

3





## იტალიით დაწყება და დამთავრება კარგი ვარიანტია

ინტერვიუ ლადო ბურდულთან

4

## მენთეშაშვილის არჩევანი: ვენტსპილსი ბოლოა

2



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ზურაბ მენთეშაშვილთან

# არც კაიზერსლაუტერნი და ჯერ არც სხვა

## ვენტსპილსი ბოლო ვარიანტია



საქართველოს ნაკრების ნახევარმცველების, ლევან ცქიტიშვილისა და ზურაბ მენთეშაშვილის „კაიზერსლაუტერნში“ გადასვლის საკითხი რამდენიმე კვირის წინათ დადგა დღის წესრიგში. ორივე მათგანი გერმანელებმა თავიანთ კლუბში მიიწვიეს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს და კიეტილ რეკდალის გუნდში რამდენიმე ვარჯიშიც ჩაატარეს. პარალელურად კი მომავალი კონტრაქტის პირობებზე კლუბის ხელმძღვანელობასთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. მხარეები ყველა პირობაზე მორიგდნენ, მაგრამ „ლაუტერნს“ საკმარისი თანხა არ აღმოაჩნდა და ქართველთა ტრანსფერები რეალურად აღმოჩნდა ჩაშლის საფრთხის ქვეშ. თუმცა რამდენიმე დღეში ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა. „კაიზერსლაუტერნმა“ ახალი სპონსორი გამონახა და შესაბამისად თანხებიც გაჩნდა. გერმანელებმაც ცქიტიშვილი და მენთეშაშვილიც 3 იანვარს თავისთან დაიბარეს კონტრაქტების გასაფორმებლად.

ერთი შეხედვით ამ ტრანსფერებს აღარაფერი ემუქრებოდა, მაგრამ „კაიზერსლაუტერნიდან“ ამავე კლუბის ან უკვე ყოფილი საპატიო სპორტული მრჩევლის, კლაუს ტოპმიოლერის წასვლა ფეხბურთელებისთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო. ცქიტიშვილისა და მენთეშაშვილის საქმე აირია - მათი „კაიზერსლაუტერნში“ გადასვლა გამოირიცხა.

ლევან ცქიტიშვილთან დაკავშირება გუშინ ვერაფრით მოვახერხეთ, თუმცა მასთან დაახლოებულმა პირმა ჩვენს მიერ მოპოვებული ცნობა დაგვიდასტურა - ლევანის გადასვლა „კაიზერსლაუტერნში“ ამ სამიოდე დღის წინ გამორიცხა. ცქიტიშვილს ამჟამად სხვა წინადადება არ აქვს და მის სატრანსფერო ვარიანტებზე აგენტი აქტიურად მუშაობს.

რაც შეეხება ზურაბ მენთეშაშვილს, ისიც თბილისშია და გუშინ გავესაუბრეთ მომხდარზე და სამომავლო პერსპექტივაზე.

- დიახ, სამწუხაროდ ასეა, „კაიზერსლაუტერნში“ ჩემი და ლევან ცქიტიშვილის გადასვლა უკვე გამორიცხულია.

**- კი, მაგრამ ამ კლუბის ხელმძღვანელობას სატრანსფერო პირობებზე უკვე შეუთანხმდით და 3 იანვარს გერმანიაში გელოდნენ. მაშ რატომ ჩაიშალა ტრანსფერი, რა იყო ამისი მიზეზი?**

- ტრანსფერის ჩაშლის მიზეზი „კაიზერსლაუტერნიდან“ კლაუს ტოპმიოლერის წასვლაა. კარგად გამიგეთ, თავად ტოპმიოლერი არაფერ შუაშია. პირიქით მისი დიდად მადლიერები ვართ, რომ სწორედ მან შეგვარჩია გუნდის გასაძლიერებლად. „ლაუტერნიდან“ ტოპმიოლერი წამოვიდა და ჩვენც აღარ მივდივართ გუნდში, რომელიც მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნის კანდიდატია.

**- ყველაფერი კარგად რომ ყოფილიყო, გერმანელები საიჯარო კონტრაქტს გაგიფორმებდნენ?**

- არა, ჩემ გამოსყიდვაზე „ლაუტერნს“ „შინიკთან“ ჰქონდა საუბარი და კლუბებმა შეთანხმებასაც მიაღწიეს.

**- ახლა რას აპირებ?**

- საახალწლო შვებულებით თბილისში ვარ, ვისვენებ და სხვა ვარიანტს ველოდები.

**- მაინც სად აპირებ კარიერის გაგრძელებას?**

- მართალი გითხრათ, ამ ეტაპზე არც ერთი ვარიანტი არ მაქვს. ჩემს ტრანსფერზე აგენტები მუშაობენ და იმედი მაქვს, გუნდსაც გამომინახავენ.

**- „ვენტსპილსთან“ შენი საიჯარო კონტრაქტის ვადა ამოიწურა და ისევ „შინიკის“ უფლებებში ხარ. იაროსლაველთა გუნდში თამაშს არ აპირებ?**

- არა, „შინიკში“ დაბრუნება არ მინდა.

**- რატომ?**

- ვიცი, ამ გუნდში საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი არ მომეცემა.

**- ასე რატომ ფიქრობ?**

- იაროსლაველებმა ტრანსფერზე დამაყენეს. ჩემზე სრული წარმოდგენა რომ ჰქონოდათ, მაშინ ასე არ მოიქცეოდნენ.

**- ვიცით, რომ „ვენტსპილსს“ უნდა შენთან საიჯარო კონტრაქტის გაგრძელება...**

- ლატვიაში ჩემი განათხოვრების ვადა ამოიწურა, „ვენტსპილსში“ ყველას დავემშვიდობე და წამოვედი. ვიცი, რომ ამ გუნდს მართლაც უნდა ჩემი შენარჩუნება. თუმცა ისიც ფაქტია, რომ უკეთეს კლუბში მინდა თამაში. ეს შემიძლია და ვიმსახურებ კიდეც.

**- ე.ი. „ვენტსპილსში“ დაბრუნებას გამორიცხავ?**

- არა, არ გამოვრიცხავ, მაგრამ უკეთეს გუნდსა და ლიგაში მინდა თამაში და „ვენტსპილსს“ საბოლოო ვარიანტად განვიხილავ.

**- „ვენტსპილსი“ ლატვიის ჩემპიონია და ამ გუნდის რიგებში თანამეგობრობის თასზეც იასპარეზებ?**

- გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ის კი ცხადია, რომ თანამეგობრობის ტურნირის დაწყებამდე მინდა ახალი და უკეთესი გუნდის მოძებნა.

**- ლიტველებთან მატჩი ტრავმის გამო ვერ ჩაამთავრე. ახლა როგორ გრძნობ თავს?**

- ახლა ბევრად უკეთ ვარ. შეიძლება ითქვას, რომ უკვე გამოვჯანმრთელდი. ფორმის აღდგენაც არ გამიჭირდება. მთავარია ახალი და კარგი გუნდი მალე გამომიჩნდეს და მერე მე ვიცი.

**დავით ცაბაძე**

# მუჯირი კრილიას ამბიციებზეა დამოკიდებული

## სამარელთა მწვრთნელი ქართველს დაელაპარაკა



„მოსკვას“ ყოფილმა მწვრთნელმა ლეონიდ სლუცკიმ „კრილია სოვეტოვთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

დანიშვნის შემდეგ მან განაცხადა, რომ კლუბში წამყვანი ფეხბურთელების ნაწილის დატოვება სურს და ამის შესახებ მათ უკვე ესაუბრა. დასახელებულთა შორის ქართველი ფლეიმეიკერი **დათო მუჯირიც** ახსენა.

*„წინასწარი მოლაპარაკებები უკვე გავმართე მეტიუ ბუტთან, დავით მუჯირთან, ანტონ ბობერთან და უკვე შემიძლია გითხრათ, რომ ისინი კლუბში რჩებიან“* - განაცხადა სლუცკიმ.

როგორც ცნობილია, კლუბიდან წასვლის სურვილი თავად მუჯირს ჰქონდა, მოლაპარაკებებიც ჰქონდა და გვითხრა კიდეც, რომ დეკემბრის ბოლომდე ბევრი რამ გაირკვეოდა.

*„გუნდთან კონტრაქტი ჯერ კიდევ არ დასრულებულა და მე არსადაც არ წავსულვარ. წესით, ამის საბაბი არც უნდა მქონდეს. სლუცკი კი მართლა დამელაპარაკა, რადგან ახლად დანიშნული მწვრთნელია და საქმიანი ურთიერთობა მაქვს. გეტყვით, რაც ხდებოდა: ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თავად „კრილია სოვეტოვი“ ახალი სეზონიდან რამდენად ამბიციური კლუბი იქნებოდა. როგორც სლუცკიმ მითხრა, სერიოზული გაძლიერება იგეგმება, აქედან გამომდინარე, წასვლის საბაბი არ გამაჩნია. თუმცა იანვარში ყველაფერი უფრო ნათლად გამოჩნდება, კლუბის ხელმძღვანელობის დაპირებები რეალურია თუ არა“*, - ასეთი კომენტარი გააკეთა გუშინ „ლელოსთან“ საუბრისას დათო მუჯირმა.

**მერაბ მამულაშვილი**

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახმახ იანკერთან ნაჩხუბარი

## შეგონება ქართველ ჯეელებს: ნუ წახვალთ უკრაინა-რუსეთში

### როგორ ჯაბნის შტურმი ათჯერ მდიდარ მეტოქეებს

**გიორგი შაშიაშვილი** ერთადერთი ქართველი ლეგიონერია, რომლის გუნდმაც ამ სეზონის პირველი წრე პირველი ადგილით ჩაამთავრა - გრაცის „შტურმი" ავსტრიის ჩემპიონატის ლიდერია.

28 წლის შაშიაშვილს „შტურმამდე" ოდესის „ჩერნომორეცში" და ვლადიკავკაზის „ალანიაში" უთამაშია, საქართველოში კი თბილისის „დინამოში" წარმოჩინდა.

შაშიაშვილი ძალიან მოსწონდა იოჰან ბოსკამპს და ყველა იმ მწვრთნელს, რომელიც „დინამოს" თავკაცობდა.

ის, ასე ვთქვათ, კლასიანი მცველია, ტექნიკური, ორივე ფეხით კარგად მოთამაშე, დაფიქრებული და სწრაფი.

აბა, გაიხსენეთ, ვინ გაუტანა გოლი გასულ შესარჩევში იტალიას - შაშიაშვილმა ერთი მეტოქე მოხდენილად ჩამოიცილა და ცაცია აულებელი დაურტყა ჯანლუიჯი ბუფონს.

გიორგი გუშინ რედაქციაში ვისტუმრეთ და ცხადია, მეტწილად „შტურმის" ამბებზე ვესაუბრეთ.

ის „შტურმში" ზაფხულში გადავიდა, ავსტრიელებმა შაშიაშვილი ოდესის „ჩერნომორეცისგან" გამოისყიდეს, თუმცა წინა სეზონის მეორე წრე გიორგიმ განათხოვრებით „დინამო თბილისში" ითამაშა.



გიორგი შაშიაშვილი და საბა ადამაშვილი

**- ალბათ კმაყოფილი ხარ „შტურმში" თამაშით. ყველაფერი კარგად წაგივიდა და გუნდიც პირველ ადგილზეა.**

- ავსტრიელები საფეხბურთო მეურნეობაში ყველაფერში გერმანელებს ბაძავენ, ლიგასაც T-mobile ბუნდესლიგა დაარქვეს, ავსტრიული ბუნდესლიგის მიმოხილვა ძალიან ჰგავს გერმანული ბუნდესლიგის მიმოხილვას და საერთოდ, პატარა თუ დიდი ნიუანსი იქნება, ავსტრიელები ყველაფერს ბუნდესლიგას ამსგავსებენ. რაც შეეხება „შტურმს", სეზონის წინ კლუბის ხელმძღვანელობას დიდი მიზნები ჩვენთვის არ დაუსახავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც პირველი ხუთი ტური წაუგებლად ვითამაშეთ, გვითხრეს, რომელიმე ევროტურნირის საგზურისთვის უნდა ვიბრძოლოთო. პირველი წრის ბოლოს ძალიან პრინციპული თამაშები გვქონდა - „ვენას" სტუმრად მოვუგეთ, „ზალცბურგს" კი 1:1 ვეთამაშეთ. ამ გუნდს ჯოვანი ტრაპატონი წვრთნის და მიუნხენის „ბაიერნის" ორი ყოფილი ფეხბურთელი ჰყავს - ნიკო კოვაჩი და ალექსანდერ ციკლერი. პირველი წრის ბოლოს ჩვენ, „ზალცბურგს" და „ვენას" ერთნაირი ქულები დაგვიგროვდა, თუმცა ბურთების უკეთესი შეფარდებით პირველ ადგილზე ჩვენ ვართ.

**- „შტურმში" შენი ტრანსფერი როგორ გაიჩარხა?**

- ჩემმა აგენტმა მამუკა კელაურაძემ „შტურმის" საიტზე ამოიკითხა, რომ მცველი სჭირდებოდათ და ჩემი თავი შესთავაზა. ავსტრიელები ჩემს CV-ს ჩაეძივნენ, ჩემს თაობაზე აზრი კლაუს ტოპმიოლერს და ყოფილ შტურმელ დავით მუჯირს ჰკითხეს და ასე აღმოვჩნდი მათთან.

**- „შტურმის" მწვრთნელზე რას იტყოდი?**

- ფრანკო ფოდა გერმანელი გახლავთ, კლაუს ტოპმიოლერის გაწვრთნილ„კაიზერსლაუტერნში" უთამაშია და კიდევ სხვადასხვა გერმანულ გუნდებში. რა თქმა უნდა, პირველ წრეში საუკეთესოები რომ გავხდით, ეს მწვრთნელის ფაქტორმაც მნიშვნელოვნად განაპირობა.

**- შენს თამაშზე რას იტყოდი, კმაყოფილი ხარ საკუთარი თავით?**

- მე და 21 წლის სებასტიან პროდლი ავსტრიაში პირველი წრის საუკეთესო მცველთა დუეტად დაგვასახელეს. ჩემთვის ისიც სასიხარულოა, რომ 23 თამაშიდან 22-ში სრულად ვითამაშე. ჩემი თამაშით ყველა კმაყოფილი დარჩა. ოთხ თამაშში მარცხენა მცველი ვიყავი, დანარჩენში - ცენტრალური. „შტურმმა" პირველ წრეში ყველაზე ცოტა გოლი გაუშვა და სხვათა შორის ყველაზე მეტიც გაიტანა.

**- გრაცი რამდენად არის საფეხბურთო ქალაქი?**

- ჩვენი სტადიონი 16 ათასს იტევს და „შტურმის" საშინაო მატჩებზე მინიმუმ 12 ათასი გულშემატკივარი მოდის, გასვლით მატჩებზე კი 3-4 ათასი ფანი დაგვყვება. მოკლედ, გრაცში ძალიან კარგი საფეხბურთო ატმოსფეროა.

**- წლეულს უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამო" ავსტრიულ „რაპიდს" გაეჯიბრა და დამარცხდა (0:3, 0:5) - რა რეზონანსი ჰქონდა „დინამოს" და „რაპიდის" დაპირისპირებას?**

- რა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ „შტურმამდე" „დინამოში" ვთამაშობდი და ამ თამაშზე ჟურნალისტებიც მეკითხებოდნენ. რაც შემეძლო დიდი რეკლამა გავუკეთე „დინამოს" - ახალგაზრდული, შეტევაზე ორიენტირებული გუნდია და „რაპიდს" ძალიან ძნელი ბრძოლა ელის, განსაკუთრებით თბილისში-მეთქი, მაგრამ, რაც მოხდა, ყველამ კარგად იცით. სხვათა შორის, ჩვენმა მწვრთნელმა მითხრა, ალბათ შენთვისაც კარგი იქნება, თუ „შტურმში" კიდევ ერთი ქართველი ითამაშებს და რომელიმე დინამოელის აყვანას ხომ არ მირჩევდიო. ფოდა „რაპიდი"-"დინამოს" (5:0) დაესწრო ვენაში და იქიდან რომ ჩამოვიდა გაბრაზებული იყო, ერთი ვარჯიში ტყუილად გამაცდენინე, ეს სად გამიშვიო. იმ მომენტში „დინამო" მართლაც სუსტად გამოიყურებოდა, მაგრამ მერე მოუმატა თამაშს - გრაცში ქართული ტელეარხები გვაქვს და „დინამოს" ბოლო რამდენიმე თამაშს ვუყურე. ახლა რომ ითამაშონ „დინამომ" და „რაპიდმა", ვფიქრობ ,დინამოელები მაგარ ბრძოლას გაუმართავენ მეტოქეს. „რაპიდს" კი „დინამოსთან" მატჩის (5:0) შემდეგ შევხვდით და 5:1 მოვუგეთ.

**- „შტურმში" ყველაფერი კარგად წაგივიდა. პირველ წრეში არანაირი უსიამოვნება არ გქონია?**

- „მატერსბორგთან" მატჩში ვიჩხუბე, თანაც ორმეტრიან კარსტენ იანკერთან. 1:1 იყო, მატჩის ბოლოს გავიტანეთ გოლი და 2:1 გავხადეთ. კარსტენი ძალიან განერვიულებული იყო და ძალიან მეუხეშა, მეც ვერ მოვითმინე და... საბოლოოდ მსაჯმა ორივეს ყვითელი ბარათი გვიჩვენა.

**- ავსტრიაში ყველაზე შეძლებული კლუბი რომელია?**

- „ზალცბურგის" წლიური ბიუჯეტი 60 მილიონი ევროა. თითქმის ასეთივე ფინანსური რესურსი აქვთ „ვენას" და „რაპიდს", „შტურმს" კი „ზალცბრუგთან" შედარებით დაახლოებით ათჯერ ნაკლები წლიური ბიუჯეტი აქვს.

**- ავსტრიული ბუნდესლიგის საუკეთესო მოთამაშედ ვინ მიგაჩნია?**

- პირველი წრის ბომბარდირი „შტურმის" 31 წლის ფორვარდი მარიო ჰასი გახდა და ალბათ საუკეთესოც ის იყო. რაც შეეხება იანკერს, ის ახლა დიდი ვერაფერი ფეხბურთელია, მეორე ექსბაიერნელი ფორვარდი ციკლერი კი ისევ მხნედ გამოიყურება და დიდი მონდომებითაც თამაშობს.

**- „შტურმში" კარგად წარმოაჩინე თავი და იქვეა გერმანია - არის იმის პერსპექტივა, რომ გერმანიაში წახვალ სათამაშოდ?**

- 2009 წლამდე და პლუს ერთი სეზონი - „შტურმთან" ასეთი კონტრაქტი მაქვს და ხელშეკრულების კიდევ ერთი წლით გახანგრძლივებას მთავაზობენ - 2010 წლამდე და პლუს ერთი. მაქვს სხვაგან წასვლის ვარიანტებიც, მაგრამ მანამდე ძალიან მინდა ავსტრიული ტიტულის მოგება. ავსტრიაში ერთი ინგლისელი აგენტი იყო ჩამოსული და ინტერვიუში თქვა, პროდლი-შაშიაშვილის დუეტით ინგლისში დაინტერესებულნი არიანო. პროდლის კონკრეტული შემოთავაზებაც აქვს, მაგალითად, ბრემენის „ვერდერი" მასში სამ მილიონ ევროს იხდის.

**- T-mobile და გერმანიის მეორე ბუნდესლიგას ერთმანეთში როგორ შეადარებდი?**

- თუ მეორე ბუნდესლიგის მოწინავე გუნდი მიმიწვევს, ალბათ წავალ. მეორე ბუნდესლიგის მატჩებს უფრო მეტი მაყურებელი ესწრება. „შტურმი" რომ მეორე ბუნდესლიგაში თამაშობდეს, ცხრილის შუაში ან ცოტა მაღლა იქნებოდა.

**- შეიძლება ითქვას, რომ 28 წლის გიორგი შაშიაშვილმა საკუთარი თავი „შტურმში" იპოვა?**

- მითამაშია რუსეთშიც და უკრაინაში. რუსეთში ევროპულისგან განსხვავებული,სულ სხვა მენტალიტეტია, „ჩერნომორეცში" კი ისეთი უაზრო ვარჯიშები გვქონდა, ბურთს სულ ორჯერ თუ შევეხებოდი, დავალებებიც ისეთი იყო, რომელიც შეუსაბამო იყო ცენტრალური მცველისთვის. მოკლედ, ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს ვურჩევდი, რუსეთის თუ უკრაინის მაღალ ანაზღაურებას გერმანიაში ან სხვა რომელიმე დალაგებულ საფეხბურთო ქვეყანაში შედარებით ნაკლებ ჯამაგირზე თამაში ამჯობინონ.

**დავით თავართქილაძე**

# შტურმის ქართველი ტალანტი

## ფოდა 15 წლის ადამაშვილს გაზაფხულზე ელის

**მამა ალექსი (ადამაშვილი)** ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზი გახლავთ. მას ფეხბურთის გულშემატკივრები და საფეხბურთო სამყარო კარგად იცნობს. სასულიერო პირიც ადამიანია და რა გასაკვირია, მასაც უყვარს ეს თამაში და ისეთი გულშემატკივარია, თბილისის „დინამოსა" და ეროვნული ნაკრების მნიშვნელოვან შეხვედრებს იშვიათად აცდენს.

*„რატომ გიკვირთ ჩემი დაინტერესება. ბავშვობიდან „დინამოს" ვქომაგობდი და რა დამავიწყებს, ერთხელ, პატარა ბიჭს უფროსმა ნოდარ ახალკაცმა თამაშის ბილეთი მაჩუქა და მითხრა, ერთი შენნაირი ბიჭიც წამოიყვანე და ხმამაღლა გვიქომაგეო",*

- ამბობს მამა ალექსი, - *„სხვათაშორის, ქაშვეთის ეკლესია პირველი იყო, რომელიც დამოუკიდებელ ფეხბურთის ფედერაციას ფინანსურად დაეხმარა. დიდმა ნოდარ ახალკაცმა სთხოვა პატრიარქს, ეკლესიის თანადგომა ჩემთვის ყველაზე ძვირფასია და იქნებ, სიმბოლური თანხით შეგვეშველოთ, პირველი პრეცედენტი ეკლესიიდან რომ მოდიოდესო. ჩვენი ეკლესიიდან 100 000 მანეთი ჩავურიცხეთ, რაც 2-3 თვე ფედერაციას ნორმალურად შეინახავდა. უწმინდესმა და უნეტარესმა იცოდა ჩემი დამოკიდებულება ნოდარ ახალკაცის მიმართ და როდესაც ის გარდაიცვალა, წესის ასაგებად მე წამიყვანა."*

ფეხბურთის გულშემატკივარ მოძღვარს მრევლში ბევრი მოთამაშე ჰყავს, **გიორგი შაშიაშვილი, გიორგი ქინქლაძე, ლევან მჭედლიძე** და მთელი მისი ოჯახი, **ზურაბ მენთეშაშვილი, ლაშა ჟაკობია, ვიტალი დარასელია, ლადო ბურდული, დათო გვარამაძე** კი არა მარტო მრევლშია, მამა ალექსის ნათლული და ქაშვეთის სტიქაროსანი გახლავთ.

და რაც ჩვენს შემთხვევაში მთავარია და რის გამოც ეს საუბარი გაიმართა, მამა ალექსის შვილის, **საბა ადამაშვილის** ამბავია. შესაძლოა, მალე მოძღვრის ოჯახის წევრმა დიდ ფეხბურთში შეაბიჯოს. საქართველოს ნაკრების წევრი **გიორგი შაშიაშვილი** ამბობს, 15 წლის საბაზე ავსტრიელები დიდ იმედებს ამყარებენ.

საქმე ისაა, რომ საბა ადამაშვილი, რომელიც საფეხბურთო სკოლა „საბურთალოდან"'თბილისის „დინამოს" აკადემიაში გადავიდა, ავსტრიის ჩემპიონატის დღევანდელმა ლიდერმა, გრაცის „შტურმმა" მიიწვია.

ავსტრიელებთან მარცხენა მცველს რეკომენდაცია გიორგი შაშიაშვილის აგენტმა **მამუკა კელაურაძემ** და **გია ისიანმა** გაუწიეს. „შტურმში" საბას მონაცემებს გაეცნენ და როდესაც ინფორმაციები შეაჯერეს, დარწმუნდნენ, ღირდა ბიჭის გასინჯვა. ოფიციალური მიწვევა გაუგზავნეს და საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობი ქართველი ავსტრიულ გრანდში აღმოჩნდა.

საბა გრაცში 30 ნოემბერს შაშიაშვილთან ერთად ჩაფრინდა. სანამ თემას გავაგრძელებთ, საბა მადლიერებას არ მალავს გიორგის მიმართ, ოჯახში მაცხოვრა, პატარა ძმასავით მიმილო და თან გადამყვაო.

ის ჯერ „შტურმის" 17-წლამდელთა გუნდში ავარჯიშეს, შემდეგ კი გრაცელებმა დუბლებში გასინჯეს.

*„რაც მე იქ ვნახე, წარმოუდგენელი იყო. საოცარი სავარჯიშო პირობები, მოედნები, ფორმები, მოკლედ, ყველაფერი ერთად აღებული. ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ საქმისადმი სრულიად სხვა მიდგომა ვნახე, რაც საქართველოში არ მინახავს. წინასწარ დაგეგმილი იყო 10 დღიანი სავარჯიშო ციკლები, მაგალითად ტრენაჟორებში ვის რა დატვირთვა უნდა მიელო, ვის რამდენი უნდა ერბინა. ყველა ვარჯიში თითოეული მოთამაშისთვის ინდივიდუალურად იგეგმებოდა. ძალიან დიდი განსხვავებაა. გასიჯნვა რომ დასრულდა, მივხვდი, რომ ჩემით დაინტერესდნენ",* - ამბობს საბა.

ორკვირიანი ტესტირება 11 დეკემბერს დასრულდა და მეორე დღესვე საბა თბილისში დაბრუნდა. დეტალურად გიორგი შაშიაშვილი გვესაუბრება, რომელიც ამ გუნდის წევრი და ერთ-ერთი ლიდერია: *„ჩვენი მთავარი მწვრთნელი ფრანკო ფოდა ყველა სხვა დანარჩენი გუნდის დაკომპლექტებასაც წყვეტს. ადრე თავად იყო „შტურმის" საფეხბურთო აკადემიის მთავარი მწვრთნელი. მელაპარაკა, რომ საბას თამაშით ძალიან კმაყოფილი დარჩა. აღნიშნა ფიზიკურად მაგარია და გაოცებული დარჩა, რომ საქართველოში ასეთი კარგი ბავშვები იზრდებიან. ის კი ფეხბურთელში არ ცდება და აკადემიიდან ძირითად გუნდში ამიტომაც დააწინაურეს. თავის დროზე, ტოპმიოლერთან ერთად, „კაიზერსლაუტერნში" თამაშობდა, შემდეგ „შტურმში" და ა.შ. მოკლედ, ძლიერი ფეხბურთელი იყო.*

*საბა გრაცში გაზაფხულს ჩამოვა და ჯერ თავის ასაკის ბიჭებში ივარჯიშებს, მაგრამ ისე მოეწონათ, არაა გამორიცხული, ეგრევე დუბლებში აიყვანონ. რაც თბილისში ვარ, მას შემდეგ ფოდამ ადამაშვილი ორჯერ მოიკითხა. გამოდის, მართლა ძალიან მოეწონა. ერთადერთი პრობლემა მისი პატარა ასაკი და ენის უცოდინრობაა. თუმცა საბა უკვე გააფრთხილეს, რომ გაზაფხულამდე ენა უნდა ისწავლოს."*

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ინტერვიუ ლადო ბურდულთან

# იტალიით დაწყება და დამთავრება კარგი ვარიანტია



**უკრაინული „ზარიას" ნახევარმცველი ლადო ბურდული ქართულ ფეხბურთში ნაცნობი სახეა.** მას ეროვნულ ნაკრებშიც არაერთხელ უთამაშია, მათ შორის კლაუს ტოპმიოლერის ფორმაციის გუნდში. თუმცა ბოლო ხანს ბურდული ტოპმიოლერს ნაკრებში აღარ გამოუძახებია. თავად ლადო თვლის რომ ნაკრებში თამაშს იმსახურებს.

**ზამთრის შვებულებით დროებით სამშობლოში დაბრუნებულ ბურდულს ორიოდე დღის წინათ გავესაუბრეთ.**

**- ლადო, შენი გუნდისა და შენს ასპარეზობას როგორ შეაფასებდი?**

- ნორმალურად, სეზონის პირველი ნახევარი მე-9 ადგილზე ჩავამთავრეთ. გუნდი წინა წელს გასავარდნ ზონაში იყო და ძლივს მოახერხა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. ასე რომ , წლეულს გაცილებით უკეთ ვასპარეზობთ. „ზარიაში" მწვრთნელმა კოსევიჩმა მიმიყვანა. სწორედ მან შეძლო „ზარიას" კარგ გუნდად ჩამოყალიბება. „ზარია" 6 თვის წინათ შეკრებილი კოლექტივია და ამ მოკლე ხანში ასეთი შედეგის ჩვენება კარგ შედეგად ითვლება. სეზონის წინ ზამთრის პაუზამდე ათეულში მოხვედრას ვგეგმავდით. მე-9 ადგილზე ვართ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დასახული მიზანს მივაღწიეთ. ამასთან კონკურენტებზე 1 თამაშით ნაკლები გვაქვს ჩატარებული.

**- ის გამოტოვებული მატჩი რომ მოიგოთ, ზემოთ რამდენად აინაცვლებთ?**

- პირველი 4 გუნდია მომდევნოებისგან ქულებით დაწინაურებული. ის გამოტოვებული მატჩი რომ მოვიგოთ მე-6-ზე თუ არა მე-7-ზე მაინც ავინაცვლებთ.

**- „ზარიაში" კიდევ ერთი ქართველი იყო, გიორგი ციმაკურიძე, მაგრამ კლუბმა მას კონტრაქტი გაუწყვიტა და ახლა თავისუფალი აგენტია. ხომ არ იცი გიორგი სად აპირებს კარიერის გაგრძელებას?**

- მას უკრაინაში რამდენიმე ვარიანტი აქვს. სხვა გუნდებთან ერთად ციმაკურიძის გადაბირება „ტავრიასაც" უნდა და შესაძლოა ციმაკურიძე სიმფეროპოლელთა გუნდშიც კი ვიხილოთ.

**- შენ ხომ არ აპირებ კლუბის შეცვლას?**

- „ზარიასთან" მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს. ამ გუნდში თავს კარგად ვგრძნობ და კლუბის შეცვლაზე ჯერ არ ვფიქრობ. თუმცა თუ კარგი ვარიანტი გამომიჩნდება უარს არ ვიტყვი და „ზარიაც" არ შემაფერხებს.

**- შენს გუნდს ვასო გიგიაძის დამატებაც უნდა.**

- თითქმის გადაწყვეტილია, რომ ვასო „ნეფტიანიკს" დატოვებს, ის ამ კლუბში „კრივბასიდან" იყო განათხოვრებული. საერთოდ კი „კრივბასსა" და „ნეფტიანიკს" ერთი მფლობელი ჰყავს. რაც შეეხება ინტერესს, ჩემი გუნდის მწვრთნელი ანატოლი კოსევიჩი მართლაცაა დაინტერესებული გიგიაძის გადაბირებით. მან კარგად იცის ვასოს შესაძლებლობები. შესაძლოა ვასო არა სეზონის ბოლოს,უკვე მეორე წრიდან დაგვემატოს.

**- თუ არ ვცდები „ზარიას" ლაშა ჯაკობიას დამატებაც სურდა...**

- ლაშამ უკვე დატოვა ხარკოვის „მეტალისტი". ბოლოს როგორც გავიგე ლაშა პოლტავის „ვორსკლასთან" გააფორმებს კონტრაქტს. გეტყვით, რომ კოსევიჩს მართლაც სურდა ჯაკობიას გადაბირება.

**- ახლა სანაკრებო თემაზე გადავიდეთ. ბოლო ხანს ნაკრებში აღარ ხარ გამოძახებული და ამას რით ახსნი?**

- ვერაფერს გეტყვით. ამა თუ იმ მატჩისთვის ნაკრების კონტინგენტს მწვრთნელი არჩევს. ვთვლი, რომ ნაკრებში გამოძახებას ვიმსახურებ. ეროვნული გუნდისთვის ჩამოსაწერი ფეხბურთელი ნამდვილად არ ვარ.

**- ლუქსემბურგთან მატჩის შემდეგ ტოპმიოლერმა რამდენიმე ფეხბურთელს საქმისადმი მიდგომა დაუწუნა...**

- კი, მაგრამ ასე ნამდვილად არ ვიყავი. თავად განსაჯეთ, ნაკრებში ადგილი გარანტირებული არ მქონდა და სულელი უნდა ვყოფილიყავი, რომ საქმეს ზერელედ მივდგომოდი. ჩემი თავის მტერი ნამდვილად არ ვარ. ფეხბურთი ისეთია, რომ ყველა თამაშში ბურთს ვერ გაიტან ან საგოლე პასს ვერ გააკეთებ. ვფიქრობ, რომ ნაკრებში თამაშს ვიმსახურებ და მჯერა ამის დამტკიცების შანსიც მომეცემა.

**- ცოტა ხნის წინათ დურბანში გამართულმა წილისყრამ ჩვენი ჯგუფის მეტოქეები გაარკვია. წილისყრის შედეგებზე რას იტყოდი?**

- წილისყრის შემდეგ ნაკრების ფეხბურთელებთან სატელეფონო საუბარი მქონდა. ყველა ერთ აზრზეა, თუ რეალურად გვაქვს ჯგუფიდან გასვლის ამბიცია, ამ ჯგუფში მართლა შეიძლება საამისოდ ბრძოლა. ვერ ვიტყოდი, რომ იოლ ჯგუფში მოვხვდით, თუმცა ისეთ ჯგუფში ნამდვილად არ ვართ, როგორშიც ბოლოს ვიყავით. წარმოიდგინეთ, მსოფლიო ჩემპიონატის ორივე ფინალისტი ჩვენი მეტოქე იყო. ამასთან კიდევ ორი კარგი გუნდი, უკრაინა და შოტლანდია. ისე ნამდვილად არასდროს იქნება, რომ მეტოქეებად ერთდროულად გვყავდეს ფარერები, ლუქსემბურგი, მალტა, ანდორა, ლიხტენშტაინი და მსგავსი ნაკრებები. ასე რომ ამ ჯგუფში მართლა რეალურად შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის ბრძოლა.

**- მეტოქეებს როგორ დაახასიათებდი?**

- ვფიქრობ იტალია ფავორიტია, მაგრამ ამ ნაკრებისთვისაც შეიძლება ქულების ართმევა თბილისურ მატჩში. ირლანდია და ბულგარეთი კვიპროსსა და ჩერნოგორიაზე ძლიერები არიან, თუმცა მათი დამარცხება ნამდვილად არ აღემატება ჩვენს ძალებს. ჯგუფიდან გასვლის პრეტენზია თუ გვაქვს, სწორედ ახლა შეიძლება საამისოდ ვიბრძოლოთ.

**- სათამაშო კალენდარი ჯერ არ შეთანხმებულა. 15 იანვარს სოფიაში სწორედ ამაზე იქნება მსჯელობა, სადაც ყველა ნაკრები შეეცდება საკუთარი ვარიანტი გაიტანოს. კლაუს ტოპმიოლერის ვარიანტი კი ასეთია - ვიწყებთ იტალიასთან სტუმრად და ვამთავრებთ - იტალიის მასპინძლობით. რას იტყოდი ამ ვარიანტზე?**

- ჩემი აზრით, კარგი ვარიანტია. შესარჩევი ციკლის პირველი მატჩი ყველას უჭირს, განსაკუთრებით ფავორიტებს. თუ ამ ვარიანტს გავიტანთ, გაისად შემოდგომაზე იტალიაში მართლა შეგვიძლია ფავორიტ მეტოქეს ქულები დავაკარგვინოთ. რაც შეეხება იტალიასთან ბოლოს თამაშს, ესეც კარგი ვარიანტია. იტალიელებს შესაძლოა უკვე განაღდებულიც კი ჰქონდეთ ჯგუფიდან გასვლა. თამაშს არ მოგვცემენ, მაგრამ დიდი შანსია გადახალისებული შემადგენლობით ჩამოვდინენ თბილისში. ასეთ შემთხვევაში კი მოგებაზეც შეგვიძლია ვიზრუნოთ. ასე რომ ამ ვარიანტს ვეთანხმები და კარგი იქნება თუ სოფიაში ჩვენსას თუ არა, მასთან დაახლოებულ ვარინატს მაინც გავიტანთ.

**დავით ცაბაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა ხაზიდან [illegible]
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუერთდი, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



მათე ლვინიანიძე საავადმყოფოში

# საუკეთესოებში ორი ქართველია

გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა" უკვე ტრადიციადქცეული გამოკითხვის შედეგები დააჯამა და პოსტსაბჭოეთში საუკეთესო ფეხბურთელის საკუთარი ვერსია გამოაქვეყნა.

პირველი რუსეთის ნაკრებისა და „სევილიას" ფორვარდი **ალექსანდრ კერჟაკოვია** (399). მეორე ადგილზე მისი ყოფილი თანაგუნდელი, პეტერბურგის „ზენიტის" თავდამსხმელი **ანდრეი არშავინი** 247 ქულით გავიდა. მან მცირედით გაუსწრო მესამეადგილოსანს, უკრაინის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის" თავდამსხმელ **ანდრეი შევჩენკოს** (107).

საუკეთესოებში ორი ქართველია - **შოთა არველაძემ** მეშვიდე ადგილი 79 ქულით დაიკავა, **კახა კალაძე** კი 49 ქულით მეთორმეტეა.

გვრჩება შთაბეჭდილება, რომ გაზეთი მიზნად „დიადი რუსული პრემიერლიგის" და რუსი ფეხბურთელების პრომოუშენს უფრო ისახავს მიზნად.

ასე მაგალითად, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ოქტომბრის საუკეთესო ფეხბურთელებში არც ერთი ქართველი ფეხბურთელი არ მოხვდა, როდესაც საქართველომ ევროპის ჩემპიონატის მილმა დატოვა შოტლანდია. მეტიც, ეს გამარჯვება თვის ხუთ საუკეთესო მოვლენებშიც არ დასახელდა.

ასევე გაუგებარი დარჩა, რა კრიტერიუმით საზღვრავენ საუკეთესოებს რუსები, როდესაც საკუთარ ჩემპიონატს წამყვან ლიგებს ადარებენ. ზოგჯერ, საკუთარს უფრო წინ აყენებენ და თვის მოვლენებში უხვად „ტენიან" თავის ფეხბურთელებს თუ „შიდა მოხმარების" მოვლენებს.

ამას გარდა, გაუგებარია, რა პრინციპით მონაწილეობენ გამოკითხვაში გაზეთები, რომლებიც სპორტს საერთოდ არ აშუქებენ. ყველამ ვიცით, გამოკითხვის მათეული მეთოდიც: მოსკოვიდან გვიკავშირდებიან და გვეკითხებიან, ვანია უფრო მოგწონთ, ტოლია თუ ანდრეი და ბოლოს ზრდილობისთვის ხოხოლს, ბელორუსსა და ქართველსაც მიაყოლებენ - ნახევარ საათში დაგირეკავთ და გვიპასუხეთო.

არც გაძლევენ საშუალებას, ალტერნატივა რომ შესთავაზო, თითქოს საქართველოში მოვლენების შეფასება უჭირთ, მაგრამ ალიარებისთვის თავისი უფრო ემეტებათ და არაობიექტურობით გაჟღენთილ შედეგებს სწორედ ასე ვილებთ.

**მერაბ მამულაშვილი**



კახა კალაძე პოსტსაბჭოეთში მეთორმეტეა

# როიტერი ღვინიანიძეს ელის

როგორც გაცნობეთ, 20 დეკემბერს **მათე ლვინიანიძეს** მარცხენა მუხლზე გაუკეთეს ოპერაცია. საბოლოოდ გაირკვა, რომ მისი სარეაბილიტაციო პერიოდი ერთ თვეს გასტანს. ასე რომ, ახალგაზრდა ქართველ მცველს მხოლოდ შეკრების მცირე ნაწილი გაუცდება. პირველ და მეორე ბუნდესლიგაში შესვენებაა გამოცხადებული და წესით, ოფიციალურ მატჩებს მათე სრულ მზადყოფნაში უნდა შეხვდეს.

„ოპერაციამ ყოველგვარი გართულებების გარეშე ჩაიარა. სულ მალე მათეს სრული დატვირთვით ვარჯიში შეეძლება", - განაცხადა „მიუნხენ 1860"-ის ექიმმა **ერიკ რემბეკმა**.

„ყველაზე კარგი ისაა, რომ მათეს მინიმალური დროის განმავლობაში დავკარგავთ. მეორე წრის სტარტისთვის იგი უკვე ფორმაში იქნება. ლვინიანიძის გარეშე ჩვენი დაცვა გაცილებით უარესად გამოიყურება", - ამბობს კლუბის მენეჯერი, ახლო წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი **შტეფან როიტერი**.

„ამ ოპერაციის გადადება ალარ შეიძლებოდა. მადლობა ღმერთს, კარგად ვარ, ტკივილები ალარ მაწუხებს და ერთი სული მაქვს, მოედანს როდის დავუბრუნდები", - ეს კი თავად ლვინიანიძის სიტყვებია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დილა

# ბრძოლა გადარჩენისთვის

გორის „დილა" სადღეისოდ, სახიფათო ზონაშია. კლუბის ხელმძღვანელებს კარგად ესმით, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად არსებულზე გაცილებით ძლიერი შემადგენლობაა საჭირო.

„სეზონის მეორე ნახევრისთვის განსაკუთრებულად უნდა მოვემზადოთ. როგორც გახსოვთ, გუნდი უმაღლეს ლიგაში მოულოდნელად დაუშვეს და პირველი ლიგისთვის შეგულებულმა კონტინგენტმა კარგ შედეგებს ვერ მიაღწია. კლუბის მესვეურებთან უკვე შეთანხმებული ვარ, გადაწყვეტილია, რომ მეორე წრეში „დილას" გაცილებით სოლიდური შემადგენლობა ეყოლება. კონკრეტულ ფეხბურთელებს ჯერ ვერ დაგისახელებთ, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელებს დავიმატებთ, მათ შორის ალბათ, გორული საფეხბურთო სკოლის აღზრდილებსაც", - ამბობს „დილას" მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ხორგუაშვილი**.

„დილა" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას ნაახალწლევს შეუდგება და შეკრების კონკრეტული გეგმა სწორედ მაშინ გახდება ცნობილი. სავარაუდოდ, „დილა" გორში დაიწყებს მზადებას, შემდეგ კი შესაძლოა, რომელიმე ქართულ კურორტზე გადაინაცვლოს.

მართალია, „დილა" თასის მეოთხედფინალშია გასული, მაგრამ ალბათ, შიდაქართლელები ამ ტურნირზე აქცენტს არ გააკეთებენ. თუმცა ბუნებრივია, ნახევარფინალში გასასვლელად იბრძოლებენ. მათი მეტოქე „ბორჯომი" იქნება.

აქვე გეტყვით, რომ „დილას" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **მამუკა ვარდოსანიძემ** გუნდი დატოვა. მას ხორგუაშვილის ასისტენტობას სთავაზობდნენ, მაგრამ ვარდოსანიძემ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მუშაობა ვერ შეძლო. მას გულთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და შესაძლოა, უახლოეს პერიოდში გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდეს.

# ახალი წელი ნარკოტიკების გარეშე

წლეულს ზედიზედ მესამედ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით არაპროფესიონალ ფეხბურთელებს შორის ტარდება მინისაფეხბურთო ტურნირი „ახალი წელი ნარკოტიკების გარეშე". წლევანდელ ტურნირში რომელსაც სპორტკომპლექსი „ირაო" უმასპინძლებს რვა გუნდი მონაწილეობს.

1. SPORT-MEDIA
2. მორაგბეები
3. ექიმები
4. სტუდენტები
5. სფფ
6. ვეტერანები
7. მადნეული-კვარციტი
8. მუსიკოსები

გუნდები ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი. ჯგუფური ტურნირის მატჩები 26 დეკემბერს დასრულდება, ხოლო ფინალი 28 დეკემბერს გაიმართება. ტურნირი ტარდება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონი მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად.

ასპარეზობა მიზნად ისახავს:

ნარკომანიასთან, როგორც უმძიმეს ავადმყოფობასთან ბრძოლას, ახალგაზრდა თაობაში ჯანსალი ცხოვრების წესის დანერგვას, ახალგაზრდობისთვის ალტერნატიული გართობის საშუალების გამოძებნას, ახალგაზრდობის აზროვნებაში ჯანსალი შეჯიბრის პრინციპის ჩამოყალიბებას, მოზარდთათვის სწორი მაგალითის მიცემას, ფეხბურთის პოპულარიზაციას.

ტურნირის ოქროს სპონსორები კომპანიები „მადნეული" და „კვარტიცი" არიან, მთავარი სპონსორი კომპანია „ავერსი", გამარჯვებულ გუნდს და გამორჩეულ ფეხბურთელებს კომპანია „ელიტ ელექტრონიქსი" აჯილდოვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მოურინიოს მილანში დროგბა მიჰყავს

## ინგლისური მედიის ცნობით, ლონდონელები 32 მილიონს მიიღებენ და ანელკას იყიდიან...

"ფრანს ფუტბოლის" ცნობით, **ჟოზე მოურინიომ** "მილანთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. პოპულარული გამოცემა დარწმუნებულია, რომ მწვრთნელმა ინგლისის ნაკრებს "როსონერის" გამო უთხრა უარი. "ფრანს ფუტბოლის" ცნობით, მილანში მოურინიოს პირველი შენაძენი **დიდიე დროგბა** იქნება. იტალიური გრანდი მზადაა, მის სანაცვლოდ 32 მილიონი ევრო გადაიხადოს.

ინფორმაცია მოურინიოს მოსალოდნელი დანიშვნის შესახებ ინგლისურმა სააგენტოებმაც გამოაქვეყნეს. "ნიუს ოფ ზე უორლდი" ვარაუდობს, რომ გარიგება იანვრის ფანჯრისას შედგება. თუ მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდება, გარიგებას მომავალ ზაფხულამდე გადადებენ. იმ დროს მოურინიო უკვე მთავარი მწვრთნელი იქნებაო, წერს ტაბლოიდი. "ნიუს ოფ ზე უორლდი" ტრანსფერს 23 მილიონ გირვანქად აფასებს. 31.7 მილიონი ევროა. აქვე გეტყვით, რომ დროგბა აფრიკის 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვაში მეორე ადგილი სევილიელმა **ფრედერიკ კანუტემ** (მალი) დაიკავა, ხოლო მესამე ნანსელმა **იუსუფ ჰაჯიმ** (მაროკო).

დროგბას "მილანში" ტრანსფერს ეხმაურება "გარდიანიც". ამ გამოცემის მტკიცებით, "ჩელსი" გარიგებაზე თანახმაა. უფრო მეტიც, მას დიდიეს შემცვლელიც მოძებნილი ჰყავს. "არისტოკრატები" **ნიკოლა ანელკას** ყიდვას აპირებენ. ფრანგი თავდამსხმელი კოტდივუარელზე თითქმის ორნახევარჯერ იაფი ღირს. ლონდონელებს დროგბას გაყიდვით კარგი ფულის გაკეთება შეუძლიათ. ანელკას შეძენა "მანჩესტერ სიტისაც" სურს. "გარდიანში" ვკითხულობთ, რომ "ჩელსი" "ბოლტონს" "სიტიზე" უკეთეს კომპენსაციას სთავაზობს. მანჩესტერელები ანელკას კვირაში 80 ათას გირვანქას ჰპირდებიან. ლონდონური კონტრაქტის დეტალები უცნობია. "ჩელსის" მხრიდან მოლაპარაკებებს ცნობილი აგენტი **პინი ზაჰავი** უძღვება.



დიდიე დროგბა

"მილანსა" და "ჩელსის" უკავშირდება ეს ინფორმაციაც: "როსონერის" გენერალურმა მენეჯერმა **ადრიანო გალიანიმ** არ გამორიცხა, **ანდრეი შევჩენკო** იტალიაში დაბრუნდეს. უკრაინელი თავდამსხმელი მილანიდან ლონდონში შარშან ზაფხულში გადავიდა. მან პრემიერლიგაში სრული ფიასკო განიცადა. თუ მილანელები დროგბას შეიძენენ, გაუგებარია, რალატომ უნდა დასჭირდეთ შევჩენკო. აი, რა განუცხადა გალიანიმ "გაძეტა დელო სპორტს": *"ანდრეი მილანში გაცილებით კომფორტულად იყო. დაბრუნდება თუ არა? არ ვიცი, თუმცა გამორიცხული არაფერია. თუ შევა იტალიაში ჩამოვა, მხოლოდ და მხოლოდ "მილანში" ითამაშებს."*

მოსალოდნელი გარიგება

# ლივერპული ისევ იყიდება?

## შესთავაზებენ თუ არა არაბები ამერიკელებს სარფიან გარიგებას...

"ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, "ლივერპულს" შეიძლება ახალი მეპატრონე გამოუჩნდეს. ეს მოულოდნელი ამბავია. საქმე ისაა, რომ მერსისაიდული გრანდი ერთი წელიც არ არის, რაც გაიყიდა. ის ამერიკელმა ბიზნესმენებმა, **ტომ ჰიკსმა** და **ჯორჯ ჯილეტმა** შეიძინეს. მათ 300 მილიონი ევრო გადაიხადეს, ახლა კი შეუძლიათ, ბევრად უფრო მაღალ ფასში გაყიდონ. დაინტერესებულია კომპანია არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან - "დუბაი ინთერნეშენალ კაპიტალი". რატომ შეიძლება სურდეთ ამერიკელებს იმ აქტივის თავიდან მოშორება, რომელშიც დიდი ამბით დააბანდეს ფული. მიზეზი მრავალია: ინგლისელი მიმომხილველების ვარაუდით, ჰიკსი და ჯილეტი საფეხბურთო მეურნეობის გაძღოლისათვის მზად არ აღმოჩნდნენ. საეჭვოა, მათ მოახერხონ იმ 400 მილიონი დოლარის მოძიება, რომელიც ახალი სტადიონის ასაშენებლადაა საჭირო. ახლოვდება თებერვალიც. ორ თვეში ამერიკელებს "ბენქ ოფ სკოტლანდიდან" აღებული სესხის პროცენტის გადახდა მოუწევთ. ფინანსური ტვირთი საკმაოდ მძიმეა. სადაცაა, იანვრის სატრანსფერო ფანჯარაც გაიხსნება. იქ კი კლუბის მთავარი მწვრთნელი შემადგენლობის გაძლიერებას მოითხოვს. თუ დუბაელი ინვესტორები სოლიდურ თანხას გადაიხდიან, ჰიკსი და ჯილეტი დაუფიქრებლად დაიხურავენ ქუდს. "დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალს" "ლივერპულის" შეძენა ერთი წლის წინაც სურდა, მაგრამ უცნობი მიზეზების გამო, მოლაპარაკებები ნაადრევად შეწყვიტა. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით მერსისაიდული კლუბის ხელმძღვანელობას კომენტარი არ გაუკეთებია.

აქვე, ერთი სატრანსფერო ინფორმაცია. **რაფა ბენიტესი** იმედს არ კარგავს, რომ ხავიერ მასკერანო კარიერას მის გუნდში გააგრძელებს. არგენტინელი ნახევარმცველის სატრანსფერო უფლებები ისევ კია ჯურაბჩიანის ხელშია. "სქაი სპორტსის" ცნობით, ფეხბურთელის შესანარჩუნებლად 17 მილიონი გირვანქაა საჭირო. მასკერანოს სარფიანი შეთავაზებები აქვს ესპანეთიდან და იტალიიდან. ზოგიერთი წყაროს ცნობით, მას "მანჩესტერ იუნაიტედმაც" დაადგა თვალი. ასე რომ სერიოზული კონკურენციაა. მერსისაიდელებს დროის გაფლანგვის უფლება არ აქვთ. ლივერპულელთა სატრანსფერო ბიუჯეტი კი დაუმტკიცებელია. იანვრამდე ერთი კვირით ადრე ბენიტესმა ჯერ არ იცის, რა თანხას გამოუყოფენ ახალი ფეხბურთელების შესაძენად.



ლივერპულის დღევანდელი ბოსები, ჯორჯ ჯილეტი და ტომ ჰიკსი

იუვენტუსი. ტრანსფერები

# ჟილბერტო სილვა: მორიგი გაჩერება ტურინი?

**ჟილბერტო სილვა** "იუვენტუსში" გადასვლას აპირებს. ბრაზილიელი ნახევარმცველი "არსენალის" ძირითადში ვეღარ ხვდება. ის ლონდონში 2002 წელს, ბრაზილიური "ატლეტიკო მინეიროდან" ჩავიდა. გასულ სეზონში ჟილბერტო "მეთოფეების" ვიცე-კაპიტანი იყო. **ტიერი ანრის** "ბარსელონაში" გაყიდვის შემდეგ სამკლაური მას ეკუთვნოდა, მაგრამ **არსენ ვენგერმა** საპატიო სტატუსი **ვილიამ გალასს** მიანიჭა. ჟილბერტო კი სკამზე დასვა. მის ნაცვლად ახალგაზრდა ფრანგი, **მატიო ფლამინი** თამაშობს. სილვას იტალიაში გადაბარგება უნდა. ტურინელების თავკაც კლაუდიო რანიერის გამოცდილი ფეხბურთელები სჭირდება. ჟილბერტოს ბრაზილიის ნაკრებში 59 თამაში აქვს ჩატარებული. ის 2002 და 2006 წლების მუნდიალების მონაწილეა.

"იუვეს" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. არგენტინელი ნახევარმცველი **კრისტიან მაიდანა** ტურინში გააგრძელებს კარიერას. ამ ბიჭს მოსკოვის "სპარტაკი" ყიდულობდა. როცა "სპარტაკი" უეფას თასის მატჩის ჩასატარებლად ტულუზს ეწვია, მაიდანა საფრანგეთში ჩავიდა და სამედიცინო შემოწმებაც კი გაიარა. რუსული კლუბი არგენტინულ "ბანფილდს" 3.6 მილიონ ევროს სთავაზობდა. "იუვენტუსი" 20 წლის ფეხბურთელს დაახლოებით იმავე ფასად ჩაიგდებს ხელში. მაიდანას შეძენა კიდევ ერთ იტალიურ კლუბს, "ჯენოას" სურდა. არგენტინის ჩემპიონატში კრისტიანის დებიუტი 2006 წელს შედგა. ის ბანფილდის ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი წევრია და ბოლო წელიწადნახევარში 38 მატჩის ჩატარება მოასწრო.

სერბი მცველი **ბრანისლავ ივანოვიჩი** "იუვენტუსში" არ ითამაშებს. მოსკოვის "ლოკომოტივთან" მოლაპარაკებები უშედეგო დასრულდა. "ქალბატონმა" მიიჩნია, რომ რუსების მიერ მოთხოვნილი 15 მილიონი ევრო არარეალური ფასი იყო. 23 წლის ივანოვიჩი მოსკოვში დარჩება. "იუვენტუსი" "ტორინოს" 21 წლის მცველ **მარკო მოტას** შეეხმიანება. ამ ბიჭს "მანჩესტერ იუნაიტედი", "ჩელსი", "მილანი" და "ინტერი" აკვირდებიან. და კიდევ, "ბეშიქთაშს" ტურინელთა ფრანგი მცველის, ჟან-ალენ ბუმსონგის შეძენა სურს. "იუვეს" ეს ფეხბურთელი არ სჭირდება. სტამბოლელები 2 მილიონ ევროს ამზადებენ. თურქეთში გადასვლის შემთხვევაში, ბუმსონგს ორწლიან კონტრაქტს და წლიურად 2.4 მილიონ ევროს ჰპირდებიან.

ფიორენტინა. ტრანსფერები

# მუტუ და ფრეი რჩებიან

## სისოკო ფლორენციელებმაც მოიკითხეს...

"ფიორენტინის" პრეზიდენტმა **დიეგო დელა ვალემ** კატეგორიულად უარყო ცნობა, თითქოს კლუბი საუკეთესო ფეხბურთელების, **ადრიან მუტუსა** და **სებასტიან ფრეის** გაყიდვას აპირებდეს: *"ამ ინფორმაციას არავითარი საფუძველი არ გააჩნია. არ მესმის, რატომ უნდა იდგეს დღის წესრიგში მათი ტრანსფერები. მუტუსა და ფრეის კლუბთან კონტრაქტები აკავშირებთ. "ფიორენტინა" ბევრისათვის საოცნებო კლუბია."* სპეკულაციების თანახმად, მუტუზე "რეალი" და "პორტსმუთი" აცხადებენ პრეტენზიას. ფრეი კი "არსენალს" სურს. ამ უკანასკნელმა ფლორენციელებს კონტრაქტის პირობების გადახედვა მოსთხოვა, მაგრამ ცივი უარი მიიღო. დელა ვალე უარს ისევ მოქმედი კონტრაქტით ხსნის. მისი თქმით, კლუბი ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებს. ფეხბურთელებიც ვალდებულნი არიან, დოკუმენტს პატივი სცენ.


ადრიან მუტუ

აქვე, დაგეგმილი ტრანსფერების შესახებ მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას. "ფიორენტინა" "ლივერპულის" ნახევარმცველ **მოჰამედ სისოკოთი** დაინტერესდა. ამ ინფორმაციას იტალიური სააგენტოები ავრცელებენ. მოსალოდნელია ექვსთვიანი საიჯარო კონტრაქტის გაფორმება. გაისად ზაფხულში ფლორენციელებმა შეიძლება ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებების ნახევარი გამოისყიდოს. მას ეს სიამოვნება 6 მილიონი ევრო დაუჯდება. სისოკოს სამსახურის შეცვლა სურს. მას შეზღუდული სათამაშო პრაქტიკა არ აკმაყოფილებს. მაღალ ნახევარმცველს "იუვენტუსიც" ეპატიჟება. სისოკოს შეძენა გადაწყვეტილი არ არის. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ იანვრის ფანჯრის გახსნისთანავე "არტემიო ფრანკის" მიაშურებს "პიაჩენცის" თავდამსხმელი **დანიელე კაჩა**.

კლუბის კიდევ ერთი სამიზნეა "ვილიარეალის" ფრანგი ნახევარმცველი **რიო მავუბა**. ამ უკანასკნელმა ესპანეთს გასულ ზაფხულს მიაშურა, მაგრამ "სუბმარინების" ძირითადში დამკვიდრება ვერ შეძლო. მას სამსახურის შეცვლა უნდა. მავუბას რამდენიმე ფრანგული კლუბი ეპატიჟება. მოსალოდნელი ტრანსფერის შესაბეხ ოფიციალური კომენტარები ჯერ არ გაკეთებულა.

## ესპანეთი და პორტუგალია 2018

2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ესპანეთსა და პორტუგალიასაც სურთ. ამ მუნდიალზე პრეტენზიას აცხადებენ ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია, ჩინეთი, მექსიკა და კანადა, აგრეთვე ჰოლანდია და ბელგია ერთად. ახლა ამ სიას ორი პირენეული სახელმწიფო დაემატება. ისინიც ერთობლივი პროექტის შემუშავებას აპირებენ. ინფორმაცია ამის შესახებ დახლოებით ერთი თვის წინაც გავრცელდა. იდეა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციას ეკუთვნოდა, მაგრამ მაშინ ესპანელმა კოლეგებმა კომენტარის გაკეთებისაგან თავი შეიკავეს. შეგახსენებთ, ესპანეთმა 1982 წელს მარტომ უმასპინძლა პლანეტის პირველობას. 1964 წელს კი ევროპის ჩემპიონატი ჩაატარა. პორტუგალიას მუნდიალის მასპინძლობის გამოცდილება არ აქვს. სამაგიეროდ, 2004 წელს საუცხოოდ გაუძღვა ევროპის პირველობას.

## გლები ბარსელონაში?

"არსენალის" ნახევარმცველი **ალექსანდრ გლები**, შეიძლება, ბარსელონაში ჩაირიცხოს. ესპანელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ბელორუსი ნახევარმცველი იდეალურად ჩაეწერებოდა კატალონიური გრანდის სქემაში. მიმდინარე სეზონში გლებმა "მეთოფეების" შემადგენლობაში 13 მატჩი ჩაატარა და ორი გოლი შეაგდო. გლებს მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით არაფერი უთქვამს. "მირორისათვის" მიცემულ ინტერვიუში მან იმ პროგრესზე ისაუბრა, რომელიც შტუტგარტიდან ლონდონში გადასვლის შემდეგ განიცადა: *"გერმანიაში ყოფნისას უფრო მორიდებული ვიყავი. ბურთს ვუფრთხილდებოდი ხოლმე. აქ კი გარისკვის არ მეშინია. "არსენალის" თამაშის მანერა ძალიან მომწონს. ყველა კლუბი რომ "არსენალს" ბაძავდეს, ფეხბურთზე კარგი სანახავი არაფერი იქნებოდა. სამწუხაროდ, ზოგიერთი კლუბი ფეხბურთს კი არა, რაგბის წესებით იბრძვის."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა-რეალი. გამოხმაურება. ინტერვიუ ვისენტე დელ ბოსკესთან

# ბარსელონა არც ისე ცუდია...

## დელ ბოსკე რეალს 70 პროცენტს აძლევს, კუმანს კი ვერაფერი გაუგო

"რეალის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე ტრადიციულ ინტერვიუში ესპანეთის ჩემპიონატის განვლილ ტურს აჯამებს. ცხადია, ამ საუბარში მთავარი თემა "ბარსელონა"-"რეალის" საკვირაო დაპირისპირებაა, რომელიც მადრიდული გრანდის გამარჯვებით (1:0) დასრულდა. თავის დროზე, სამეფო კლუბს დელ ბოსკეს ხელმძღვანელობითაც მოუგია "კამპ ნოუზე", ოღონდ არა პრიმერა დივიზიონის, არამედ ჩემპიონთა ლიგის ეგიდით და ეს იყო 2001/02 წლების სეზონში, როცა "რეალმა" ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ჯილდო მოიგო, ფინალში კლაუს ტოპმიოლერის "ლევერკუზენის" დამარცხების (2:1) შემდეგ...

**- შეძლებს კი ფრანკ რიიკაარდი"ბარსელონაში" სიტუაციის შეცვლას? ან იქნებ, თქვენ თვლით, რომ კატალონიურ გრანდში მისი ეპოქა დასრულებულია?**

- რიიკაარდს ყოველთვის პატივს ვცემდი და ეს პრესითაც არაერთხელ მითქვამს. მისი სტილი ძალიან მომწონს. ფაქტია, რომ "ბარსელონაში" მან ოთხი ფანტასტიკური სეზონი გაატარა. ვფიქრობ, მას რეალურად შეუძლია სიტუაციის შეცვლა. ესეც არ იყოს, მე არა მგონია, რომ "რეალთან" წაგების შემდეგ კატალონიელებისთვის ყველაფერი დასრულდა, პირიქით, გუნდს დარჩა მოტივაცია ჩემპიონთა ლიგის სახით და ეს არ არის პატარა მოტივაცია.

**- არ მოგეჩვენათ, რომ "კამპ ნოუზე" მადრიდელები შეკრული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, განსხვავებით "ბარსელონისგან", რომელიც უბრალოდ ვარსკვლავების კრებულად რჩება? აქ არ იგულისხმება ინიესტა, რომელიც ამ ვარსკვლავებისგან განსხვავებით, გაცილებით უკეთეს ფორმაშია...**

- დიახ, კვირას "რეალი" ნამდვილი, შეკრული გუნდი იყო. "ბარსას" დღეს რამდენიმე ახალგაზრდა და მეტად ნიჭიერი მოთამაშე ჰყავს. ასე რომ, ეს უფრო მომავლის გუნდია. ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა დამთავრებულია და არც ის მგონია, რომ რიიკაარდმა გუნდში წმენდა უნდა ჩაატაროს. მშვიდი და მეთოდური მუშაობაა საჭირო.

**- თუ დავაკვირდებით, როგორ ფორმაშია პეპე, მას აქვს შანსი, რომ ახალი ფერნანდო იერო გახდეს...**

- პეპე ძალიან კარგი მცველია, მაგრამ მოდით, იეროს ნუ შევადარებთ, ეს უაზრობაა. შევთანხმდეთ, რომ ახალი იერო აღარ იქნება. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ბრაზილიიდან ევროპაში ჩამოსული მცველები უმეტესწილად წარმატებებს აღწევენ. თუ დააკვირდით, ეტო'ოს არანაირი შანსი არ ჰქონდა პეპესა და კანავაროს ტანდემის წინააღმდეგ.

**- ხომ არ გგონიათ, ბერნდ შუსტერს მეორე ტაიმში გუტი უნდა შემოეშვა, რათა 2:0-ე ეფიქრა და თავი უფრო მშვიდად ეგრძნო?**

- ჩემი აზრით, "რეალს" გუტის გარეშეც შეეძლო მეორე გოლის გატანა, მრავალრიცხოვანი კონტრშეტევიდან ერთით მაინც რომ ესარგებლა. შესაძლოა, გუტისთან ერთად ეს უფრო ადვილი ყოფილიყო, მაგრამ შუსტერმა ასე ჩათვალა საჭიროდ. ეს არის და ეს.

**- როგორ ფიქრობთ, რონალდინიოს იგივე როლი აქვს "ბარსელონაში", რომელსაც ადრე თამაშობდა?**

- თქვენი არ ვიცი და, მე მისი კვლავ მჯერა. ის მხოლოდ 27 წლისაა და სულაც არ ვფიქრობ, რომ ემოციებისგან თუ მოტივაციისგან დაცლილია. გარწმუნებთ, რომ რონალდინიოს ფეხბურთი ჯერ არ დასრულებულა, შესაბამისად, არც მისი შესაძლებლობებია ამოწურული.

**- რა არ ჰყოფნის "რეალს", რომ კვლავ ძველებური, სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშოს?**

- როგორ გითხრათ... მიმართულება შეიცვალა და ამ შემთხვევაში, ვერაფერს გავაწყობთ. თუკი ადრე, "რეალში" ამინდს "არტისტები" ქმნიდნენ, დღეს აქცენტი ათლეტურ და პრაგმატულ მოთამაშეებზე კეთდება. ანუ, ეს არის მწვრთნელის არჩევანი, რომელიც შედეგზეა ორიენტირებული. შედეგი კი მთავარია. როგორც იტყვიან, მიზანი ამართლებს საშუალებას. თუ "რეალისთვის" ამ ფეხბურთს გამარჯვებები მოაქვს, მაშინ ის გამართლებულია. მარტივადაა ყველაფერი...

**- ხომ არ გაქვთ რაიმე მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გახდეს პრიმერა დივიზიონი უფრო სანახაობრივი და მიმზიდველი? სუპერკლასიკომ დატოვა შთაბეჭდილება, რომ ამ მხრივ გარდაქმნები აუცილებელია...**

- არ მგონია, თამაში ასეთი მოსაწყენი ყოფილიყო. ჩემი აზრით, მეტად დრამატული ფინიში გველოდება... რაც შეეხება ფორმატს ან სხვა ცვლილებას, ეს უფრო ესპანეთის თასისთვის იქნება მისაღები. კარგი იქნება, რომ თასის გათამაშების დასკვნითი ეტაპი უფრო დამაინტრიგებელი გავხადოთ, როგორც ეს კალათბურთშია. როცა მარტო ფინალია საინტერესო, ეს ტურნირის მნიშვნელობას აკნინებს.

**- "რეალის" ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან, რომლებიც დღეს დუბლშემადგენლობაში თამაშობენ, რომელ მათგანს შეუძლია, ახლო მომავალში პირველი გუნდის მაისურა მოირგოს და ის თამაში აჩვენოს, რაც სამეფო კლუბს შეშვენის?**

- დავასახელებდი პარეხოს, ბუენოსა და ადანს. შესაძლოა, უკეთესიც იყოს, რომ ეს ბიჭები რომელიმე კლუბში არენდით გაუშვან.

**- და მაინც, რატომაა დღეს "ბარსა" ისეთი სუსტი, რომ "რეალი" "კამპ ნოუზე" თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ კედლებში?**

- წელანაც ვთქვი: არ მესმის, რატომ ხდება ამ პრობლემის დრამატიზირება? უბრალოდ, კატალონიელებს სტაბილურობა აკლიათ. ეს დაძლევადია და არ შეიძლება, ამაზე ერთი მატჩით ვიმსჯელოთ. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. პრიმერა დივიზიონის ფინიშამდე ჯერ დიდი გზაა გასავალელი.

**- ვინ იყო კვირას საუკეთესო?**

- დაფიქრების გარეშე ვიტყვი, რომ ინიესტა უბრალოდ შეუდარებელი იყო, თან იმ ფონზე, როცა ის თანაგუნდელებისგან ჯეროვან მხარდაჭერას ვერ იღებდა.

**- საჩემპიონო შანსებზე რას იტყოდით?**

- ძნელია ამის პროგნოზირება... ვფიქრობ, 70 პროცენტი "რეალის" მხარესაა, დანარჩენი "ბარსელონის".

**- როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს "რეალისთვის" გუტი? ზოგი ფიქრობს, რომ მის გარეშე სამეფო კლუბი წარმოუდგენელია, ზოგსაც საპირისპირო მოსაზრება აქვს...**

- გუტი სპეციფიკური მოთამაშეა. თუ მას "რეალში" პრობლემები ჰქონდა და აქვს, მხოლოდ იმიტომ, რომ კლუბი ვარსკვლავებს ყიდულობდა, გუტის კი მათთან მძაფრი კონკურენცია უწევდა. მას არაერთხელ გამოუჩენია თავი და სერიოზული როლიც უთამაშია, თანაც სხვადასხვა პოზიციაზე... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გუტი უკვე დიდი ხანია "რეალში" თამაშობს და არა მგონია, ეს შემთხვევითი იყოს.

**- მიაგჩნიათ, რომ "რეალს" მარცხენა მცველის პრობლემა მოგვარებული აქვს?**

- მეგონა, რომ მარსელო ან ჰაინცე რობერტო კარლოსს სრულფასოვნად შეცვლიდნენ, მაგრამ დღეს ამას ვერ ვიტყოდი. ჯერჯერობით, ბოლო ათწლეულში, კარლოსი "რეალის" საუკეთესო მარცხენა მცველად რჩება. ასე რომ, პრობლემა გადაწყვეტილი არ არის და შუსტერს ამაზე ფიქრი მოუწევს.

**- ისე ჩანს, რომ არიენ რობენს ნაკლებად ეძლევა თავის გამოჩენის შანსი...**

- რობენი მაღალი კლასის მოთამაშეა, მაგრამ მეჩვენება, რომ ის ცოტა მშიშარაა. არა მგონია, მას მხოლოდ ტრავმები უშლიდეს ხელს. ფაქტია, რომ რობინიოსთან კონკურენციას ვერ უძლებს.

**- როცა გყავს კრკიჩი და ჯოვანი, უღირდა კი "ბარსელონას" ანრის ყიდვა?**

- რა თქმა უნდა, კრკიჩიც და ჯოვანიც ტალანტები არიან, მაგრამ ისინი საბოლოოდ ჯერ არ ჩამოყალიბებულან, როგორც ფეხბურთელები. გამოცდილი და დამწყები ვარსკვლავების თანაარსებობა აუცილებელია და ვხედავ, რომ რიიკაარდს ეს კარგად ესმის. ვფიქრობ, ძირითად შემადგენლობაში ამ მოთამაშეების ინტეგრირება მოზომილად ხდება.

**- და "ვალენსიაში"? რამდენად მართებულად მიგაჩნიათ, რომ სულ რაღაც ერთთვიანი მუშაობის შემდეგ, რონალდ კუმანი კანისარესსა და ალბელდას თავიდან იცილებს?**

- გახსოვთ, რა ვთქვი ერთი თვის წინ? კუმანს მოუწევს გუნდთან შეგუება და არა პირიქით-მეთქი. ასეც ხდება. ვინც მთავარი მწვრთნელის გეგმაში არ ჯდება, ის მიდის. მაგრამ ეს არ არის მარტივი პროცესი და უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის. მწვრთნელის მხრიდან, ამგვარი ზომები გადაჭარბებულად მეჩვენება. ეტყობა, კუმანი ჯერ ვერ გაერკვა სიტუაციაში, მეც არ მესმის მისი...



ვისენტე დელ ბოსკე

ბაიერნი

# ჰიტცფელდი მიდის, მოვა ვან ბასტენი?

## რეკორდმაისტერმა ახალი მწვრთნელის ძებნა დაიწყო



მარკო ვან ბასტენი ოტმარ ჰიტცფელდის შემცვლელად მოიაზრება

სალონიკის „არისთან" მოგებული მატჩი (6:0), რომელმაც მიუნხენის „ბაიერნი" უეფას თასის 1/16 ფინალში გაიყვანა, რეკორდმაისტერისთვის 2007 წლის უკანასკნელი ოფიციალური შეხვედრა გახლდათ, რის შემდეგაც გუნდის ფეხბურთელები, მწვრთნელი და ხელმძღვანელები საშობაო შვებულებაში გავიდნენ. მაგრამ **ოტმარ ჰიტცფელდი** კვლავინდებურად ყურადღების ცენტრში რჩება. როგორც იცით, „არისთან" მატჩის შემდეგ ჰიტცფელდმა მიანიშნა იმაზე, რომ სეზონის დასრულების შემდეგ „ბაიერნს" დატოვებს. მართალია, ოტმარს პირდაპირ არ უთქვამს, რომ რეკორდმაისტერთან თანამშრომლობის გაგრძელებას არ ისურვებს, მაგრამ მისი განცხადებების შემდეგ (წინა კვირაში ვწერდით) აბსოლუტურად ყველა ექსპერტი დარწმუნებულია იმაში, რომ მომავალ სეზონში მიუნხენურ კლუბს ახალი დამრიგებელი ეყოლება.

შვებულებაში მყოფი ჰიტცფელდი უარს ამბობს კომენტარის გაკეთებაზე, რის არგუმენტადაც იმას ასახელებს, რომ შვებულებაში იმყოფება - ახლა ამის დრო არ არისო. როგორც იცით, გასულ კვირაში მან განაცხადა, რომ უკვე იცის, როგორც მოიქცევა, მაგრამ ჯერ ამის თაობაზე საუბარი არ სურს. ჰიტცფელდმა ისიც აღნიშნა, რომ მიმდინარე სეზონს აუცილებლად „ბაიერნში" დაასრულებს. ჩვენი გერმანელი კოლეგებისთვის ეს განცხადება „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგესკენ** მიმართული კონტრდარტყმაა, რომელმაც სამიოდ კვირის წინათ, „ბოლტონთან" მატჩის შემდეგ ოტმარი გააკრიტიკა და მას როტაცია დაუწუნა. ფაქტია, რომ რეკორდმაისტერის შეფები ჰიტცფელდისგან ამგვარ განცხადებებს არ ელოდნენ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ „გენერალი" მიუნხენში დარჩენას არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ მანამდე ოტმარი რეგულარულად იმეორებდა, გადაწყვეტილებას იანვრის ბოლოს, ხელმძღვანელებთან საუბრის შემდეგ მივიღებო. ახლა კი აღმოჩნდა, რომ მას გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს.

ცნობილია, რომ ჰიტცფელდისთვის შვეიცარიის საფეხბურთო კავშირი იბრძვის. შვეიცარიელებს ძალიან უნდათ, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, როცა **კობი კუნი** ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებს, ქვეყნის პირველი გუნდი ჰიტცფელდმა ჩაიბაროს. ამას გარდა, ოტმარს ზალცბურგის „რედ ბულშიც" ეპატიჟებიან – ავსტრიული კლუბის ბოსები „გენერალს" **ჯოვანი ტრაპატონის** შემცვლელად მოიაზრებენ. ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ ასე იქნება თუ ისე, ჰიტცფელდს უამრავი შეთავაზება ექნება.

ოტმარის განცხადებების შემდეგ რუმენიგე და მენეჯერი **ული ჰიონესი** ვალდებულები არიან, ახალი სპეციალისტი ეძებონ. „კიკერის" ინფორმაციით, ჰიტცფელდის შეცვლის უპირველესი კანდიდატი ჰოლანდიის ნაკრების დამრიგებელი **მარკო ვან ბასტენია**, რომელსაც ევროპის ჩემპიონატის შემდეგ პოსტის დატოვება აქვს გადაწყვეტილი და შესაბამისად, ზაფხულში თავისუფალი იქნება. 43 წლის ვან ბასტენი, რომელსაც არც თუ ისე დიდი სამწვრთნელო გამოცდილება აქვს, გერმანულადაც საუბრობს და „ბაიერნთან" მიმართებაში ეს მისი პლუსია. თუმცა თუ ბავარიელები ვან ბასტენს დანიშნავენ, ეს FCB-ს ჰოლანდიელ ნახევარმცველ **მარკ ვან ბომელს** გაანაწყენებს და წარმოიქმნება ახალი პრობლემა. როგორც იცით, ვან ბომელი ჰოლანდიის ნაკრებიდან ვან ბასტენის გამო წამოვიდა და ნათქვამი აქვს, სანამ იქ ვან ბასტენი იმუშავებს, ნარინჯისფერთა რიგებში მე ვერავინ მიხილავსო. ჩვენი გერმანელი კოლეგები ფაქტობრივად გამორიცხავენ იმას, რომ ვან ბასტენის მიუნხენურ კლუბში მისვლის შემთხვევაში ვან ბომელი რეკორდმაისტერში დარჩეს. თუმცა მანამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, რადგან ოფიციალურად არც ისაა დადასტურებული, რომ ჰიტცფელდი მიდის და არც ის, რომ „ბაიერნში" ვან ბასტენი მივა.

**გოტფრიდ ლენცი**

ჩელსი

# აბრამოვიჩი ვალებს ისტუმრებს

## არისტოკრატები, ერთადერთნი პრემიერლიგის გრანდებს შორის...

გასულ კვირას "ჩელსის" ბოსმა **რომან აბრამოვიჩმა** კიდევ ერთხელ მიმართა თავის ამოუწურავ ფინანსურ რესურსებს და "არისტოკრატების" ბოლო საბანკო სესხი გადაიხადა. 36 მილიონი გირვანქა ლონდონელთა ყოფილ თავმჯდომარეს, კენ ბეიტსს ჰქონდა აღებული. თანხის გასტუმრების ვადა ჯერ არ იწურებოდა. აბრამოვიჩის ამ ფინანსური ოპერაციის შედეგად, "ჩელსი" პრემიერლიგის დიდი ოთხეულის ერთადერთი კლუბია, რომელსაც ვალი არ აქვს. მოგეხსენებათ, მალკოლმ გლეიზერმა "მანჩესტერ იუნაიტედი" მრავალმილიონიანი სესხით შეიძინა. სოლიდური ვალი დაუგროვდა "არსენალსაც", რომელმაც სუპერთანამედროვე "ემირიტს სთედიუმი" ააშენა. საბანკო ვალი აქვს "ლივერპულს" და ახალი სტადიონისათვის კიდევ 400 მილიონი სჭირდება. ასე რომ "არისტოკრატები" ყველაზე წელგამართულნი არიან. მართალია, საკლუბო ბიუჯეტში სოლიდური გარღვევაა, მაგრამ მდიდარი პრეზიდენტი ნებისმიერ დეფიციტს იოლად უმკლავდება. 36 მილიონიც ამის დასტური იყო.

კიდევ ერთი ინფორმაცია რუსი ოლიგარქის შესახებ. "ჩელსის" საწვრთნელ ბაზაზე კობემში თვალთვალის უახლესის სისტემა დაამონტაჟეს. ამ სისტემის დახმარებით, აბრამოვიჩს შეუძლია, კლუბის ვარჯიშებს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, მათ შორის, ჩუკოტკის დედაქალაქ ანადირიდანაც კი უყუროს. ვარჯიშებზე დასწრება ოლიგარქის საყვარელი საქმიანობაა. ამიერიდან მას ეს სიამოვნება აღარასოდეს მოაკლდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ხუანდე რამოსი ტოტენჰემში თავს მშვენივრად გრძნობს

ინტერვიუ ხუანდე რამოსთან

# ჩემპიონობისთვის ბრძოლა გრანდებისთვის დაგვითმია

ამ კაცის ტალანტსა და ავტორიტეტში დაეჭვება არ ღირს. “სევილიამ” მის ხელში დიდ წარმატებებს მიაღწია. ანდალუსიელებმა ზედიზედ ორჯერ მოიგეს უეფას თასი. მერე დაიწყო ჩავარდნა, რაც ასევე ჩვეულებრივი ამბავია. რამოსს “სევილიის” დატოვება მოუხდა. დღეს ის “ტოტენჰემის” დამრიგებელია. ზოგი მიიჩნევს, რომ “მამლებს” მისი ხელი უკვე დაეტყო, ზოგიც თვლის, რომ მარტინ იოლის შემდეგ არაფერი შეცვლილა. ფაქტია, ხელშესახები შედეგები ჯერ არ ჩანს, არადა, მწვრთნელის მუშაობისთვის ეს მთავარი ბარომეტრია. ვნახოთ, რას ფიქრობს რამოსი თავის ლონდონურ თავგადასავალზე...

**- ვგონებთ, უკვე მოასწარით პრემიერლიგასთან ადაპტაცია... თუ ასე არ არის?**

- თავიდან გამიჭირდა და ეს უნდა ვაღიარო. ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო. ბევრის რამის შეცვლა და კორექტირება მომიხდა. ჩემმა შეგირდებმა ახალი მოთხოვნები უკვე აითვისეს და შემიძლია ვთქვა, რომ ასი პროცენტით იხარჯებიან. გაიხსენეთ, “ტოტენჰემი” ძალიან რთულ სიტუაციაში იყო. ახლა ჩვენ ნელ-ნელა ზემოთ მივიწევთ და მჯერა, მალე კიდევ უფრო მოვუმატებთ.

**- გუნდი აბსოლუტურად დემორალიზებული იყო...**

- აღარ მინდა წარსულზე საუბარი, თუმც ძველი შეცდომების გათვალისწინებაც გვმართებს. პირველ რიგში, “ტოტენჰემს” ფსიქოლოგიური პრობლემა ჰქონდა, ბიჭები ველარ პოულობდნენ მოტივაციას... არ ვიცი, რა იყო ამის მიზეზი. მაშინ მე “სევილიაში” ვმუშაობდი...

**- რა განსხვავებაა ესპანურ და ინგლისურ ფეხბურთს შორის?**

- რა თქმა უნდა, განსხვავება აშკარაა. ეს სულ სხვა კულტურაა, სხვა კლიმატია, სხვა მენტალობაა, თამაშის სტილიც განსხვავებულია... თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ ახალ რეალობას უკვე შევეგუე.

**- თქვენს უფლებამოსილებაში მხოლოდ მწვრთნელის ფუნქციები შედის თუ ამავდროულად მენეჯერიც ბრძანდებით?**

- იცით, “ტოტენჰემის” სტრუქტურა ძალიან ჰგავს ესპანური კლუბების სტრუქტურას. აქ არის პრეზიდენტი, არის სპორტული დირექტორი, მთავარი მწვრთნელი და ყველა თავის საქმეს აკეთებს.

**- ლონდონში თქვენზე დიდ იმედებს ამყარებენ...**

- დიახ და ეს ძალზე ბევრს მავალებს. სხვათა შორის, ინგლისში მწვრთნელებისადმი განსხვავებული დამოკიდებულებაა. აბსოლუტურად ყველა პირობას გიქმნიან, რათა მხოლოდ გუნდზე იფიქრო, აქ ნდობის ფაქტორი განუსაზღვრელია, მაგრამ რა თქმა უნდა, გარკვეულ ეტაპამდე. ლონდონში რომ ჩამოვედი, გავოცდი: აშკარაა, რომ “ტოტენჰემს” ყველანაირი შანსი აქვს მწვერვალების დასაპყრობად, მაგრამ დღემდე ეს ვერ მოხერხდა. არ ვიცი, რატომ. ვეცდები, ეს ყველაფერი მალე გამოვასწორო. ამიტომაც ვარ ლონდონში.

**- მაინც რატომ დატოვეთ “სევილია”?**

- ჩემი სევილიური კარიერა შთამბეჭდავია და იმედია, ამას ტრაბახში არ ჩამომართმევთ. შესაბამისად, მოგონებებიც სასიამოვნოა. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ “სევილიაში” მომავალს ველარ ვხედავდი. ვფიქრობ, სწორი ნაბიჯი გადავდგი. ამაში ყოველდღიურად ვრწმუნდები.

**- ბევრმა ესპანელმა მწვრთნელმა პოზიტიურად შეაფასა თქვენი ნაბიჯი...**

- ასე იზამდა ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი. დიდი სურვილი მქონდა, ფეხბურთის სამშობლოში მემუშავა და გამიმართლა, რომ “ტოტენჰემმა” მიმიწვია.

**- რომელ ესპანურ კლუბს შეადარებდით “ტოტენჰემს”?**

- ეს გუნდი ძალიან მაგონებს “ატლეტიკოს”, რომელსაც უდიდესი პოტენციალი აქვს. მსგავსებაც იმაშია, რომ ისევე, როგორც “ტოტენჰემი”, “ატლეტიკოც” ვერ ახერხებს ამ პოტენციალის სათანადოდ რეალიზებას და შესაბამისად, სერიოზული შედეგის მიღწევას.

**- რა ამოცანები დგას თქვენი გუნდის წინაშე?**

- მას შემდეგ, რაც კრიზისი დავძლიეთ, არ უნდა გავჩერდეთ, მუდმივად წინ უნდა ვიაროთ. ვეცდებით, რაც შეიძლება წარმატებით გამოვიდეთ უეფას თასზე, ინგლისისა და ლიგის თასებზე. ჩემპიონობისთვის ბრძოლა გრანდებისთვის დაგვითმია (იცინის). “ტოტენჰემს” ნამდვილად აქვს შესაძლებლობა, რომ რომელიმე ტიტული მოიგოს. ამას ვნახავთ...

**- მას მერე, რაც ლონდონში გადმოხვედით, უკვე არაერთი ესპანელი ფეხბურთელი “ტოტენჰემის” თვალთახედვის არეში მოიაზრება. რამდენად შეესაბამება რეალობას ესპანურ-ინგლისური ტრანსფერები?**

- არანაირი საფუძველი არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. ეტყობა, ვიდრე “ტოტენჰემში” არსებულ პრობლემებს ვარკვევდი, ბევრმა ჩათვალა, რომ ამა თუ იმ პოზიციაზე რომელიმე ჩემს თანამემამულეს შევიგულებდი. აქედან მოდის ეს ხმებიც. მაგრამ დღეს ჩვენ მხოლოდ საკუთარი პოტენციალის რეალიზებაზე ვფიქრობთ.

**- მაგრამ თქვენ ხომ ახსენეთ “სევილიიდან” ფრედერიკ კანუტესა და დანიელ ალვეშის შესაძლო ტრანსფერები? ასევე საუბარი იყო “ესპანიოლის” მოთამაშე ხორკეზეც...**

- კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვილია, შესაბამისად, არც “სევილიისთვის” და არც “ესპანიოლისთვის” წინადადებებით არ მიგვიმართავს. მოდით, დაველოდოთ სატრანსფერო ფანჯრის გახსნას. სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა ჩვენი პოტენციური ახალწვეულების ვინაობაც.

ჰამბურგი

# ვან დერ ვაარტი ტურინში?

## უვემ თქვა: რაფაელ, არ გინდა იუვე!

**რაფაელ ვან დერ ვაარტს** შობამდე უნდა მიელო გადაწყვეტილება იმის შესახებ, გააფორმებდა თუ არა „ჰამბურგთან“ ახალ ხელშეკრულებას. და თუ ჰოლანდიელი ფეხბურთელი ჩრდილოგერმანულ კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარს იტყოდა, ცხადი გახდებოდა, რომ ეს სეზონი მის ჰამბურგულ კარიერაში უკანასკნელი იქნებოდა. ვან დერ ვაარტმა საბოლოო გადაწყვეტილების ხალხისთვის განდობა იანვრისთვის გადადო, რამაც ეჭვი, რომ რაფაელი „ჰამბურგიდან“ წავა, კიდევ უფრო გაზარდა. მით უმეტეს, რომ დიდი ხანია, მიმომხილველები რეგულარულად იმეორებენ, რაფა HSV-ში დამრჩენი არაა.

ამრიგად, ვან დერ ვაარტის თქმით, მისი გადაწყვეტილება 7 იანვარს გახდება ცნობილი. ვადის გადაწევა ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა იმით დაასაბუთა, რომ მას კიდევ ერთხელ უნდა „ჰამბურგის“ ხელმძღვანელებთან კონსულტაციის გავლა. თუმცა აშკარად ჩანს, რომ მას ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს და უბრალოდ ჯერ არ უნდა, რომ გაახმაუროს. ყოველ შემთხვევაში გეტყვით, რომ თუ მაინც მოხდა სასწაული და ვან დერ ვაარტი „ჰამბურგში“ დარჩა, კონტრაქტს 2012 წლამდე გააფორმებს და წლიურად 4.2 მილიონ ევროს მიიღებს – სწორედ ასეთი წინადადებით მიმართეს მას HSV-ს ბოსებმა.

როგორც ირკვევა, მას მერე, რაც ჰოლანდიელმა შეფებისგან ახალი წინადადება მიიღო, მას სხვადასხვა კლუბებიდან კიდევ ერთხელ დაუკავშირდნენ. „ბილდის“ ინფორმაციით, რაფაელს „ვალენსიისა“ და „იუვენტუსის“ მესვეურები შეეხმიანენ. ამასთან, ხსენებული გამოცემა წერს, რომ ვან დერ ვაარტმა ტურინული კლუბისგან კონკრეტული შეთავაზება მიიღო. კერძოდ, „იუვე“ მზადაა, რაფაელის სანაცვლოდ „ჰამბურგს“ 17 მილიონი ევრო გადაუხადოს, ფეხბურთელს კი, ყოველწლიურად 5 მილიონი ევრო უხადოს – „ბებერი ქალბატონი“ ჰოლანდიელს ხუთწლიან კონტრაქტს სთავაზობს. შესაბამისად, ჩვენი გერმანელი კოლეგები უკვე წერენ, რომ ვან დერ ვაარტისთვის ბრძოლაში „იუვენტუსი“ უკვე ფავორიტია. ამ მოსაზრებას ის ფაქტიც ამყარებს, რომ რაფაელს „ბილდისთვის“ უთქვამს, „იუვენტუსში“ გადასვლა საკმაოდ რეალურია, ამ გუნდში თამაშზე უარს რომელი ჭკუათმყოფელი იტყვისო.

გერმანული ფეხბურთის და „ჰამბურგის“ ცოცხალი ლეგენდა **უვე ზეელერი** კი ამბობს, რომ ვან დერ ვაარტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავიდეს იტალიაში, კერძოდ კი ტურინში. *„იუვენტუსი? იტალია? უმჯობესია, რაფაელი კარგად დაფიქრდეს! მართალია, იტალია მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყანაა, მაგრამ ეს აღარ არის საუკეთესო ადგილი ფეხბურთის სათამაშოდ. იტალიურ ფეხბურთში კორუფცია მძინვარებს, ადამიანებს კლავენ, სტადიონებზე სულ უფრო და უფრო ცოტა მაყურებელი დადის. თანაც, იგივე „იუვენტუსი“ ცოტა ხნის წინათ სერიოზულ სკანდალში იყო გახვეული!“* – ამბობს ზეელერი და ვან დერ ვაარტს, რომელსაც ბუნდესლიგის 59 თამაშში 26 გოლი აქვს გატანილი, დაფიქრებას ურჩევს, - *„დიდი ფულის შოვნა, თანაც, ყოველგვარი გართულებების და ნერვიულობის გარეშე გერმანიაშიცაა შესაძლებელი,“* - თვითონ ზეელერი 60-იანი წლების დასაწყისში სწორედ ასე მოიქცა. მაშინ მას მილანის „ინტერი“ ეპატიჟებოდა და იმ დროისთვის ძალიან დიდ ხელფასს სთავაზობდა, მაგრამ უვემ მილაურ სუპერგრანდს უარი უთხრა და „ჰამბურგში“ დარჩა. ახლა კი იგივეს ვან დერ ვაარტსაც ურჩევს.

*„მე მინდა, რომ ჩემი გადაწყვეტილება რაც შეიძლება მალე გახდეს ქომაგებისთვის ცნობილი. ასე აჯობებს ჩემთვისაც და „ჰამბურგისთვისაც“*, – ეს კი თვითონ რაფაელის სიტყვებია, რომელიც იქვე HSV-ს ქომაგებისთვის იმედის ნაპერწკლის გამღვივებელ სიტყვებსაც ამბობს, - *„უნდა ვაღიარო, რომ ჯერ კიდევ ვფიქრობ და აქედან წასვლაზე გული მეთანაღრება. სიმართლე ვთქვა, არ ველოდი, რომ „ჰამბურგი“ ამ სეზონს ასე კარგად დაიწყებდა.“*

ტურინში კი ახალ გუნდს აშენებენ, სადაც ვან დერ ვაარტი მთავარი როლის შემსრულებელი უნდა იყოს. ჩვენი იტალიელი კოლეგების მტკიცებით, „იუვეს“ მწვრთნელ **კლაუდიო რანიერის** ვან დერ ვაარტი **პაველ ნედვედის** იდეალურ შემცვლელად მიაჩნია.

**გოტფრიდ ლენცი**



გაზეთ „ბილდის“ ფოტომონტაჟი: ვან დერ ვაარტი „იუვენტუსის“ ფორმაში

დორტმუნდი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# ლემანი ბორუსიაში ბრუნდება?

## გახდება თუ არა იენსი თავისი შემცვლელის შემცვლელი?

**იენს ლემანი** უკვე 99 პროცენტით დარწმუნებულია, რომ ლონდონის „არსენალში“ აღარ დაედგომება, რომ „მეთოფეების“ ძირითად შემადგენლობაში ველარასოდეს დაბრუნდება. მისი კონკურენტი **მანუელ ალმუნია** სულ უფრო და უფრო უკეთ გამოიყურება და შანსი იმისა, რომ **არსენ ვენგერი** ამ სეზონში ლემანს კიდევ ენდოს, თითქმის ნულის ტოლია. ამ ყველაფერში ლემანი 100 პროცენტით მხოლოდ მას მერე დარწმუნდება, რაც ვენგერს პირადად დაელაპარაკება. 38 წლის გოლკიპერი მოსალოდნელ საუბარს „ძალიან სერიოზულს“ უწოდებს. შესაბამისად, როგორც კი უშუალოდ მწვრთნელისგან მოისმენს იმას, რასაც დიდი ხანია ხვდება, „არსენალიდან“ წავა.

ლემანი ლონდონურ კლუბში 2003 წელს დორტმუნდის „ბორუსიიდან“ გადავიდა და გუშინ გერმანული პრესა ერთხმად იტყობინებოდა, რომ დიდი შანსია, ბუნდესმეკარე ისევ დორტმუნდში დაბრუნდეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. BVB-ს სპორტული დირექტორის, **მიხაელ ცორკის** თქმით, გამორიცხული არაა, რომ ვესტფალიურმა კლუბმა ლემანი მართლაც გადაიბიროს. როგორც გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, „ბორუსიის“ პირველმა მეკარე, **რომან ვაიდენფელერმა** (სწორედ ამ უკანასკნელმა შეცვალა 2003 წელს ლემანი) გასულ უქმეებზე მხრის ოპერაცია გაიკეთა და მინიმუმ სამთვიანი იძულებითი პაუზა გამოიწერა.

*„ვაიდენფელერის ოპერაციის შემდეგ ჩვენ ვალდებულები ვართ, რომ ახალი მეკარის შეძენაზე ვიფიქროთ. მე არ ვამბობ, რომ აუცილებლად ვიყიდით ვინმეს, მაგრამ ფაქტია, რომ ამაზეც ვფიქრობთ. ცხადია, ერთ-ერთი ვარიანტი სწორედ იენს ლემანის გადმობირებაა,“* – აცხადებს ცორკი.

ალსანიშნავია, რომ ლემანი და მისი მეუღლე **კონი** აღმოსავლეთ გერმანიიდან არიან. ლემანს დორტმუნდში ჯერ კიდევ აქვს სახლი და სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ ის სწორედ დორტმუნდში დაინახეს. ფაქტია, რომ „ბორუსიაში“ დაბრუნება მისთვის მისწრება იქნება. თანაც, BVB გაცილებით უკეთესი ადგილია, ვიდრე „ვოლფსბურგი“, სადაც ლემანს ასევე ეპატიჟებიან.

ვაიდენფელერის ოპერაციის შემდეგ „ბორუსიის“ მთავარი მწვრთნელის, **თომას დოლის** განკარგულებაში მხოლოდ ორი მეკარე დარჩა: 31 წლის **მარკ ციგლერი**, რომელმაც პირველ წრეში სამი თამაში ჩაატარა და გოლი არ გაუშვია და „ბორუსია II-ის“ მეკარე **მარკ ჰიოტეკე**, რომელიც 20 წლისაა და ბუნდესლიგაში ჯერ არცერთი შეხვედრა არ ჩაუტარებია. ლემანი BVB-ში 1998-დან 2003 წლამდე თამაშობდა და 129 მატჩს მოუყარა თავი. „კიკერთან“ ამასწინანდელ ინტერვიუში მან უკვე დაადასტურა, რომ თუ „არსენალიდან“ წასვლას გადაწყვეტს, ლონდონურ კლუბს მის სანაცვლოდ ფულის მოთხოვნის უფლება არ ექნება. ანუ, „დორტმუნდი“ მას ხელში უფასოდ ჩაიგდებს.

აქვე გეტყვით, რომ „ბორუსია“ უკვე მოურიგდა 25 წლის მარჯვენა მცველ **ანდრეას ჰინკელს**, რომელიც „სევილიაში“ ბედნიერი არ არის. ახლა მოლაპარაკებები კლუბებს შორის მიმდინარეობს. „სევილია“ ჰინკელის სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს ითხოვს.



1998-დან 2003 წლამდე იენს ლემანს ბორუსიის ფორმა ეცვა

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მირკო სლომკასთან

# უფრო ფრთხილი გავხდი

## გელზენკირხენელთა მწვრთნელი მიიჩნევს, რომ შალკეს პორტუს გაგდება შეუძლია...

2005 წლის შობა დღეს მირკო სლომკა დარწმუნებული იყო, რომ „შალკეს" იმდროინდელ დამრიგებელ რალფ რანგნიკთან ერთად გაათავისუფლებდნენ. მაგრამ გელზენკირხენული კლუბის შეფებმა მაშინ ძალიან მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღეს: „პროფესორი რალფი" გაუშვეს, მთავარ მწვრთნელად კი სლომკა დანიშნეს. მას მერე არ წყდებოდა სპეკულაციები იმის შესახებ, რომ მირკო „შალკეში" დიდხანს ვერ გაძლებდა. მაგრამ აი, მას მერე უკვე 2 წელი გავიდა და MR. Nobody სლომკა ისევ „შალკეს" მწვრთნელია. თანაც, ის უკვე პირველი სპეციალისტია, რომელმაც გელზენკირხენული კლუბი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაიყვანა. სლომკას გამოცემა „ველტის" კორესპონდენტი გაესაუბრა.

**- ჰერ სლომკა, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „შალკე" „პორტუს" შეხვდება. ბევრი მიიჩნევს, რომ „პორტუ" უხერხული მეტოქეა...**

- სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სულერთი იყო, ვინ შეგვხვდებოდა მერვედფინალში. ჩვენთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ ფლეი ოფში გავედით. ჩემი აზრით, ზოგ-ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ „პორტუ" ყველაზე სუსტი გუნდია იმ გუნდებს შორის, რომლებიც განთესილები იყვნენ, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. „პორტუ" მეტწილად დაცვით ფეხბურთს თამაშობს და კომპაქტური გუნდია, რაც ამ კლუბს უფრო სახიფათოს ხდის. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ჩვენ გვაქვს მეოთხედფინალში გასვლის რეალური შანსი.

**- ჯგუფურ ეტაპზე თქვენმა გუნდმა ვერც „ვალენსიას" მოუგო და ვერც „ჩელსის". რა გაძლევთ ოპტიმიზმის საფუძველს?**

- განვლილი მატჩები დეტალურად გავაანალიზეთ და შეცდომები დავინახეთ. ვფიქრობ, მომავალში იმ შეცდომებს აღარ დავუშვებთ. ლონდონში უშანსოდ ვიყავით, მაგრამ გელზენკირხენში დავამტკიცეთ, რომ „ჩელსისთან" ტოლ-სწორად თამაში შეგვიძლია. მართალია, მატჩი 0:0 დასრულდა, მაგრამ ჩვენ უამრავი მომენტი შეგვექმნა და ლონდონური კლუბის დამარცხება შეგვეძლო. იგივეს ვიტყოდი „ვალენსიასთან" მატჩებზეც. საკუთარ მოედანზე 0:1 წავაგეთ, მაგრამ ყველამ დაინახა, რომ მეტოქეს ვაჯობეთ და რომ მარცხი უიღბლობის ბრალი იყო. ესპანურ კლუბს „მესტალიაზეც" ვაჯობეთ. ასე რომ, ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად მაქვს.

**- „შალკეს" მერვედფინალში გასვლამ გაზარდა იმის შანსი, რომ ბუნდესლიგამ უეფას რეიტინგში მე-4 ადგილი დაიბრუნოს...**

- დიახ და მე ვიმედოვნებ, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება. დააკვირდით, გერმანული კლუბები უეფას თასზეც წარმატებით ასპარეზობენ და მე ვიმედოვნებ, რომ ერთ-ერთი მათგანი ფინალში ითამაშებს.

**- იქნებ „შალკეც" გავიდეს ფინალში. ალბერ შტრაიტთან ერთად, თითქმის გადაწყვეტილია, რომ თქვენს გუნდში იანვრიდან ბრაზილიელი ზე რობერტო II-ც ითამაშებს. დიდი შანსია, რომ „შალკემ" ურუგვაელი თავდამსხმელი ვისენტე სანჩესიც გადმოვა. გუნდი ამ ალბათ ტრანსფერებს იმიტომაც ახორციელებს, რომ ჩემპიონთა ლიგაში რაც შეიძლება შორს წავიდეს...**

- ფაქტი იყო, რომ შეტევაში გაძლიერება გვჭირდებოდა. ეს ტრანსფერებიც სწორედ ამას ემსახურება. შტრაიტი რომ „შალკეს" გააძლიერებს, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ბუნდესლიგაში მასზე უკეთესი მეპასე მე პირადად არ მეგულება. ამასთან, გაძლიერებას თავდასხმაშიც ვგეგმავთ. თქვენს მიერ ნახსენებ სანჩესთან მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს.

**- თქვენ ყოველთვის ამბობდით, „შალკეს" წარმატების მიღწევა გაძლიერების გარეშეც შეუძლიაო. ახლა კი მაინც ცდილობთ რამდენიმე ფეხბურთელიუს გადაბირებას. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ შეცდომა აღიარეთ? ან იქნებ პოლიტიკოსივით იქცევით და პუბლიკის წინაშე სხვა რამეს ამბობთ, სინამდვილეში კი სულ სხვაგვარად ფიქრობთ?**

- დამიჯერეთ, მწვრთნელი და პოლიტიკოსი განსხვავებული ცნებებია. მე სულაც არ ვარ ვალდებული, რომ პოლიტიკოსი ვიყო. ჩვენმა ანალიზმა ცხადყო, რომ ამ პოზიციებზე გაძლიერება გვჭირდებოდა და შესაბამისად, ხელები დავიკაპიწეთ. ჩვენი მიზანია, რომ „შალკემ" ევროპაში ძველებურად დაიქუხოს, ბუნდესლიგაში კი მუდმივად მოწინავე პოზიციები ეკავოს. მომდევნო სეზონშიც ჩემპიონთა ლიგაში უნდა ვითამაშოთ, ეს უბრალოდ აუცილებელია. პირველი წრის შემდეგ უეფას თასის ზონაში ვართ და ეს ძალიან ცოტაა.

**- ამას წინათ გუნდის პრეზიდენტმა იოზეფ შნუზენბერგმა გაგაკრიტიკათ. მას ამის შესახებ უკვე ესაუბრეთ?**

- რა თქმა უნდა! სიმართლე გითხრათ, შნუზენბერგის კრიტიკამ ძალიან გამაკვირვა. მაგრამ მან მითხრა, რომ თვითონაც გაკვირვებული იყო, რადგან ჟურნალისტმა მის სიტყვებს სხვანაირი ინტერპრეტაცია მიანიჭა. კრიტიკა ჩემთვის მიულებელი არასდროს ყოფილა, მაგრამ მერჩივნა, რომ პრეზიდენტს ყველაფერი ჩემთვის ეთქვა და არა პრესისთვის. როდესაც გუნდის ხელმძღვანელი მწვრთნელზე ცუდად ლაპარაკობს, ეს სპეციალისტის მდგომარეობას ყოველთვის ამძიმებს. ასე მოხდა „ბაიერნშიც".

**- მაგრამ თქვენ ჰიტცფელდის დარად არ მოიქცევით? ამას წინათ განაცხადეთ, როცა ადამიანი კედელში ლურსმანს ჩააჭედებს, მერე რომც ამოაძროს, ხვრელი მაინც დარჩებაო...**

- დიახ და იმ ხვრელის ამოვსებას სხვა მასალა სჭირდება...

**- ერთი წლის წინათ განაცხადეთ, „შალკეში" მუშაობა თავიდან ძალიან გაგიჭირდათ. თქვენ „მისტერ არავინ" შეგარქვეს და ბევრი მიიჩნევდა, რომ ამ პოსტზე მუშაობის ღირსი არ იყავით. მას მერე სულ იყო სპეკულაციები, რომ „შალკეში" დიდხანს ვერ გაძლებდით, მაგრამ აი, უკვე ორი წელია, რაც ამ პოსტზე მუშაობთ და მას მერე, რაც გუნდი არსებობის მანძილზე პირველად გაიყვანეთ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, თქვენი პოზიციები კიდევ უფრო გამყარდა...**

- როგორც ხედავთ, ჩემმა მუშაობამ შედეგი გამოიღო და ახლა უფრო მეტი პატივისცემით მეპყრობიან, ვიდრე ადრე. ახლა მე უკვე პირველი მწვრთნელი ვარ, რომელმაც „შალკე" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაიყვანა და ეს ძალიან მიხარია, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ტიტული მოვიგო.

**- ორი წლის წინათ დარწმუნებული იყავით, რომ რალფ რანგნიკთან ერთად თქვენც გაგათავისუფლებდნენ. შეიცვალა თუ არა ამ ორ წელიწადში მირკო სლომკა?**

- თამამად შემიძლია ვთქვა, რომ უფრო ფრთხილი გავხდი. ჩემს ზურგს უკან სულ მიდის გაურკვეველი საუბრები და ეს ძალიან სამწუხაროა, რადგან მე გულახდილი ადამიანი ვარ და სათქმელს ყოველთვის პირდაპირ ვამბობ. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ უფრო უკანდახეული გავხდი და სანამ რამეს ვიტყვი, ვფიქრობ, ღირს თუ არა ამ განცხადების გაკეთება, რადგან ხშირი იყო შემთხვევები, როცა ჩემს სიტყვებს სხვანაირი ინტერპრეტაცია მიეხა.

**- და თანახ, ახლა უფრო მეტი გაქვთ დასაკარგი...**

- ასეა. „შალკეს" მწვრთნელობა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და ამ თანამდებობის დაკარგვა არ მინდა!



მირკო სლომკა ოპტიმისტურადაა განწყობილი

გოტფრიდ ლენცი

ინგლისის ნაკრები

# ბექჰემი: ინგლისს გაუმართლა, რომ კაპელო ჰყავს

## გალაქტიკოს ეროვნულ გუნდში გამოძახების იმედი აქვს...

**დევიდ ბექჰემს** ფაბიო კაპელოს გუნდში თამაში სურს. სახელგანთქმულ ფეხბურთელსა და მწვრთნელს "რეალში" ყოფნისას იდეალური ურთიერთობა არ ჰქონიათ. ახლა კი მათ ინგლისის ნაკრებში მოუწევთ თანამშრომლობა. მოუწევთ იმ შემთხვევაში, თუ კაპელო საჭიროდ ჩათვლის 32 წლის ნახევარმცველის გამოძახებას. ბექჰმა დიდ ფეხბურთი, ფაქტობრივად, დაასრულა. ის ამერიკის საპენსიო ლიგაში აგორებს ბურთს. ეს საკმარისი არგუმენტი შეიძლება აღმოჩნდეს დონ ფაბიოსათვის, რათა დევიდის სამსახურზე უარი თქვას. ვითარებას დრამატულობას მატებს ის, რომ ბექჰემს ეროვნულ გუნდში ზუსტად 99 მატჩი აქვს ჩატარებული და ასიანთა კლუბამდე ერთადერთი შეხვედრა აშორებს. ინგლისელები მომდევნო მატჩს 6 თებერვალს შვეიცარიის ნაკრებთან გამართავენ. კაპელოს დებიუტი ამ თამაშში შედგება. ბექზსაც 6 თებერვალს შეუძლია საიუბილეო შეხვედრის გამართვა. აი, რა განუცხადა ინგლისელმა გალაქტიკომ ბი-ბი-სის: *"ფაბიო ის მწვრთნელია, რომელსაც ფეხბურთელები უსიტყვოდ ენდობიან. ფეხბურთის თამაში იმითაცაა საინტერესო, რომ ასეთ სპეციალისტებთან გიხდება მუშაობა. იმედი მაქვს, მისი გეგმების ნაწილი ვიქნები... ჩემი აზრით, ინგლისს ძალიან გაუმართლა, რომ ასეთი დამრიგებელი იშოვა. ის დაფასებული და წარმატებული სპეციალისტია. მას შთამბეჭდავი კარიერა აქვს."*



დევიდ ბექჰემი და ფაბიო კაპელო

მადრიდში ყოფნისას კაპელოსა და ბექჰემს შორის თითქმის ორი თვის განმავლობაში ფარული ომი მძვინვარებდა. დაპირისპირება მაშინ დაიწყო, როცა ფეხბურთელმა "ლოს ანჯელეს გალაქსისთან" გააფორმა კონტრაქტი. მადრიდელებმა დევიდს თანამშრომლობის გაგრძელება არ შესთავაზეს. ისიც ადგა და მომავალ დამქირავებელს შეუთანხმდა. ბექჰემმა ეს სატრანსფერო კანონმდებლობის დაცვით, მოქმედი ხელშეკრულების ამოწურვამდე ექვსი თვით ადრე გააკეთა. ძნელი სათქმელია, რას იზამდა დევიდი, "რეალს" რომ დარჩენა ეთხოვა. მას ხომ ამერიკაში ასტრონომიული ხელფასი (კვირაში დაახლოებით 500 ათასი დოლარი) დაუნიშნეს. "გალაქსისთან" კონტრაქტის გაფორმება და მადრიდელთა განაცხადიდან ამოვარდნა ერთი იყო. კაპელომ თქვა, ფეხბურთელი, რომელიც სხვა კლუბს გაურიგდა, მთელი გულით ვეღარ ითამაშებსო. გალაქტიკო არათუ სკამზე გადასვეს, არამედ ტრიბუნაზე მიუჩინეს ადგილი. ასე გაგრძელდა თითქმის ორი თვე. ამ ხნის განმავლობაში ბექჰემს ერთი ზედმეტი სიტყვაც კი არ დასცდენია. ის ერთთავად იმეორებდა, მწვრთნელის გადასაწყვეტია, მათამაშებს თუ არა, მე ძველებურად ვივარჯიშებ და დავარწმუნებ, რომ მინდორზე გასვლის ღირსი ვარო.

გალაქტიკომ მიზანს მიაღწია. იმ დროს, როცა "რეალს" გაუჭირდა, ბექჰემს შანსი მისცეს და მან ის ბოლომდე გამოიყენა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მინდორზე დაბრუნებულმა, რამდენიმე შეხვედრაში უმნიშვნელოვანესი გოლები გაიტანა და არანაკლებ მნიშვნელოვანი პასები ჩამოარიგა. "რეალმა" უსახურად დაწყებული სეზონი ოქროს მედლებით დაასრულა. ბექჰემი გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო. *"ჩვენს ურთიერთობაში იყო ულრუბლო დღეები და იყო პრობლემებიც, - ამბობს დევიდი. - მაგრამ ის მენდო და გუნდში დამაბრუნა. მისი წყალობით, ჩემი მადრიდული კარიერის დასასრული დაუვიწყარი გამოდგა. გული დამწყდა, რომ გაათავისუფლეს. მან ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს მოუტანა უმთავრესი რამ: ჩემპიონის ტიტული."*

კაპელოს აქტივშია ოთხ კლუბთან ერთად მოპოვებული 14 ტიტული. ინგლისი მისი პირველი სანაკრებო სამსახურია. დონ ფაბიომ ის სტივ მაკლარენი შეცვალა, რომელმაც ბრიტანელები ევროპის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა. კაპელომ ოთხწლიან კონტრაქზე მოაწერა ხელი. მას პირველსავე პრესკონფერენციაზე მოუხდა ბექჰემის შესახებ კომენტარის გაკეთება: *"დევიდი ყოველთვის აღწევს მიზანს. გუნდის დაკომპლექტებისას არჩევანის გაკეთება მომიწევს, მაგრამ ბექჰემი მნიშვნელოვანი ფიგურაა და ის მხედველოდიდან არ გამომეპარება."*

### ბოკას ახალი მწვრთნელი ჰყავს

"ბოკა ხუნიორსი" მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. **მიგელ ანხელ რუსომ** პოსტის დატოვება გადაწყვიტა. გაზეთ "კლარინის" ცნობით, მიზეზი დირექტორებთან უთანხმოება გახლდათ. რუსოს ორი ასისტენტის დათხოვნა მოსთხოვეს. მწვრთნელმა მის საქმეებში ჩარევა იუკადრისა და ბაირესელებს ზურგი შეაქცია. "ბოკა ხუნიორსის" ოფიციალურ წარმომადგენელს სენიორ მიგელ ანხელის გადადგომასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. სამაგიეროდ, ცნობილი გახდა, რომ 1 იანვრიდან კლუბს **კარლოს იშია** უხელმძღვანელებს. ის "ბოკაში" 1998-2001 წლებში მოღვაწეობდა. იშია მაშინდელი დამრიგებლის, **კარლოს ბიანკის** თანაშემწე იყო. ბაირესში დაბრუნებამდე სენიორ კარლოსი "როსარიო სენტრალში" მუშაობდა.

### ჯუკიჩი სერბეთის დამრიგებლად

სერბეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად **მიროსლავ ჯუკიჩი** ინიშნება. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია აღმასკომის სხდომას 24 იანვარს გამართავს და ახალ დამრიგებელსაც იქ დაამტკიცებს. ჯუკიჩმა ესპანეთში თამაშით გაითქვა სახელი. 1990-97 წლებში ის "დეპორტივოს" ღირსებას იცავდა, 1997-2003 წლებში კი "ვალენსიაში" ასპარეზობდა. 2001 წელს ის ესპანეთის ჩემპიონი გახდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მას ჯერ სერბეთის ახალგაზრდული ნაკრები, შემდეგ კი ბელგრადის "პარტიზანი" ჩააბარეს. ჯუკიჩს "პარტიზანთან" კონტრაქტი ახლახანს დაუმთავრდა. ეროვნულ გუნდში ის ესპანელ **ხავიერ კლემენტეს** შეცვლის. სენიორ კლემენტემ სერბები ევროპის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი



მალხაზ სულაშვილი

# შავზღველი სტუმარი კასპიის თასზე

ირანში რამდენიმე დღის წინ დასრულებულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე, რომელიც ქალაქ რაშთში გაიმართა, სამი ქართველი მოჭადრაკე ასპარეზობდა და ერთ-ერთმა მათგანმა, მალხაზ სულაშვილმა პირველობა მოიპოვა, თორნიკე სანიკიძემ მეოთხე ადგილი ირგუნა, ბაჩანა მორჩიაშვილი კი მერვეზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ სანიკიძემ და მორჩიაშვილმა მესამე-მერვე ადგილები გაიყვეს და კოეფიციენტით ერგოთ შესაბამისი ადგილები.

ირანში ისეთი საჭადრაკო ქვეყნის წარმომადგენლები თამაშობდნენ, როგორც რუსეთი, აზერბაიჯანი და ყაზახეთია; მათ გარდა თურქმენი მოჭადრაკეებიც მიიწვიეს მასპინძლებმა. დავძენთ, რომ მასპინძლებმა ყველა სტუმარი, ვისაც მაღალი საჭადრაკო წოდება ჰქონდა, საკუთარი ხარჯებით მიიწვიეს და მეტიც - მონაწილეობისთვის გარკვეული თანხაც გადაუხადეს. მხოლოდ აქ კი უსამართლოდ გამოურჩევიათ მავანნი და თუ რატომ და ვინ გამოარჩიეს, რა ვითარება იყო ტურნირზე და როგორ მოახერხა ქართველმა პირველობა, ყველაფერ ამაზე პასუხს რესპოდენტისგან, გამარჯვებულ მალხაზ სულაშვილისგან მივიღებთ.

- ირანის ქალაქ რაშთში მიმდინარე ტურნირს „კასპიის თასის" გათამაშება ჰქვია და ამ ზღვის აუზის ქვეყნების წარმომადგენლებს იწვევენ. ტურნირი ტრადიციულია და წელს მეექვსედ ჩატარდა. ქარველები პირველად დაგვპატიჟეს. მასპინძლებისთვის სასაყვედურო არაფერი გვაქვს. ორგანიზაციაც კარგი ჰქონდათ, კარგ სასტუმროშიც ვცხოვრობდით და კვებაც შესანიშნავი იყო - ძირითადად, ხორცეულს გვთავაზობდნენ: მწვადი, ქაბაბი და სხვადასხვა კერძები. სათამაშო დარბაზი სასტუმროდან მოშორებით მდებარეობდა, ამიტომ მინი-ავტობუსი გვემსახურებოდა. მიწვევისთვის და მონაწილეობისთვის, როგორც საერთაშორისო ოსტატებს 150 დოლარი გადაგვიხადეს და ამისთვის მადლობა გვეთქმის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენი კატეგორიის სხვა მოჭადრაკეებს - აზერბაიჯანელებს, რუსებს, ყაზახებს და თურქმენებს ორნახევარჯერ მეტი მისცეს. ეტყობა რახან ეს ქვეყნები უშუალოდ კასპიის ზღვას ესაზღვრებიან, ასეთი დიფერენციაციის მიზეზიც ეს იყო.

ტურნირი შვეიცარული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა; სათამაშო დრო კლასიკური გახლდათ: 90 წუთი მთელ პარტიაზე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. დარბაზი კომფორტული იყო, მაგრამ სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ დღეში ორ პარტიას ვთამაშობდით და დაფებთან დილის 9 საათზე ვსხდებოდით. გამონაკლისი იყო ბოლო დღე, მაგრამ რატომღაც გადამწყვეტი ტურის ჩატარება დილაადრიან, 8 საათზე გადაწყვიტეს. სიმართლე გითხრათ, ძალიან დავიღალე, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ გამარჯვება შევძელი და მთავარი პრიზის მფლობელი გახვდი.

**- საპრიზო ფონდი თუ იყო მაღალი?**

- საკმაოდ, თუმცა, ცხადია, ცნობილ საერთაშორისო ტურნირებს ვერ გაეტოლება - მე 1200 დოლარი მივიღე, რაც ოთხი დღის მონაგარისთვის საკმაოდ ნორმალურია, მით უფრო, როცა არც გზის ფულს იხდი და არც სასტუმროში და კვებაში გეხარჯება ფული...

**- წმინდა საჭადრაკო კუთხით რა დონის ტურნირი იყო?**

- დღეისთვის რეიტინგი 2423 მაქვს, ეს მაჩვენებელი კი ტურნირზე მეექვსე იყო. პირველი რეიტინგი ყაზახ მარატ ჯუმაევს ჰქონდა - 2527, მეორე აზერბაიჯანელი ფარიდ აბასოვი იყო - 2507. საკმაოდ მაღალი რეიტინგებია და მონაწილეთა უმეტესობა მაღალკვალიფიციური მოჭადრაკეები იყვნენ. გამარჯვება რთული იყო. გადამწყვეტი უპირატესობა ბოლო ტურში მოვიპოვე, როცა ძლიერ აზერბაიჯანელ ლოგმან გულიევს შავებით მოვუგე. ამ დროისთვის მარატ ჯუმაევს ნახევარი ქულით ჩამოვრჩებოდი და პირველზე რომ გავსულიყავი, აუცილებელი იყო, ყაზახს ნახევარი ქულა მაინც დაეკარგა. საბედნიეროდ, ასეც მოხდა - მარატის მეტოქე თორნიკე სანიკიძე იყო და ვერ მოუგო.

**- რეიტინგში ალბათ გვარიანად მოიმატებდი. 1 იანვრისთვის, როცა ფიდე ახალ რეიტინგლისტს გამოაქვეყნებს, როგორი მაჩვენებელი გექნება?**

- ირანში 16 პუნქტი შევიმატე, მაგრამ ამ შედეგების დათვლა 1 იანვრისთვის ვერ მოსწრება. თუმცა სექტემბრიდან მოყოლებული რამდენიმე ტურნირში ვითამაშე, საკმაოდ წარმატებულადაც და იქ დაგროვილი ქულების ხარჯზე დაახლოებით 2484-მდე მიგროვდება.

**-2500-იანი ნიშნული სერიოზული განაცხადია დიდ ჭადრაკში შესასვლელად. სექტემბერ-ნოემბერში თურქეთში სამ ტურნირში ითამაშე, სადაც მშვენიერი შედეგი აჩვენე: ერთი მესამე, ერთი მეორე და ერთიც პირველი ადგილი დაიკავე. რა არის შენი წარმატების მიზეზი?**

- შემოდგომა მართლაც „მოსავლიანი" მქონდა და ამ ტურნირებში თამაშითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. ირანის ტურნირის ჩათვლით 36 პარტია ვითამაშე და არცერთი არ წამიგია. ალმავლობას კი საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელთან, ხვიჩა სუპატაშვილთან მეცადინეობას ვუკავშირებ - ზაფხულში მასთან ვვარჯიშობდი და როგორც გამოჩნდა, ძალიანაც მარგო. სუპატაშვილთან წვრთნას მომავალშიც აუცილებლად განვაგრძობ.

**- ბატონი ხვიჩას ქართველ მოჭადრაკეებზე დიდი ამაგი აქვს, მაგრამ ის უფრო დებიუტების სპეციალისტია, არადა, ვგონებ არანაკლები ყურადღება ესაჭიროება შუათამაშს და ენდშპილს. ამ ნაწილის სპეციალისტი თუ გვყავს საქართველოში და თუ ფიქრობ, რომ საჭიროა ამ მხრივ წვრთნის გაძლიერება?**

- ჩვენში და, საერთოდაც, ძირითად ყურადღებას დებიუტებს აქცევენ, რადგანაც აქ ხდება უმეტესად ძირითადი უპირატესობის მოპოვება. თუმცა შუა თამაშში და ენდშპილშიც იგივე ოსტატობაა საჭირო, როგორც დებიუტებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენდშილების კარგი ცოდნა, რადგანაც თუკი დებიუტში მოპოვებული უპირატესობა ვერ გამოიყენე, შრომა წყალში ჩაგეყრება. არსებობს კიდევ ისეთი პოზიციები ენდპილში, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდე - ამით ადგენ, შესაძლებელია მოგება თუ არა. ამას თეორიული პოზიციები ეწოდება. სამწუხაროდ, ენდშპილის მაღალ დონეზე მცოდნენი საქართველოში არა გვყავს. აქ მთავარი ტექნიკა არ არის, რომელსაც დიდოსტატი კარგად ფლობს, მთავარია, პოზიციის ზუსტი აღქმა შეგეძლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მცირე პოზიციური შეცდომაც წაგების ფასად დაგიჯდება.

**- საინტერესოა, ეხმარება თუ არა მოჭადრაკეებს საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნა? აქედან ენდშპილისთვის საჭირო ცოდნას ვერ იღებთ?**

- სასარგებლო ნამდვილად არის, მაგრამ ენდშპილში ძალიან იშვიათად დგება ისეთი პოზიციები, როგორც ამოცანებსა და ეტიუდებშია. თუმცა მეცადინეობა მაინც გარგებს, რადგანაც, ჯერ ერთი, რომ გონებას ავარჯიშებს და მეორე: შესაძლოა ზუსტი არა, მაგრამ მსგავსი პოზიცია მაინც შეგხვდეს. ასე მაგალითად, ერთხელ ზურაბ აზმაიფარაშვილს ჰქონდა შემთხვევა, როცა მას ორი მხედარი და მეფე ჰყავდა, მეტოქეს კი მხოლოდ ერთი პაიკი და მეფე. თეორიაში ყველასთვის ცნობილია, რომ ორი მხედრით შამათი არ კეთდება; მითუმეტეს ვერ უნდა ჩაისვას შამათი, თუ მეიტოქეს პაიკიც ჰყავს, მაგრამ პარადოქსი სწორედ ის არის, რომ საკუთარი პაიკი ხდება ხელის შემშლელი და თეთრები საწადელს აღწევენ. მოგება მაინც ძალინა რთულია, მაგრამ, მთავარია, რომ შეგიძლია იბრძოლო. ამისთვის ამ პოზიციის ცოდნაა საჭირო. საქარველოში და არა მხოლოდ საქართველოში ძალიან ბევრმა ეს არ იცის, საკმაოდ მაღალი დონის დიდოსტატებმაც.

საერთოდ, ქართველ მოჭადრაკეებს ენდშპილების პრობლემა მაქვთ. ეს თვალნათელია. ამიტომ ამ კუთხით ბევრია სამუშაო და რაც მთავარია, არ უნდა დაგეზაროს. მე ბოლოს როდის ვიმეცადინე ენდშპილებში, აღარც მახსოვს, ამიტომ ამ პრობლემას აუცილებლად მივხედავ, სხვაგვარად მაღალი დონის მოჭადრაკედ ვერ ვიქცევი.

**- უახლოეს დროში სად აპირებ თამაშს?**

- თებერვლის დასაწყისში ისევ ირანში, ამჯერად დედაქალაქ თეირანში ტარდება საერთშაორისო ტურნირი, მაგრამ არ ვიცი წავალ თუ არა. ამ დროისთვის მოსკოვში „აეროფლოტის" ტურნირიც იწყება და შესაძლოა, საქარველოს ჩემპიონატიც ამ ვადებში ჩატარდეს. თუ დაემთხვა ვადები, საქართველოს ჩემპიონატში თამაშს ვარჩევ - ქვეყნის პირველობა უმთავრესია. ამის შემდეგ აპრილში ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატია ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში და დიდი სურვილი მაქვს, ვითამაშო. სხვა ტურნირებშიც კარგი იქნებოდა ძალების მოსინჯვა, მაგრამ სპონსორი არა მყავს და საკუთარი სახსრებით კი წასვლას ვერ ვახერხებ.

**- მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ტურნირში კარგად ითამაშე, დიდოსტატის ბალი ვერცერთხელ ვერ შეასრულე. მომავალ წელს გეგმავ დიდოსტატობას?**

- სურვილი დიდი მაქვს და იმედია, შევძლებ. თუმცა ამისთვის მაღალი დონის ტურნირებში თამაშია საჭირო. სამწუხაროდ, სპონსორი არა მყავს და საკუთარი სახსრებით ვერ დავდივარ მსგავს შეჯიბრებებზე, მაგრამ იმედს არ ვკარგავ და თუკი ხელისშემწყობი გამომიჩნდა, ვფიქრობ გაისად თუ არა, მომავალ წელს მაინც მივაღწევ საწადელს - ჯერ მხოლოდ 21 წლის ვარ და ყველაფერი წინა მაქვს.

**ზვიად შათირიშვილი**

# ესეც ტურნირი!

## თითქმის ყველა უძლიერესი, თითოოროლას გამოკლებით



მერაბ გაგუნაშვილი

სპორტსმენისთვის ტურნირები და იქ მიღებული პრაქტიკა რომ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ყველამ კარგად იცის. სპორტის ჩინოვნიკებმაც შესანიშნავად უწყიან, მაგრამ სათანადო პირობების შექმნას ხშირად ვერ ახერხებენ. ოდესღაც დიდი ავტორიტეტის მქონე ქართული ჭადრაკიც ამ დღეშია და მშველელი კი არ ჩანს.

უამრავჯერ დაგვიწერია ქართული ჭადრაკის ეს სატკივარი და როცა მავანთ მიზეზებს დავეკითხებოდით, თითქოს პირი შეკრესო, ყველა ფინანსურ პრობლემას ასახელებდა. და თანაც ამას ისე გეტყოდნენ, იფიქრებდი - საშუალო თანხაზე რომ იყოს ლაპარაკი, რა უჭირს - იშოვიდა კაციო, მაგრამ ძალიან დიდი ფულია საჭირო და ეგ კი ნაღდად შეუძლებელი საქმეაო.

სიმართლე ითქვას, ფული მართლაც აუცილებელია და თუ ბევრიც გაქვს - მთლად უკეთესი! მერე ნაღდად მოაბავ თავს საქმეს, მაგრამ სულ მქონდა ეჭვად, რომ არც ისე წვიმს ქართული სპორტის არენებზე, როგორც ქუხს: მცირედიც კი შეიწირების და, თუკი ერთ ასეთ ულუფას, მეორე და მესამეც მალევე მიეწევა, დანაყრებაც შესაძლებელია.

ჭადრაკზე ვსაუბრობთ და ასევე გავაგრძელებ: ჩვენში ძალიან ბევრი ნიჭიერი გოგო-ბიჭი თამაშობს ჭადრაკს, ისეთი, გაფრინდაშვილის, ჩიბურდანიძის და აზმაიფარაშვილის დაპყრობილ სიმაღლეებზე ასვლა რომ შეუძლია, მაგრამ ელემენტარული ყურადღება აკლიათ და რა ქნან - მარტო კაცს ევერესტზე ასვლა უჭირს. ეგებ ეგეც შეძლონ, მაგრამ სამშობლოში მკლავის გასაშლელი ვერ უპოვია და სხვაგან წასვლას ლამობს: შე დალოცვილო, თუკი წელიწადში ერთ მაღალი დონის ტურნირს ვერ მოაწყობ, საიდან გინდა ოქრო-ვერცხლი მოზიდო და ნიჭიერ თაობასაც ჭადრაკში დარჩენაში შეუწყო ხელი?! ამისთვის დიდი ფული ნამდვილად არ არის საჭირო - ნება და მონდომებაა მთავარი და საქმეც წინ წაიწევს.

აგერ ბატონებო, გუშინ, ჭადრაკის სასახლეში კიდევ ერთი ტურნირი ჩატარდა და დარბაზისთვის რომ გადაგეხედათ, გული გაგინათდებოდათ - მართლაც საქართველოს ყველა უძლიერესი მოჭადრაკე შეკრებილიყო, თითოოროლას გამოკლებით. ასეთი შემადგენლობა ნებისმიერმა ქვეყანამ ინატროს: 11 დიდოსტატი, 9 საერთაშორისო ოსტატი, ოთხი ქალთა შორის დიდოსტატი, ოთხი ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატი და კიდევ რამდენიმე ფიდეს წოდების მქონენი, რომლებიც თავისი კლასით აშკარად მეტს იმსახურებენ. სულ 58 მონაწილე შეიკრიბა და ბლიც-ტურნირში, 9 ტურად გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ასეთი შემადგენლობის შეკრება კი იმად გახდა შესაძლებელი, რომ ვიღაცამ მათზეც იზრუნა და უთხრა: თუკი ითამაშებთ, მცირე გასამრჯელოს მაინც მიიღებთო. ეს მცირე პირველი ადგილისთვის 400 ლარი იყო, თავის 12-პროცენტიანი დაქვითვით; მეორე ადგილისთვის - 300; მესამესთვის - 200; მეოთხეს - 100 ერგებოდა; მეხუთეს - 70; მეექვსეს - 60; მეშვიდეს - 50, ხოლო 8-9 და მეათეს - 40-40 ლარი. სტატუსიც შესაფერისი მოიძებნა - საქართველოს ჩემპიონატი ბლიცში.

ცხადია, სასაცილო თანხებია, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, დიდ ფულში არ არის საქმე, ყურადღებაშია და როცა მსგავსი ტურნირები მომრავლდება, ჩვენი მოჭადრაკეებიც მოიხედავენ „საჩვენოსკენ" და დღენიადაგ უცხოეთში გადახვეწაზე არ იფიქრებენ. აკი თქვეს გუშინ მონაწილეებმა - ძლივს არ გველირსა წარმომადგენლობითი ტურნირიო?!

ტურნირი კი, სპორტული თვალსაზრისით მართლაც შესანიშნავი გამოვიდა: იყო უკომპრომისო ბრძოლები, მოულოდნელი შედეგები და საბოლოოდ მაინც მოსალოდნელი დასასრული. საერთო ჯამში, საჭადრაკო ზეიმად შემდგარი შეჯიბრება.

პირველ ადგილზე **მერაბ გაგუნაშვილი** გავიდა 7.5 ქულით; მეორეზე - **მიხეილ მჭედლიშვილი**-7; 3. **კონსტანტინე შანავა**-7; 4. **თორნიკე სანიკიძე**-6.5; 5. **ხვიჩა სუპატაშვილი**-6.5; 6. **დავით არუთინიანი**-6; 7. **დავით ჯოჯუა**-6; 8. **ლევან ფანცულაია**-6; 9. **მალხაზ სულაშვილი**-6; 10. **ნინო ხურციძე**-6.

ფავორიტთაგან რამდენიმეს ხელი მოეცერა: **გია გიორგაძე** 5 ქულით მეოცე ადგილზე გ ავიდა; **ზურაბ სტურუა** 5 ქულით - მეთვრამეტე იყო; ამდენივე მოაგროვა და 23-ე ადგილზე გავიდა **გიორგი ყაჭეიშვილი**.

**ზვიად შათირიშვილი**

# ჩიბურდანიძე მიიწვიეს, ჯავახიშვილი რეზერვშია

მარტში თურქეთის ქალაქი სტამბოლი ქვეყნის უძლიერესი ბანკის „თურქიე ბანკასის" წყალობით ქალ მოჭადრაკეთა სუპერტურნირს უასპარეზებს სოლიდური საპრიზო ფონდით. ტურნირში პერსონალურად მიიწვიეს ათი მოჭადრაკე, მათ შორის კი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე**. ტურნირი სტამბოლის ყველაზე მაღალი შენობის 41-ე სართულზე გაიმართება. ტურნირს „იშ ბანკასი - ათათურქ ინტერნშნლ ვუმენ მასტერსი" ეწოდება.

სუპერტურნირში მიწვეულები არიან შვედი **პია კრამლინგი**, ყატარელი **ჟუ ჩენი**, ჩინელები **იუჰუა ქსუ** და **ჰოუ იფანი**. მაია რეიტინგით მონაწილეთა შორის მეხუთეა. სხვათა შორის, რეზერვში არის ქართველი დიდოსტატი **ლელა ჯავახიშვილი**, რომელიც რომელიმე მონაწილის გამოკლების შემთხვევაში ავტომატურად გახდება სუპერტურნის მონაწილე.

# მეორე ვარსკვლავთა შორის

ესპანეთის ზღვისპირა ქალაქ ბენიდორმში დასრულდა საჭადრაკო ფესტივალი, რომელიც მეექვსედ გაიმართა. იქ ბევრი საინტერესო ტურნირი გაიმართა, ფესტივალს პატივი თავად **ვიშვანათან ანანდმა** დასდო, რომელმაც 35 მოჭადრაკესთან ერთდროული სეანსი გამართა. მასტერსის ტურნირი ბულგარელმა დიდოსტატმა **ალექსანდრ დელჩევმა** მოიგო. ბენიდორმში ვარსვლავთა ტურნირიც გაიმართა, სადაც ექვსმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის კი დიდსოტატ **ბაადურ ჯობავა** იყო. ტურნირი 10 ტურიდან 8,5 ქულით რუსმა **ვლადიმირ მალახოვმა** მოიგო, მეორე ადგილზე 8 ქულით ჯობავა გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

ინტერვიუ იმედო ფხაკაძესთან

## ექვსი წაგება 1900 მეტრზე

### ღმერთმა ნუ ქნას, ლუქსემბურგს ვერ მოვუგოთ

**საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები დაბრუნდნენ თურქეთიდან, სადაც ხუთდღიანი შეკრება გაიარეს და მასპინძლებთან სამ-სამი საკონტროლო მატჩი გამართეს.**



მხოლოდ შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი გუნდების თურქული ვიზიტი არადამაკმაყოფილებელია. ეროვნულმაც და ახალგაზრდულმაც ყველა თამაში წააგეს (უფროსებმა 20:28, 26:31 და 17:42, ახალგაზრდებმა კი 20:37, 16:25 და 10:31).

თუმცა, მშრალ შედეგებზე მეტად ის არის საყურადღებო, რომ ორივე გუნდს აკლდა რამდენიმე ლიდერი. უფრო დიდი დანაკლისი ეროვნულ გუნდს ჰქონდა, რომელმაც ერთბაშად 4 წამყვანი ლეგიონერი **(სერგო დათუკაშვილი, ვლადიმერ რუსია, რეზო ჭანტურია და რატი მსხვილიძე)**, პირველი მეკარე **შოთა თევზაძე** და ნაკრების ყველაზე გამოცდილი ხელბურთელი **ტიტე კალანდაძე** მოისაკლისა. აქედან გამომდინარე, შედეგი მეორეხარისხოვანი იყო. მთავარი აქცენტი გაკეთდა მაქსიმალურად ბევრი მოთამაშის გამოცდასა და მათ ერთმანეთთან შეთამაშებაზე მოახლოებული „ჩელენჯ ტროფის" ფინალის წინ.

დანარჩენზე კი უფრო დეტალურად გვესაუბრება ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იმედო ფხაკაძე**.

- მასპინძლებმა ყველანაირი პირობა შეგვიქმნეს საცხოვრებლად და სავარჯიშოდ. ჩავატარეთ სამ-სამი საკონტროლო შეხვედრა და მწვრთნელებს საშუალება გვქონდა, ჩვენს ხელთ არსებული კონტინგენტიდან ყველა გვენახა საქმეში. ამ მხრივ სრულიად კმაყოფილი ვარ. როგორც მწვრთნელი, მხოლოდ ყველა შეხვედრის წაგებით ვარ უკმაყოფილო და ეს ბუნებრივია, რადგან არ არსებობს მწვრთნელი, რომ წაგებით კმაყოფილი დარჩეს. თუმცა, ამას ჰქონდა თავისი მიზეზებიც.

დავიწყოთ იმით, რომ გვაკლდა არაერთი წამყვანი მოთამაშე, რომელთა გარეშეც ნაკრები სულ სხვა ხელბურთს თამაშობს. ამას გარდა, აღსანიშნავია კლიმატური პირობები. რა დასამალია და გვიან გავიგეთ, რომ ერზერუმი ზღვის დონიდან 1900 მეტრზე ყოფილა. საწყის ორ შეხვედრაში ამან შედარებით ნაკლებად იმოქმედა, მაგრამ ბოლო დღეს იჩინა თავი და ბიჭებს მოძრაობა უჭირდათ. თანაც მესამე შეხვედრაში ახალგაზრდული ნაკრების ის წევრებიც ვათამაშე, რომლებიც ეროვნულისთვის მომწიფებულები არიან. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მესამე შეხვედრაში დიდი ანგარიშით წაგება ლოგიკურია.

ისე, მიუხედავად იმისა, რომ თურქებს ჩვენზე გაცილებით ძლიერი ეროვნული ჩემპიონატი და იდეალური მოსამზადებელი პირობები აქვთ, სულაც არ არიან ჩვენზე ძლიერები. წამყვანი ხელბურთელები რომ არ გამოგვკლებოდა, მათი დამარცხება სავსებით რეალური იყო.

**- თურქეთთან მატჩებში რომელმა ხელბურთელებმა გამოიჩინეს თავი ყველაზე მეტად?**

- გამოკვეთილი ლიდერები არ გვყოლია და ვინმეს გამორჩევა მიჭირს. არც ყველაზე ძლიერად უთამაშია ვინმეს და არც ძალიან სუსტად.

**- ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა მეკარე არჩილ გარიშვილი. როგორი შთაბეჭდილება დატოვა მან, შეუძლია „ჩელენჯ ტროფის" ფინალისთვის შემადგენლობაში მოხვედრა?**

- გარიშვილი გერმანიაში თამაშობს, საკმაოდ მაღალი დონის მეკარეა და თურქეთში ჩინებულად გაისარჯა. ამჟამად, შოთა თევზაძე უდავოდ პირველი მეკარეა, ხოლო მეორე ნომრობაზე ერთბაშად რამდენიმე მეკარეს აქვს პრეტენზია და ყველას შეუძლია შემადგენლობაში მოხვედრა. შეიძლება ითქვას, რომ მეკარის პოზიციაზე ყველაზე ნაკლებად გვაქვს პრობლემა.

**- ახალგაზრდული ნაკრების ახლად დანიშნულ მთავარ მწვრთნელ გარი თურქიაზე რას იტყვით?**

- გარი ნამდვილი პროფესიონალია და ჩინებულად უძღვება საქმეს. ჩვენ ერთმანეთთან შეთანხმებულად და ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ.

**- „ჩელენჯ ტროფის" ფინალისთვის დასკვნით შეკრებას როდის შეუდგებით?**

- საწვრთნელი პროცესი არ შეგვიწყვეტია. ახლა თბილისში ვართ და ვარჯიშს ვაგრძელებთ. იანვრიდან კი თელავში ბოლო შეკრებას გავივლით.

**- ლეგიონერები როდის ჩამოდიან?**

- ვლადიმერ რუსია უკვე თბილისშია. დანარჩენი ლეგიონერებიდან კი ზოგი ახალ წლამდე ჩამოვა, ზოგიც 1 იანვრის შემდეგ. რაც მთავარია, ბოლო შეკრებასა და „ჩელენჯ ტროფის" ფინალზე უკლებლივ ყველა ლეგიონერი იქნება ჩემს განკარგულებაში.

**- ფინალში ჩვენს მეტოქე ლუქსემბურგზე დამატებითი ინფორმაცია ხომ არ მოგიპოვებიათ?**

- როგორც იცით, ლუქსემბურგის თამაშის ვიდეოფირი უკვე გვაქვს. ამას გარდა, გარი თურქიამაც მომაწოდა ინფორმაციები. გარის თქმით, ლუქსემბურგი მოლდოვაზე ძლიერი არაა და მისი დამარცხება სავსებით რეალურად შეგვიძლია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ წავაგოთ, ამაზე ფიქრიც კი არ მინდა. თუმცა, ისეც არ შეიძლება, რომ მოედანზე საკუთარ თავში ზედმეტად დარწმუნებულები გავიდეთ. ნებისმიერ მეტოქეს სათანადოდ დაფასება სჭირდება.

**კობა ხატისაშვილი**

დაჯილდოება

## ვარსკვლავები ოლიმპიური წლის წინ

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" დეველოპერულკმა კომპანია „ოლიმპიურმა ვარსკვლავმა" მსოფლიოს წლევანდელი პირველობების მედალოსნები დააჯილდოვა. ცხადია, ყველაზე გულუხვად - 5 000 დოლარით მსოფლიო ჩემპიონები, ძიუდოისტი **ირაკლი ცირეკიძე** (90 კგ), ანტიკოსთა ნაკრების ლიდერი **რამაზ ნოზაძე** (96) და მისი თანაგუნდელი **დავით ბედინაძე** (60) დაჯილდოვდნენ. 3000 დოლარი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს, ძიუდოისტ **ნესტორ ხერგიანს** (60) გადაეცა, მსოფლიოს მესამე პრიზიორებს, ძიუდოიუსტ **ლაშა გუჯეჯიანს** (+120), ანტიკურად მოჭიდავე **ბადრი ხასაიას** (84) და „თავისუფალთა" ნაკრების წევრ **ოთარ თუშიშვილს** - 2000-2000 დოლარი. ამასთან, ნოზაძეს და ძიუდოში ევროპის ორგზის ჩემპიონ **ზაზა კედელაშვილს** (66) „ორთაჭალის ვარსკვლავის" მშენებარე კომპლექსში 2-ოთახიანი ბინების გასაღებებიც გადასცეს.

„ოლიმპიური ვარსკვლავი" იმ მცირერიცხოვან ქართულ კომპანიათაგანია, რომელიც თავისი მუშაობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად ქართულ სპორტზე ზრუნვას მიიჩნევს და ქვეყნის ყველა რეგიონში სპორტის განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის ბევრს აკეთებს. მისთვის არც გუშინდელი აქციაა გამონაკლისი. შეგახსენებთ, რომ კომპანიამ ევროპის წლევანდელი პირველობების გამარჯვებულებიც დააჯილდოვა, ხოლო სპორტის ოლიმპიურ სახეობებში 30-მდე პერსპექტიულ ათლეტს ყოველთვიურად 200-დოლარიან სტიპენდიას აძლევს. კომპანია მომავალშიც გააგრძელებს ანალოგიურ საქმიანობას, პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებულებისთვის კი აქედანვე ზრუნავს და მათაც ბინებს ჰპირდება. 2008 წელს კომპანია ხევსურეთში, სოფელ შატილში სპორტული დარბაზის მშენებლობასაც გეგმავს.

იმედია, „ოლიმპიურ ვარსკვლავს" მიმდევრებიც გამოუჩნდებიან.

ცხადია, გუშინდელი საღამო საზეიმო განწყობილებით წარიმართა. იყო კეთილი სურვილები და სამომავლო წარმატებების იმედი, რასაც სპორტსმენთა სამადლობელი ცვლიდა, ეს ყველაფერი კი კომპანიის ემბლემიანი ვეებერთელა ტორტის პრეზენტაციით დასრულდა.

**ირაკლი თავაძე**



ირაკლი ცირეკიძე



რამაზ ნოზაძე

ჩოგბურთი

## ყველამ უკან დაიხია

საჩოგბურთო სეზონი მორჩა, თუმცა არც ახალია ცხრა მთის იქით - 31 დეკემბერს ATP-ის და WTA-ის ტურნირები ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში განახლდება. ფაქტობრივად, ცვლილებები არ ყოფილა გუშინ გამოქვეყნებულ რეიტინგ-ლისტში, **ლადო ჩიხლაძე** 91 ქულით კვლავ მსოფლიოს 372-ე ჩოგანია. თითო საფეხური დათმეს სხვა ქართველებმა: 1213. **ნოდარ ითონიშვილი**, 1479. **გიორგი ხრიკაძე** და **გიორგი ჭანტურია**.

ქალთა რეიტინგ-ლისტში **მაკა ჩახნაშვილი** 160 ქულით მსოფლიოს 184-ე ჩოგანია, რაც წინა კვირის მდგომარეობას ერთი ადგილით ჩამორჩება. სხვები: 285 (-2) **ანა ტატიშვილი** - 88, 409 (-2) **სოფიო შაფათავა** - 46, 513 (-3) **თინათინ ყაველაშვილი** - 31, 592 (-3) **სალომე დევიძე** - 22, 609 (-2) **მანანა შაფაქიძე** - 21, 646 (-3) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 18, 692 (-4) **სოფიო ქვაცაბაია** - 16, 807 (-6) **ეკა გორგოძე** - 10 და 847 (-3) **სოფიო მელიქიშვილი** - 9. როგორც ხედავთ, ყველამ დაიკლო რეიტინგში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თარიღი



**კვაჭაძე დავით.** დიბადა 25.12.1951 თბილისი. კრივი (81 კგ). ევროპის ჩემპიონი (1977), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1976, 77, 79), 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (მეოთხედფინალში ქულებით დამარცხდა იუგოსლაველ სლობოდან კაჩართან, რომელიც შემდეგ ჩემპიონი გახდა). საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1977). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრის გამგე.

## ნააგო და 3 ქულით ჩამორჩა

ერთმატჩიანი გამოფხიზლების შემდეგ, კვლავ დამარცხდა საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების ლიდერ **სერგო დათუკაშვილის** „ლიუბეკი". სერგოს კლუბი გერმანული ბუნდესლიგის მე-17 ტურში, ბერლინის „ფუქსეს" ესტუმრა და მხოლოდ ნახევარი საათი გაუძალიანდა. პირველი ტაიმის შემდეგ, მასპინძლები ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში უფრო ძლიერად ითამაშეს და საბოლოოდ, 34:26 მოიგეს. არადა, „ლიუბეკს" რომ ემარჯვა, „ფუქსეს" ერთი ქულით გადაუსწრებდა და მე-15 ადგილს ჩამოართმევდა. ახლა კი ქართველი გამთამაშებლის კლუბი 16-17-ე ადგილებს იყოფს „მინდენთან" ერთად და „ფუქსეს" უკვე 3 ქულით ჩამორჩება. ზამთრის არდადეგებამდე „ლიუბეკს" დარჩა ორი მატჩი - სტუმრად „ფლენსბურგთან" და შინ „ნორდჰორნთან".




რაც შეეხება უშუალოდ დათუკაშვილის მონაგარს, მან ბერლინში შვიდი გოლი გაიტანა და მართალია, ბომბარდირთა დავაში მეექვსე ადგილზე დარჩა, მაგრამ ლიდერებს საგრძნობლად მიუახლოვდა. მას 17 მატჩში 105 გოლი აქვს გატანილი და მეორე ადგილზე მყოფ კონრად ვილჩინსკიმდე („ფუქსე") მხოლოდ 4 ბურთი აშორებს. სხვათა შორის, ვილჩინსკიმ „ლიუბეკს" 8 გოლი გაუტანა. რაც შეეხება ბუნდესლიგის უპირველეს ბომბარდირ არნე ნეიმაიერს („მინდენი") მას 111-ჯერ აქვს შერხეული მეტოქეთა კარის ბადე.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან

# ბედნიერი 2007 რუსთავისთვის




**წლევანდელ სეზონში წაუგებლად ასპარეზობს დავით უსტიაშვილის "ენერჯი ინვესტი", რომელმაც უკანასკნელ ტურში საკუთარ მოედანზე "თბილავიამშენის" დამარცხებით კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიცია და ცხრიდან ყველა მატჩი თავის სასარგებლოდ აქვს დასრულებული. წინა სეზონის ტრიუმფალურად დასრულების შემდეგ, გუნდი ძალიან ბევრმა მოთამაშემ დატოვა, თუმცა მიუხედავად ამისა, "ენერჯი ინვესტი" მაინც ლიდერია. გთავაზობთ ინტერვიუს დავით უსტიაშვილთან, სადაც იგი ბევრ საინტერესო საკითხზე საუბრობს. ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებ გვერდზე გამოქვეყნდა.**

**- ბატონო დავით, მოდით, "ენერჯი ინესტისთვის" განვლილი 2007 წელი შეაფასეთ.**

- რა თქმა უნდა, მთავარი ის იყო, რომ პირველად რუსთავის "აზოტის", (შემდგომში "ენერჯი ინვესტი") ისტორიაში გავხდით ჩემპიონები, რითაც მთელ ქალაქს, ჩვენი გუნდის უამრავ გულშემატკივარს, გუნდის ხელმძღვანელებს დიდი სიხარული მივანიჭეთ და მშვენიერი საჩუქარი გავუკეთეთ საკუთარ თავსაც. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მოვიგეთ ქორქიასა და საკანდელიძის მემორიალი და მთლიანობაში, ჩემი აზრით, საკმაოდ ნაყოფიერი, წარმატებული სეზონი გამოგვივიდა. გუნდი სუპერლიგის მიმდინარე ჩემპიონატშიც წარმატებულად, ჯერჯერობით წაუგებლად მიდის და ვეცდებით, თამაშის ხარისხი კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ. გუნდში ძალიან ბევრი ახალგაზრდაა. გამყრელიძეს, ლეჟავას, ცეკვავას, ჭოჭუას, ლიპარტელიანს, დვალიშვილსა და მაჭავარიანს თავიანთი ფუნქციები დაეკისრათ და მწვრთნელები ვცდილობთ, მათი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვიყენოთ. რა თქმა უნდა, არიან გამოცდილებიც, იგივე გოგობერიშვილი, ბაბიაშვილი, ბოისა, ტუჯანი და დაგვემატა იოვან სტეფანოვი, რომელიც ძალიან მაღალი დონის მოტამაშეა. ახალგარზდებისა და ვეტერანების თამაშის შეზავებით გუნდისთვის აუცილებელი თავდაჯერებისა და აქედან გამომდინარე, სასურველი შედეგის მომკობა არ გაგვჭირვებია და იმედი მაქვს, გუნდი თავის სახეს შეინარჩუნებს და კიდევ უფრო დახვეწავს იმ კომპონენტებს, სადაც პრობლემები გვექმნება.

**- ორი სეზონის განმავლობაში საქართველოში გამართულ ყველა ტურნირზე თქვენი ხელმძღვანელობით, "ენერჯი ინვესტმა" მხოლოდ სამი შეხვედრა (წინა სეზონში ჩემპიონატსა და თასის ფინალში "თბილავიამშენთან" და წელს, დუდუ დადიანის სახელობის მემორიალზე "მაკაბისთან") წააგო. იმ მატჩებს ხომ ვერ გაიხსენებდით და შეუძლია თუ არა თქვენს გუნდს უკეთ თამაში?**

- "თბილავიამშენთან" თასის ფინალში "ენერჯი ინვესტს" ჩავარდნა ჰქონდა და მეტოქემ დამსახურებულად დაგვამარცხა. ამის მერე იგივე გუნდთან უკვე ფსიქოლოგიური პრობლემები შეგვექმნა, გუნდი სათანადოდ ვერ განეწყო და "თბილავიამშენმა" ზედიზედ მეორედაც მოგვიგო. მერე და მერე გუნდი დალაგდა, ბევრი პრობლემატური სათამაშო ნიუანსი მოვაგვარეთ და იგივე "თბილავიამშენს" სუპერლიგის ფინალურ სერიაში სამიდან სამი მატჩი მოვუგეთ. რაც შეეხება "მაკაბის", ეს ჩვენთვის სეზონის პირველი მატჩი იყო და აქედან გამომდინარე, მატჩის მსვლელობისას შეცდომები გარდაუვალი გახლდათ. არ გვყოლია ტუჯანი, ხოლო კიდევ ერთი მაღალი მოთამაშე, სტეფანოვი კი გუნდს შეხვედრის დაწყებამდე სამი საათით ადრე შეუერთდა და აშკარად გადაღლილი იყო. გარკვეულწილად გაგვიმართლა, რომ ჩვენს ჯგუფში იგივე "მაკაბი" შემდეგ თსუსთან დამარცხდა და საბოლოოდ, ჯგუფიდანაც გავედით და ტურნირიც ჩვენს სასარგებლოდ დავასრულეთ. შეგვიძლია თუ არა უკეთ თამაში? კი, რა თქმა უნდა, შეგვიძლია, მაგრამ საამისოდ რაც შეიძლება ცოტა შეცდომა უნდა დავუშვათ და გუნდური კალათბურთი ვითამაშოთ.

**- ორი სეზონის განმავლობაში ორი სხვადასხვა გუნდი გყავდათ. შარშანდელი ჩემპიონობის შემდეგ "ენერჯი ინვესტი" შვიდმა მოთამაშემ დატოვა და შევსება კი გაცილებით მწირი იყო. როგორ მოახერხეთ ასეთი დანაკლისის მიუხედავად, გუნდისთვის ლიდერის სტატუსისა და ასეთი თავდაჯერების შენარჩუნება?**

- მართალი ხართ, ორი სეზონის განმავლობაში პრაქტიკულად, ორი სხვადასხვა გუნდით თამაში მოგვიხდა. შვიდმა მაღალი დონის, გამოცდილმა მოთამაშემ დაგვტოვა, თუმცა ვინც დაგვემატა და მთელი სეზონის განმავლობაში ჩვენთან ითამაშებს (ლეჟავა, ბაბაიაშვილი, სტეფანოვი), დიდი ძალაა და მათ გუნდის თამაში ნამდვილად გააძლიერეს. შარშანდელ გუნდს თავისი დადებითი და უარყოფითი ნიუანსები ჰქონდა და იგივეს თქმა წლევანდელ "ენერჯი ინვესტზეც" შეიძLება. ასე რო, მთავარია შედეგი და თუ ვინ მოიტანს ამ შედეგს, გადამწყვეტი ნიშვნელობა არ აქვს.

**- შარშან "ენერჯი ინვესტის" უკანა ხაზში ძალიან ძლიერი ტანდემი, გიორგი გამყრელიძე და კოტე ტულუში გყავდათ. წელს, როდესაც ტულუში "თბილავიამშენშია", ხომ არ გგონიათ, რომ ამით გამყრელიძეს მეტი სივრცე მიეცა, გაუჩნდა საკუთარ თავზე ინიციატივის აღების მეტი და უკეთესი შესაძლებლობა?**

- არა, გამყრელიძე ინიციატივას საკუთარ თავზე შარშანაც იღებდა და ეს კარგადაც გამოსდიოდა. მისი მთავარი მოვალეობა ჩვენი გუნდის შეტევების ორგანიზაციაა, ხოლო თუ მეტოქე მას უმეთვალყურეოდ ტოვებს, თავისთვად, გამყრელიძე ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს და სროლას არ დაახანებს. კოტე და გიორგი კარგად ავსებდნენ ერთმანეთს, წელს კი გამყრელიძეს ამისი გაკეთება სხვებთან ერთად უწევს.

**- "ენერჯი ინვესტს" მშვენივრად მოერგო სტეფანოვი, რომელიც გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფიგურედ იქცა.**

- ნამდვილად ასეა. იოვანი ძალიან კარგი, თავისი სიმაღლისთვის სწრაფი მოთამაშეა, რომელიც საკმაოდ კარგად იყენებს იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც ჩვენი ოპონენტები აძლევენ. ქულა-მოხსნის დაგროვების გარდა, იგი დიდ "შავ" სამუშაოსაც ასრულებს და დაგვეთანხმეთ, რომ ამას მშვენივრადაც აკეთებს. სტეფანოვი პიროვნულადაც დიდი სიმპატიით სარგებლობს თანაგუნდელებსა და გულშემატკივრებში და მჯერა, რომ "ენერჯი ინვესტს" ამაზე დიდ სარგებელს მოუტანს.

**- გუნდის ორი ახალწვეული, ბესიკ ლეჟავა და ზვიად ბაბიაშვილი, თავიანთ წინა გუნდებში (შესაბამისად, თსუ და "თბილავიამშენი") გამოკვეთილი მექულეები, ლიდერები იყვნენ, რომლებიც საკმაოდ ძლიერ ინდივიდუალისტებად ჩამოყალიბდნენ, თქვენთან კი მათ პირველ რიგში, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე თამაში უწევთ. ხომ არ გაუჭირდათ ბესიკსა და ზვიადს "ენერჯი ინვესტთან", მის მოთამაშეებთან საერთო ენის გამონახვა?**

- არა, არანაირად არ გასჭირვებიათ. დავიწყოთ იმით, რომ ლეჟავას საკმაოდ დიდი ხანია ვიცნობ. იგი ჩემთან ჯერ კიდევ 15 წლის ასაკიდან ვარჯიშობდა, ანუ იმ დროიდან, როდესაც "აკადემიის" მწვრთნელი ვიყავი. ბესოს მშვენივრად ვიცნობ, მასაც კარგად ესმის ჩემი და ამ მხრივ, საერთო ენის გამონახვა არ გაგვჭირვეია. რაც შეეხება ბაბიაშვილს, ზვიადი ძალიან გამოცდილი მოთამაშეა და ხვდება, რომ "ენერჯი ინვესტი" პირველ რიგში, გუნდია. ბაბიაშვილს ჩვენთვის დიდი სარგებელი მოაქვს, თუმცა მასაც და ლეჟავასაც ბევრად უკეთ თამაში შეუძლიათ და დარწმუნებული ვარ, ამას გააკეთებენ კიდეც. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მთავარია, შედეგი, ხოლო მოთამაშეთა ამ კონტინგენტით კი მაღალი შედეგისთვის ბრძოლა არათუ რეალური, არამედ აუცილებელიცაა.

**- ბატონო დავით, წლევანდელი სუპერლიგის მთავარი აღმოჩენა რა ან ვინ არის?**

- მთავარი მოვლენა "ვითას" დაბრუნებაა, რაც კიდევ უფრო გაალამაზებს ჩვენს ჩემპიონატს. "ვითა" ქართული კალათბურთის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია.

**- ამ ეტაპზე ვის შეიყვანდით პირველ სიმბოლურ ხუთეულში?**

- უკანა ხაზი – გამყრელიძე და ტულუში, ფორვარდები – სტეფანოვი და ბოისა, ხოლო ცენტრი კი გიორგი შერმადინი.

**- და ბოლოს, თუ შეიძლება, სამი საუკეთესო მოთამაშეც დაგვისახელეთ.**

- მესამე ადგილზე სტეფანოვს დავაყენებდი, მეორეზე – გიორგი შერმადინს, ხოლო საუკეთესო კი გამყრელიძეა.

www.gbf.ge

## ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი

# ჩემპიონს ლიცენზია ჩამოართვეს

ავტოსპოტში საქართველოს ჩემპიონატი რუსთავის ავტოდრომზე წყვილთა რბოლის გამართვით დასრულდა. მას, შეიძლება ითქვას, ფორმალური ხასიათი ჰქონდა და დღეს მის მიმდინარეობაზე არ ვისაუბრებთ. საქმე ისაა, რომ საქართველოს **ავტოფედერაციის** ხელმძღვანელებმა წრიულ რბოლაში ჩემპიონს **არჩილ ბიძინაშვილს** ლიცენზია გააუქმეს. მიზეზად ასახელებენ ბიძინაშვილის მონაწილეობას **ავტოსპორტის ფედერაციის** ეგიდით ჩატარებულ რამდენიმე შეჯიბრში, სადაც ასევე წარმატებული იყო მისი გამოსვლა.



ჩვენი აზრით, არ შეიძლება უცებ გადაუსვა ხაზი ბიძინაშვილის ნალვაწს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ავტომრბოლობა მარტო ერთ რომელიმე სახეობაში ასპარეზობით არ გამოიხატება. რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რალისა და ჩქაროსნულ მანევრირებას ერთი ფედერაცია ატარებს, ხოლო წრიულ რბოლას და აღმართის ჩქაროსნულ დაძლევას - მეორე? თუ ეს შეჯიბრები ერთმანეთს არ ემთხვევა, ხელს არ უშლის და პილოტს მასში მონაწილეობისთვის კონტრაქტი აქვს გაფორმებული, მას პრობლემები არ უნდა შეექმნას. პირიქით, ერთი ფედერაციის ხელმძღვანელები უნდა ამაყობდნენ იმით, რომ მათი ლიცენზიის მქონე პილოტი მეორე ფედერაციის შეჯიბრებშიც უძლიერესია.

თუმცა, რომელ ორ ფედერაციაზეა ლაპარაკი?

მთელ მსოფლიოში ავტოსპორტის ყველა სახეობას ერთი უდიდესი ორგანიზაცია, FIA, საერთაშორისო ავტოფედერაცია აკონტროლებს, ჩვენთან კი ერთი უმეტესად წრიული რბოლის განხრით მუშაობს, მეორე - რალის. ხომ არ არის დრო, რომ წყენა, ქიშპობა, გადმობირება-გადაბირება შეწყდეს და ერთ საქმეს, რომელსაც საქართველოში ავტოსპორტის პოპულარიზაციის დონის ამაღლება ჰქვია, ორივე ფედერაცია ერთად, გაერთიანებული ძალით ემსახუროს?

როგორც ვიცი, ლიცენზიის გაუქმება უკიდურეს, განსაკუთრებულ შემთხვევაში ხდება. აი, მაგალითად, ჩეხმა **ტომაშ ენგემ**, ფორმულა 3000-ში ჩემპიონის ტიტული და სუპერლიცენზია მას შემდეგ დაკარგა, რაც პილოტის სისხლში მარიხუანის კვალი აღმოაჩინეს. მადლობა ღმერთს, ჩვენთან ამგვარი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ახლა რამდენიმე ისტორიული ფაქტი. XX საუკუნის 60-იანი წლების შუალედში ფორმულა 1-ში, სპორტპროტოტიპებსა და რალიში, ერთდროულად, „ბრებემით", „პორშე 917"-ით და „პორშე 911"-ით ინგლისელი პილოტი, **ვიკ ელფორდი** ასპარეზობდა და ყველგან წარმატებას აღწევდა, მოგებული აქვს მონტეკარლოს რალი, მაგრამ ამისთვის ელფორდი არავის დაუსჯია, ლიცენზია არავის წაურთმევია.

რალიში მსოფლიო ჩემპიონი, გერმანელი **ვალტერ რიორლი** ყოველთვის იჩენდა ინტერესს წრიული რბოლებისადმი, კერძოდ, სუპერტურიზმისადმი და მონაწილეობდა კიდეც შეჯიბრებში, მაგრამ ამის გამო მისთვის სუპერლიცენზია არავის ჩამოურთმევია. რალის კიდევ ერთი ცოცხალი ლეგენდა, ესპანელი **კარლოს საინსი**, მოქმედი პილოტი იყო, როცა „ლე მანის 24 საათიან (წრიულ) რბოლაში" იასპარეზა „ტოიოტა GT 1"-ის მოდელით, მაგრამ არც მას შეჰქმნია პრობლემები.

იგივე შეიძლება ითქვას ვენესუელელ **ჯონი ალბერტო ჩეკოტოზე**, რომელიც მოტომრბოლობდა, როცა ფორმულა 3-ის სკოლა გაიარა, ფორმულა 1-ში ასპარეზობდა, მერე კი სუპერტურიზმში მრავალგზის ჩემპიონი გახდა. თუმცა ჩეკოტომდე ხომ განუმეორებელი რეკორდის ავტორი, ინგლისელი **ჯონ სერტისია**, რომელმაც ჯერ მოტორბოლაში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, შემდეგ კი ავტორბოლაშიც (ფორმულა 1). თანაც არც ერთი სახეობისთვის არ უღალატია. აზრადაც არ მოსვლია ვინმეს, მისთვის ამის გამო ლიცენზია ჩამოერთმია.

მრავალპროფილიანი თანამედროვე სპორტსმენის ნათელი მაგალითია იტალიელი **ვალენტინო როსი**, რომელიც მოტორბოლაშიც წარმატებულია, რალიშიც, საერთოდ კი სარბოლო კარიერა კარტინგით დაიწყო.

მოდით, ამაზე შევჩერდეთ, ისედაც ყველაფერი ნათელია. ლიცენზია მფლობელს უპირობოდ უნდა დაუბრუნდეს!

**დავით ჩუბინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



ვლადიმერ ბოისა



მანუჩარ მარკოიშვილი

ლეგიონი. კვირის მიმოხილვა

# 15 კარგია, მოგება უკეთესი

### უკრაინა

საახალწლო არდადეგების წინ მანუჩარ მარკოიშვილის „კიევმა“ უკრაინის ჩემპიონატში მორიგი მატჩი მოიგო. ამჯერად დედაქალაქელებმა ლვოვის „პოლიტექნიკა“ გაანბილეს - 90:78.

საფინალო ანგარიშის მიხედვით შეიძლება იფიქროთ, რომ „კიევმა“ მშვიდად გაიმარჯვა, მაგრამ ასე არ ყოფილა - საწყისი სამი პერიოდის შემდეგ ტაბლოზე 58:58 ეწერა. გადამწყვეტ რაუნდში კი თავი გაიგიჟა ამერიკელმა პუხ ჯეტერმა, რომელმაც ბოლო 11 წუთში 21 ქულა ჩააგდო და „კიევს“ უკრაინის ჩემპიონატში მეთორმეტე მატჩი მოაგებინა.

ჯეტერმა საბოლოოდ 23 ქულას მოუყარა თავი. **მანუჩარ მარკოიშვილმა** 30 წუთში 12 ქულა ჩააგდო, ბურთი 4-ჯერ მოხსნა, 1 შედეგიანი გადაცემა და 2 ჩაჭრა მიითვალა.

12 ტურის შემდეგ მანუჩარ მარკოიშვილის გუნდს 12 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში რომელ პოზიციაზეა, ამის გამოცნობა თქვენთვის მოგვინდია.

მორიგ მატჩს „კიევი“ 5 იანვარს „ოდესის“ წინააღმდეგ ჩაატარებს. 8 იანვარს კი ულების თასზე „პო ორტეზთან“ სათამაშოდ საფრანგეთს ესტუმრება.

### რუსეთი

უკრაინიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, რუსულ ქალაქ ყაზანში ავინაცვლოთ, სადაც ერთი კვირაა, **ვლადიმერ ბოისას** „სპარტაკ-პრიმორიეა“ დაბანაკებული და ადგილობრივ „უნიქსთან“ მატჩების სერიას მართავს. როგორ წააგო „სპარტაკმა“ თასის გათამაშების ნახევარფინალის პირველი მატჩი, უკვე მოგახსენეთ. ვლადივოსტოკელები „უნიქსს“ რუსეთის ჩემპიონატის ეგიდით გასულ უქმეებზეც გაეჯიბრნენ და შედეგიც არ შეცვლილა - „პრიმორიემ“ ამჯერადაც წააგო. ამ შემთხვევაშიც დიდი სხვაობით - 64:83. რომ არა მესამე პერიოდში „ჩაძინება“, შეიძლება შედეგი სხვაგვარი ყოფილიყო, ბოისას თანაგუნდელებმა მესამე ათწუთეული 9:21 წააგეს.

„სპარტაკ-პრიმორიეს“ რუსეთის პირველობაზე უკვე მერვე მარცხი (12 მატჩში) მოუგროვდა და აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ ზღვისპირეების წაგებებს შეჩვეულები არ ვართ, სამაგიეროდ მედლის მეორე მხარეა განათებული - ვოვა ბოისამ ყაზანში სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მან 30 წუთში 5-დან 3 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი, 4-დან 2 საჯარიმო გამოიყენა და 15 ქულას მოუყარა თავი. გარდა ამისა ვოვას ანგარიშზე 4 მოხსნა, 1 შედეგიანი გადაცემა და 2 ჩაჭრაა. ბოისას დარად „სპარტაკის“ სნაიპერობა ჯეი არ ბრემერმა იკისრა. მანაც 15 ქულა მიითვალა. შეხვედრის საუკეთესო კი უნიქსელი დარიუს ლავრინოვიჩი იყო - 17 ქულა.

„პრიმორიე“ მორიგ მატჩს კვლავ „უნიქსის“ დარბაზში ჩაატარებს, ამჯერად რუსეთის თასზე და შინ ისე გაბრუნდება.

ზემოთ ვლადივოსტოკელთა მერვე წაგება ვახსენეთ. ასეთი ცუდი შედეგი მხოლოდ ჩვენთვის კი არა, კლუბის ხელმძღვანელობისთვისაც ადვილად შესამჩნევია. „პრიმორიეს“ უფროსობა პირველ რიგში მთავარი მწვრთნელით სერგეი ბობკოვითაა უკმაყოფილო და მის შეცვლაზეც არაოფიციალურად საუბრობს. სპარტაკელებს რუსეთის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა ჰყავთ და ცსკა-ს თუ არა, „უნიქსს“ სამიდან ერთ მატჩს მაინც უნდა უგებდნენ. სერგეი ბაბკოვის სასარგებლოდ არც ისტორია მეტყველებს: იგი რუსეთის ნაკრების მწვრთნელი როცა იყო, საქართველოს ეროვნულ გუნდთანაც წააგო. ხოლო, ბაბკოვის ნაცვლად რუსებმა დევიდ ბლატი რომ დანიშნეს ევროპის ჩემპიონები გახდნენ. ვნახოთ, როგორ განვითარდება - ბაბკოვ-“პრიმორიეს“ ურთიერთობა.

### ესტონეთი

რუსეთის მეზობლად, ესტონეთში დამაჯერებლად თამაშობს **გიორგი ცინცაძე**, რომელსაც „ტარტუ როკიც“ ფეხს უწყობს. „როკერებმა“ ესტონეთის ჩემპიონატში გასვლითი შეხვედრა „დალკიასთან“ 20 ქულის სხვაობით მოიგეს - 74:54.

სასტარტო შემადგენლობაში მოასპარეზე გიორგი ცინცაძემ 3-3 ორქულიანი და საჯარიმო ისროლა, 2-2 ჩააგდო, 6 ქულა, 5 მოხსნა და 5 პასი მიითვალა. ეს ყველაფერი 28 წუთში გააკეთა. მატჩის სნაიპერი „ტარტუს“ მეფარე ვალოაალინგუ გახდა - 19 ქულა, თუმცა გიორგის მოხსნებში ვერ აჯობა(4 მოხსნა).

ესტონეთის ჩემპიონატში 17 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს „კალევი“ ლიდერობს. მას ერთი წაგებაც არა აქვს. „როკი“ 17-დან მხოლოდ 3 მატჩში დამარცხდა.

### იტალია

სამწუხაროდ დასავლეთ ევროპის წამყვან საკალათბურთო ლიგებში წელს ლეგიონერთა რიცხვი ორამდე შემცირდა. ამ ქვეთავში **ნიკა ცქიტიშვილსა** და მის „ტერამოზე“ ვისაუბროთ, მომდევნოში - ესპანეთში მოასპარეზე **ტაირონ ელისზე.**

ტერამოელებს იტალიის ჩემპიონატში მძიმე მატჩი ჰქონდათ - დაახლოებით ისეთი, როგორიც ბოისას ყაზანში. ცქიტოს გუნდი ბოლონიაში „ფორტრესას“ დაუპირისპირდა და 72:99 წააგო. მასპინძლებმა პირველივე მეოთხედში 12 ქულიანი ფორა მოიპოვეს და შეხვედრა მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე. ბოლონიური მატჩის ყაზანურთან ანალოგიის გავლება ქართველების თამაშითაც შეიძლება - ნიკამ მეგობარი ბოისას დარად 4-დან 2 სამქულიანი ჩააგდო, ჯამში 15 ქულა მოიპოვა და თანაგუნდელთა შორის სნაიპერობა არავის დაუთმო. 15 ქულის გარდა ცქიტოს ანგარიშზე 6 მოხსნა და 1 პასია.

იტალიის ჩემპიონატში ზედიზედ ორი წაგების შემდეგ (წინა ტურში „მონტეპასკისთან“ დათმო) „ტერამო“ ათეულიდან ამოვარდა, მე-11 პოზიციაზე გადაინაცვლა - 7 მოგება, 8 წაგება.

### ესპანეთი

მიმოხილვა ესპანეთში დავასრულოთ, სადაც დაახლოებით ისეთი ამბებია, როგორიც იტალიასა და რუსეთში: კარგად ითამაშა საქართველოს ნაკრების წევრმა **ტაირონ ელისმა**, მაგრამ მისმა „კახასოლმა“ „გრანადასთან“ სტუმრად ოვერტაიმში 76:81 წააგო.

ტაირონმა მოედანზე 34 გაატარა ცქიტოსა და ბოისაზე ერთით მეტი, 16 ქულა ჩააგდო (8-დან 4 სამქულიანი), რასაც 4 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა მიაყოლა.

„კახასოლის“ სატურნირო მდგომარეობას კი ნუ იკითხავთ: 13 მატჩიდან მხოლოდ 4 აქვთ მოგებული და 18-გუნდიან ჩემპიონატში მე14 პოზიციაზეა.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვადასხვა

### ჩოგბურთი

## უილიამსების მამა ახალ ვუნდერკინდს ზრდის

დები უილიამსების მამა **რიჩარდ უილიამსი**, რომლის დამსახურებაცაა პროფესიულ ტურში მისი ქალიშვილების - **სერენასა** და **ვენუსის** დიდი წარმატებები, 8 წლის დამწყები ჩოგბურთელის გაწვრთნას შეუდგა. უფროსი უილიამსი პირობას დებს, რომ **ჯანკარლო კავალიეროსგან** მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავს გაზრდის.

კავალიერომ უკვე მოიგო ბავშვთა ხუთი ტურნირი და ამაზე გაჩერებას არ აპირებს. უილიამსის მტკიცებით, ჯანკარლოს უკვე დღეს გააჩნია ბავშვისთვის არადამახასიათებელი ამბიციურობა და საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა.

*"ის ძალიან მონდომებული ბიჭია, რომელსაც საჩოგბურთო ნიჭი გააჩნია. კავალიერო ჯერ ყურადღებით მისმენს, შემდეგ ჩემს რჩევებსა და დარიგებებს ისრუტავს და ბოლოს, ყველა მითითებას კორტზე ზედმიწევნით ასრულებს. ის რაღაცით ანდრე აგასისაც მაგონებს. მომავალში ჯანკარლო ისეთივე ვარსკვლავი გახდება, შეიძლება მეტსაც მიაღწიოს!"* - მოჰყავს რიჩარდ უილიამსის სიტყვები Daily News.

ნორჩმა ვუნდერკინდმა 5 წლის ასაკში ჩამოკიდა თავისი ოთახის კედელზე **როჯერ ფედერერის** პლაკატი, თუმცა მისი საყვარელი ჩოგბურთელი არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანი** გახლავთ.

## კლაისტერსმა წიგნი გამოუშვა

სპორტიდან წასულმა **კიმ კლაისტერსმა** წიგნი დაწერა, რომელიც თავის თაყვანისმცემლებს მიუძღვნა. ბელგიელის ნაშრომი იმითაა უჩვეულო, რომ მასში არ არის აღწერილი ჩოგბურთელის ცხოვრება ან მისი მიღწევები კარიერის მანძილზე. ეს წიგნი გახლავთ ერთგვარი კრებული, სადაც თავმოყრილია ის საუკეთესო წერილები, რომლებსაც კლაისტერსს, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გულშემატკივრები უგზავნიდნენ. წიგნის სახელწოდებაც შესაბამისია - "ჩემი ფანატები".

ამ ნაბიჯით ცნობილი ჩოგბურთელი მადლობას უხდის ყველა, ვინც მას არა მარტო ტრიუმფის, არამედ დამარცხებების დროს ედგა გვერდით. წიგნი 192-გვერდიანია და კლაისტერსის სურათებით არის გაფორმებული.

## ჩაწყობილი მატჩებისთვის 15-წლიანი ციხეა

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორები მკაცრ ბრძოლას გამოუცხადებენ ჩაწყობილ მატჩებს. მათ უკვე გამოაქვეყნეს იმ სასჯელთა ნუსხა, რომელიც არაპატიოსან თამაშში მხილებულ ჩოგბურთელებს ელით. ეს არის ფულადი ჯარიმა, სამუდამო დისკვალიფიკაცია და პატიმრობა.

ვიქტორიას შტატის პოლიციის სუპერინტენდანტმა **ჯეკ ბლეინიმ** ჟურნალისტებს შეახსენა, რომ ჩაწყობილი მატჩების ორგანიზება ან უკანონო ფსონები ავსტრალიაში 15-წლიანი პატიმრობით ისჯება.

## ესპანელებმა კანდიდატები დაასახელეს

ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციამ აქედანვე დაიწყო მზადება 2008 წლის დევისისა და ფედერაციის თასებისთვის. მამაკაცთა და ქალთა ნაკრებების კაპიტნებმა, **ემილიო სანჩეს-ვიკარიომ** და **მიგელ მარგეტსმა** შემადგენლობებში მოხვედრის კანდიდატები დაასახელეს. შესაბამისად, ეს ჩოგბურთელები პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრის პრეტენდენტებიც არიან.

სააგენტო EFE-ს ცნობით, მამაკაცთა გაფართოებულ შემადგენლობაში შემდეგი ჩოგბურთელები მოხვდნენ: მსოფლიოს მეორე ჩოგანი **რაფაელ ნადალი**, მე-5 ნომერი **დავიდ ფერერი**, **ტომი რობრედო**, **ხუან კარლოს ფერერო**, **კარლოს მოია**, **ფერნანდო ვერდასკო**, **ნიკოლას ალმაგრო** და **ფელისიანო ლოპესი**. თებერვალში, ესპანეთის ნაკრებს დევისის თასის მერვედფინალში, გასვლითი მატჩი ელის პერუს ნაკრებთან.

მიგელ მარგეტსმა კი, ქალთა გუნდში ასევე რვა ჩოგბურთელი მიიწვია: **ანაბელ მედინა-გარიგესი**, **ლურდეს დომინგეს-ლინო**, **ვირხინია რუანო-პასკუალი**, **ლაურა პოუს-ტიო**, **ნურია ლაგოსტერა-ვივესი**, **მარია ხოსე მარტინეს-სანჩესი**, **კარლა სუარეს-ნავარო** და **მარტა მარერო**. ესპანეთის ქალთა ნაკრები ფედერაციის თასზე 2 თებერვალს აიღებს სტარტს - ის იტალიის ნაკრებს უმასპინძლებს.

### კალათბურთი

## სპურსმა ეივერი ჯონსონი დააფასა

"სან ანტონიო სპურსის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა თავის ყოფილ მოთამაშეს, ამჟამად კი, "დალას მავერიქსის" მთავარი მწვრთნელ **ეივერი ჯონსონს** მუდმივ მფლობელობაში გადასცეს მაისურა მეექვსე ნომრით.

ჯონსონს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 16 წელი აქვს გატარებული, აქედან ათი სეზონი ის "სპურსის" შემადგენლობაში თამაშობდა და 1999 წელს, ამ გუნდთან ერთად NBA-ის ჩემპიონიც გახდა.

## ლეიკერსს კიდი მოუნდა

გამოცემა New York Post სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ "ლოს ანჯელეს ლეიკერსი" და "ნიუ ჯერსი ნეტსი" მოლაპარაკებებს აწარმოებენ მოთამაშეთა გაცვლის თაობაზე.

"ლეიკერსს" "ნეტსის" ერთ-ერთი ლიდერის, **ჯეისონ კიდის** ხელში ჩაგდება სურს. ამის სანაცვლოდ, კალიფორნიული კლუბი მზად არის დათმოს **კვამე ბრაუნი**, **ჯორდან ფარმარი**, **ვლადიმერ რადმანოვიჩი** და აგრეთვე მომდევნო ორ დრაფტზე ორი მოთამაშის არჩევის უფლება.

ჯერჯერობით, ეს ინფორმაცია ოფიციალურად არავის დაუდასტურებია.

## კლექსტონმა სეზონი დაასრულა

"ატლანტა ჰოქსის" მცველი **სპიდი კლექსტონი** სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. შეგახსენებთ, რომ **ზაზა ფაჩულიას** გუნდმა შარშან, ამ კალათბურთელთან 4-წლიანი და 25-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა.

კლექსტონს ტრავმირებულ მუხლზე ოპერაცია ელის, რის შემდეგაც აღდგენით პროცესს თვეები დასჭირდება. თუმცა მცველს, რომელსაც ამ სეზონში არცერთ მატჩში არ მიუღია მონაწილეობა, ჯერ არ გადაუწყვეტია დათანხმდეს თუ არა ურთულეს ოპერაციას. უარის თქმის შემთხვევაში, კლექსტონმა კარიერის დასრულებაზე უნდა იფიქროს.

## მძლეოსნობა



ოსკარ პისტორიუსი

იშვიათი შემთხვევა

## პისტორიუსს უპირატესობა ჰქონია

სამხრეთ აფრიკელი მძლეოსანი **ოსკარ პისტორიუსი** იმითაა ცნობილი, რომ მას ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს და პროთეზის მეშვეობით ახერხებს ჯანმრთელ მორბენლებთან პაექრობას. მისი ოცნება პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლა იყო, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ოცნება არ აუსრულდება.

საქმე ისაა, რომ მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაცია (IAAF) ეჭვობს, რომ პროთეზით, რომელიც ნახშირბადოვანი ბოჭკოების კომპოზიციური მასალისგანაა დამზადებული და დრეკადი დანის პირის მოყვანილობა აქვს, მას ჯანმრთელ მორბენლებთან გარკვეული სასტარტო უპირატესობა გააჩნია. რამდენიმე თვის წინ, IAAF-ის ხელმძღვანელობამ და თავად პისტორიუსმა მოილაპარაკეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, კომპეტენტური სპეციალისტები მოეწვიათ, რომლებიც საკითხის შესწავლის შემდეგ დაასკვნიდნენ, აქვს თუ არა უფეხო მორბენალს სხვებთან რაიმე უპირატესობა.

ექსპერტიზის ჩასატარებლად, მხარეებმა კიოლნის უნივერსიტეტის ბიომექანიკის ინსტიტუტის სპეციალისტი **გერტ-პეტერ ბრუგემანი** მოიწვიეს, რომელმაც თავისი დასკვნა IAAF-ს წარუდგინა. დასკვნა ჯერ ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, თუმცა ბრუგემანი გაზეთ "დი ველტთან" საუბარში ამბობს, რომ პისტორიუსს ჯანმრთელ მორბენლებთან შედარებით გარკვეული უპირატესობანი გააჩნია.

*"ჩვენ პისტორიუსის მონაცემები რამდენიმე ჯანმრთელი ათლეტის მონაცემებს შევადარეთ. განსხვავება მხოლოდ რამდენიმე პროცენტია და არ მგონია, ჩვენს მიერ მიღებული შედეგებით რაიმე დასკვნის გაკეთება შეიძლებოდეს"*, - ამბობს მეცნიერი.

პისტორიუსი, ვინც "დანის პირზე მორბენლის" მეტსახელითაა ცნობილი, ახლა 21 წლისაა. მას ფეხების ამპუტაცია მაშინ ჩაუტარეს, როცა 11 თვისა იყო. ამის მიზეზი კი მოურჩენელი თანდაყოლილი დეფექტი ყოფილა.

## ველოსპორტი

ვარსკვლავი

## ბელოკიმ კარიერა დაასრულა

ტურ დე ფრანსის სამგზის პრიზიორმა, ესპანელმა ველომრბოლმა **ხოსებ ბელოკიმ** თავისი სპორტული კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. 34 წლის ველომრბოლი გახმაურებულ დოპინგ სკანდალ ოპერასიონ პუერტოში იყო გარეული და ამის გამო, რამდენიმე ათეული ველომრბოლის მსგავსად, წელიწადნახევარი არსად უასპარეზია.

შეგახსენებთ, რომ ბელოკი წლების განმავლობაში, ამერიკელი **ლენს არმსტრონგის** ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კონკურენტი იყო. მან 2002 წლის ტური მეორე ადგილზე დაასრულა, 2000 და 2001 წლებში კი მესამე ადგილს დასჯერდა. ბელოკი 2003 წელსაც ამერიკელის მთავარ კონკურენტად მოიაზრებოდა, მაგრამ მაშინ ერთ-ერთ სამთო ეტაპზე, დაღმართში მოძრაობისას დაეცა და მძიმე ტრავმა მიიღო (ლავიწის ძვალი მოიტეხა). იმ ინციდენტში არმსტრონგიც გაერია, თუმცა ის სერიოზულ ტრავმას გადაურჩა – დროულად მოარიდა თავისი ბაიკი წაქცეულ ბელოკის და ბალახებში გადავიდა, სადაც რამდენიმე ათეული მეტრი მკვეთრ დაღმართში იარა და ისევ დაბრუნდა ტრასაზე.

ბელოკის კი მიღებული ტრავმების სრულად მოსაშუშებლად დაახლოებით სამი წელი დასჭირდა. ის ესპანურ გუნდ "ლიბერტი სეგუროსში" გადავიდა, მაგრამ ძველებური ფორმა ველარ აღიდგინა. იმავე სეზონში, ტურის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, ესპანეთში სკანდალი ოპერასიონ პუერტო აგორდა, სადაც ბელოკიც იყო გარეული. ამის გამო, ის ფრანგულ ტურზე აღარ დაუშვეს.

შეგახსენებთ, რომ ოპერასიონ პუერტოს მთავარი პერსონაჟი ესპანელი ექიმი **ეუფემიანო პუენტესი** გახდა, რომელიც ათეულობით სპორტსმენს დოპინგსაშუალებებით ამარაგებდა. მის კლიენტთა სიაში აღმოჩნდნენ ისეთი ცნობილი ველომრბოლები, როგორებიც არიან ბელოკი, იტალიელი **ივან ბასო** და ესპანელი **ალეხანდრო ვალვერდე**.

იმის გამო, რომ ოპერასიონ პუერტოში იყო გარეული, "ლიბერტი სეგუროსი" მთლიანად მოიხსნა ტურ დე ფრანსიდან. შესაბამისად, სეზონის მთავარ ველომრბოლაში მონაწილეობა ველარ მიილო ბელოკიმაც. მალე კი გუნდი მთავარმა სპონსორმაც მიატოვა და ის მალე დაიშალა კიდეც.



ხოსებ ბელოკი

ბელოკიმ, ვინც წარმოშობით ბასკია, თავისი პროფესიული კარიერა 1998 წელს, ბასკურ გუნდ "ეუსკალტელში" დაიწყო. შემდეგში ის "ფესტინაში", "ონსეში", "ბრიოშ ლა ბულანჟერსა" და "ლიბერტი სეგუროსში" გამოდიოდა.

*"სპორტს თავაწეული ვტოვებ და ვამაყობ იმით, რისთვისაც პროფესიულ კარიერაში მიმიღწევია. წელიწადნახევარია, არსად მიასპარეზია და ეს გადაწყვეტილებაც ამ უქმობის ლოგიკური გაგრძელებაა. სანამ წასვლას გადავწყვეტდი, დაბრუნება ვცადე, მაგრამ ჩემს მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია და წასვლის მეტი აღარაფერი დამრჩენოდა"*, - განაცხადა ბელოკიმ.



თომას მორგენშტერნი

## ტრამპლინიდან ხტომა

მსოფლიო თასი

## მორგენშტერნი ახალ რეკორდს ვეღარ შესწვდა

ტრამპლინისტთა მიმდინარე სეზონის მთავარ მოვლენად ავსტრიელი ოლიმპიური ჩემპიონის, **თომას მორგენშტერნის** შესანიშნავი გამოსვლები იქცა. ხუმრობა ხომ არ არის, ავსტრიელმა მხტომელმა სეზონის პირველი ექვსივე ეტაპი მოიგო და მეშვიდეზე ცოტა დააკლდა, რომ ყველა დროის რეკორდი გაეუმჯობესებინა.

მორგენშტერნმა თავისი მეექვსე გამარჯვება შვეიცარიის სამთო კურორტ ენგელბერგში მოიპოვა. 21 წლის მხტომელმა ორი ცდის (132.5 და 133 მეტრი) ჯამში 260.4 ქულა მოაგროვა და სოლიდური უპირატესობით აჯობა უახლოეს მდევარს, თავის თანამემამულე **ანდრეას კოფლერს** (254.4 ქულა). მესამეზე დარჩა ნორვეგიელი **ტომ ჰილდე**.

*"როცა შენგან ყველა მორიგ გამარჯვებას ელის, ხტომაზე კონცენტრირება ძალიან ძნელია. კოშკში რომ ვიყავი, მხოლოდ ჩემს მომავალ ნახტომზე ვფიქრობდი. წარმოვიდგინე, რომ ვარჯიშზე ვიყავი, და ეს ნახტომები არავის აინტერესებდა"*, - ნაასპარეზევს განაცხადა მორგენშტერნმა, ვისაც ექვსი ეტაპის შემდეგ, ქულათა მაქსიმუმი (600) დაუგროვდა. მას 251 ქულით ჩამორჩა კიდევ ერთი ავსტრიელი **გრეგორ შლირენცაუერი**, მსოფლიოს პოლონელი ჩემპიონი **ადამ მალიში** კი მეათე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

აღსანიშნავია, რომ მორგენშტერნამდე სეზონის დასაწყისში ზედიზედ ყველაზე მეტი, ოთხი ეტაპი ავსტრიელ **ანდრეას ფელდერსა** (1984 წელს) და ფინელ **იანე აჰონენს** (2004 წელს) ჰქონდათ მოგებული. სეზონის შუაში კი ზედიზედ ყველაზე მეტი, ექვსი გამარჯვება იმავე აჰონენის და მის თანამემამულე **მატი ჰაუტამაკის** ანგარიშზე იყო.

მისთვის სამწუხაროდ, მორგენშტერნმა ზედიზედ მეშვიდე ეტაპის მოგება ველარ შეძლო. იმავე ენგელბერგის დიდი მთის ტურნირზე, მან მხოლოდ მესამე შედეგი აჩვენა. გამარჯვება კი შვეიცარიელმა **ანდრეას კიუტელმა** მოიპოვა, ვინც ორი ცდის (125.5 და 136 მეტრი) ჯამში 252.7 ქულას მოუყარა თავი. 248.9 ქულით (124.5 და 136 მეტრი), მეორე ადგილი შლირენცაუერს ერგო, მორგენშტერნმა კი 246.6 ქულით (124.5 და 135 მეტრი) კვარცხლბეკის მესამე ადგილი დაიკავა.

ამგვარად, შვიდი ეტაპის შემდეგ, მსოფლიო თასის გათამაშებას მორგენშტერნი 660 ქულით ლიდერობს. 429 ქულით მეორეზე შლირენცაუერია, მესამე ადგილზე კი 300 ქულით კიდევ ერთი ავსტრიელი, **ვოლფსგანგ ლოიტცლი** იმყოფება. ელგენბერგში მოპოვებული გამარჯვებით, კიუტელს 227 ქულა დაუგროვდა და მას მსოფლიო თასზე მეშვიდე ადგილი უკავია.

ახლა ტრამპლინიდან მხტომელებს ყველაზე პრესტიჟული, ოთხი მთის ტურნირები ელით, რომლებზეც, უპირველეს ფავორიტად სწორედ მორგენშტერნი მიიჩნევა.

*"მომწონს, რომ ოთხი მთის ტურნირზე მთავარი ფავორიტი ვიქნები. რა თქმა უნდა, ჩემგან კვლავ ყველა გამარჯვებას ელის. ბევრისთვის ეს ზედმეტ ფსიქოლოგიურ ზეწოლას გამოიწვევდა, მე კი ეს არ მეხება. ამასთან, ისიც მესმის, რომ ჩემს გარდა, მსოფლიო თასზე ბევრი ძლიერი მხტომელიც გამოდის, რომლებსაც, ამ ეტაპზე, მე მცირედით ვჯობნი. მაგრამ არავინ იცის, გაგრძელდება თუ არა ასე მომდევნო ტურნირებზეც"*, - ამბობს მორგენშტერნი.

NBA. რეგულარული

# ბრაიანტის ოცი ათასი



"ლეიკერსის" დღევანდელი დინასტია ერთ მოთამაშეზე, **კობი ბრაიანტზეა** აგებული და სანამ ამ ყოვლისშემძლე ახალგაზრდას ჯანმრთელობა ხელს შეუწყობს, კალიფორნიელები ასე თუ ისე დასავლურ ელიტაში იტრიალებენ, კობი კი თავისას ასეც და ისეც მოიმკობს.

"ნიქსთან" მოგებულ შეხვედრაში "ლეიკერსის" კაპიტანმა კარიერის ქულათა მონაგარი 20 000-მდე აიყვანა და ზელიგის ისტორიაში გახდა ყველაზე ახალგაზრდა, ვინც კი ამ შედეგს მიაღწია.

"ნიქსი" რა გუნდიცაა, ისედაც ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ამ შედეგის, თან ასეთი ფეერიული გამოსვლით დაფიქსირება მაინც განსაკუთრებული მოვლენაა და მოდით, ოდნავ დეტალურად გავყვეთ აღნიშნული მატჩის ქრონომეტრაჟს.

ბრაიანტი 20 000 ქულას რომ გაუტოლდა, 22 წლისა და 122 დღის გახდა, ხოლო მანამდე კი უკეთესი მაჩვენებელი **უილტ ჩემბერლენსა** (29 წლის, 134 დღის) და **მაიკლ ჯორდანს** (29 წლის, 326 დღის) დაუფიქსირებიათ.

*"კობი არა მარტო ჩვენი ლიგის, არა მარტო კალათბურთის, არამედ მთლიანად მსოფლიო სპორტის მოვლენაა. ამ მოთამაშის რესურსს საზღვარი არ აქვს და კარგი იქნება, თუ კობის მისი კარიერის ბოლომდე ჯანმრთელობა ხელს შეუწყობს"*, - ამბობდა ნამატჩევ გამართულ პრესკონფერენციაზე "ნიუ იორკის" მთავარი მწვრთნელი **აიზია ტომასი**, რომელსაც ამ წაგებამ კიდევ უფრო რეალური გაუხადა "დიდი ვაშლიდან" აბარგების პერსპექტივა. "ნიქსისთვის" ეს წაგება 27-ე შეხვედრაში, მე-19 გამოდგა.

ბრაიანტმა ეს ზღაპრული მაჩვენებელი მესამე მეოთხედში, სადღაც 8 მეტრიდან ნასროლით დააფიქსირა, რასაც "მედისონ სკვერ გარდენის" ფანების ხანგრძლივი ოვაცია და "აიზია გადადექი"-ს სკანდირება მოჰყვა.

კობის 39 ქულა მისთვის ბოლო 12 შეხვედრაში სარეკორდო იყო და "ლეიკერსის" სიმბოლომ თამაშიდან 28-ში 14 სროლა გამოიყენა და 12 სამქულიანის შესრულებისას ხუთჯერ ივარგა.

*"არა მგონია, რეკორდი მისთვის აღნიშნულ შეხვედრაში თვითმიზანი ყოფილიყოს. Bბრაიანტი მეჯიქთან და მაიკლთან ერთად სულ სხვა კატეგორიის მოტამაშეებში შედის. დანარჩენი, დღევანდელი გენერაციის "ვარსკვლავები" მასთან მასშტაბურობით ახლოსაც კი ვერ მოდიან"*, - მიაჩნია "ნიქსის" ფორვარდ **ზაკ რენდოლფს**, რომელმაც ამ მატჩში 20 წუთში ორმაგი დუბლიც გააკეთა და შეტევაში 6 მოხსნით გამოიჩინა თავი.

"ლეიკერსი" თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში 10 და მეტი ქულით იგებდა, თუმცა ძირითადის დასრულებამდე 1 წუთითა და 55 წამით ადრე **ჯამალ კროუფორდმა** სამიანით ჩამორჩენა მინიმუმამდე (90:91) შეამცირა და როდესაც კალიფორნიელთა ახალგაზრდა ცენტრმა, **უილ ბინუმმა** გარბენი გააკეთა, მასპინძლებს წინ გასვლის შანსიც მიეცათ. იმავე კროუფორდმა საშუალო სროლა გააფუჭა და საფინალო სირენამდე 55 წამით ადრე კობიმ სხვაობა სამ ქულამდე გაზარდა.

"ლეიკერსმა" ეს მატჩი ერთ-ერთი ლიდერის, **ლიუკ უოლტონის** (7.7 ქულა, 3.7 მოხსნა, 3.3 შედეგიანი გადაცემა) გარეშე ჩაატარა, მაგრამ დასავლელებმა მატჩი მაინც თავის სასარგებლოდ დაასრულეს.

სხვათა შორის, კობისთვის ეს 2006 წლის 31 იანვრის შემდეგ პირველი მედისონური ვიზიტი იყო. წინა ჯახი მან ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, ხოლო სასჯელი კი ბრაიანტს **მანუ ჯინობილისთვის** ცხვირის გატეხვის გამო გამოუტანეს.

*"ნიუ იორკი განსაკუთრებული ადგილია და არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ "მედისონ სკვერ გარდენის" ფიცარნაგზე გასვლა ყველა მოთამაშისთვის განსაკუთრებულია. Mხარული ვარ, რომ 20 000 ქულას სწორედ ამ დარბაზში მივაღწია"*, - აღნიშნა მასმედიელებთან საუბარში გახარებულმა კობიმ, რომელიც ამ სეზონში ერთ მატჩში საშუალოდ 27.1 ქულას უყრის თავს.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ნიუ იორკი-ლეიკერსი 90:95**

**21:31, 16:24, 24:20, 29:20**

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (31 ქ. 4 პ), ნ. რობინსონი (16 ქ. 9 მ), ლი (12 ქ. 13 მ), ზ. რენდოლფი (11 ქ. 10 მ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (39 ქ. 11 მ. 8 პ. 2 ჩ), ბინუმი (13 ქ. 8 მ. 2 დ), ოდომი (9 ქ. 6 მ).

**დეტროიტი-ჰიუსტონი 94:82**

**25:22, 26:22, 27:16, 16:22**

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (17 ქ. 6 პ), რ. უოლასი (14 ქ. 10 მ), მაქსიელი (14 ქ), პრინსი (13 ქ. 5 მ), მაკდაიესი (12 ქ. 3 ჩ. 2 პ), ბილაპსი (8 ქ. 8 პ).

**ჰიუსტონი:** სკოლა (18 ქ. 9 მ), მაკგრეიდი (14 ქ), მინი (12 ქ. 5 მ. 3 პ), ბრუკსი (12 ქ), ჰედი (11 ქ).

**კლივლენდი-გოლდ. სტ 96:105**

**22:38, 28:25, 17:28, 29:14**

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (25 ქ. 8 პ. 5 მ), ილგაუსკასი (20 ქ. 5 მ. 2 დ), გიბსონი (13 ქ. 5 მ. 5 პ), დ. ბრაუნი (10 ქ. 7 მ. 2 ჩ), ვარეჟაო (7 ქ. 11 მ).

**გოლდენ სტეიტი:** ს. ჯექსონი (29 ქ. 5 მ. 3 პ), ბ. დევისი (27 ქ. 10 პ. 5 მ. 4 ჩ), მ. ელისი (19 ქ. 4 ჩ), ე. ჰარინგტონი (16 ქ. 9 მ), ბიედრინსი (9 ქ. 12 მ. 2 ჩ. 2 დ).

**ბოსტონი-ორლანდო 103:91**

**27:21, 22:21, 29:22, 25:27**

**ბოსტონი:** პირსი (24 ქ. 6 პ), რონდო (23 ქ. 6 პ. 4 მ. 4 ჩ), რ. ალენი (22 ქ. 4 პ), გარნეტი (21 ქ. 12 მ. 5 პ. 3 დ).

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (23 ქ. 14 მ. 4 პ. 2 დ), თურქოღლუ (19 ქ. 5 მ. 3 პ), რ. ლიუისი (15 ქ), მ. ევანსი (10 ქ).

**საკრამენტო-დენვერი 105:106**

**31:23, 35:28, 21:26, 18:29**

**საკრამენტო:** არტესტი (24 ქ. 9 მ. 8 პ. 4 ჩ), ბ. მილერი (22 ქ. 8 მ. 4 პ. 3 ჩ), სალმონსი (14 ქ. 6 მ. 3 პ), გარსია (12 ქ. 7 მ. 2 ჩ), უდრიხი (12 ქ. 5 მ), მური (11 ქ. 5 მ. 3 დ. 2 პ).

**დენვერი:** ენტონი (30 ქ. 12 მ. 2 პ. 2 დ), აივერსონი (21 ქ. 6 პ. 3 ჩ), კემბი (19 ქ. 14 მ. 3 დ. 2 პ), ჯეი. არ . სმიტი (14 ქ), კლეიზა (12 ქ. 9 მ. 3 პ. 2 დ), ნახერა (5 ქ. 11 მ. 2 დ).



ეროვნული ბიბლიოთეკა

**25 დეკემბერი. სამშაბათი**

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
**15:10** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:10** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:25** გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
**19:15** გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
**21:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:20** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
**00:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:25** გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.

### SPORT 1 (უკრაინა)

**08:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**09:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:00** სპორტკლუბი.
**11:05** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ჩელსი.
**13:47** ფეხბურთი. Barca TV.
**13:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ვალენსია.
**15:41** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩინეთი. მიმოხილვა.
**16:38** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**17:11** მხატვრული ტანვარჯიში. საერთაშორისო ტურნირი. პეკინი. ჩინეთი.
**18:20** სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
**18:48** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**19:18** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ლევერკუზენი.
**20:57** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი.
**22:45** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**23:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**00:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-მილანი.
**02:15** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**02:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**03:23** ფეხბურთი. Barca TV.
**03:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**04:00** სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
**04:28** ფეხბურთი. Barca TV.
**04:34** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ვალენსია.
**06:19** მხატვრული ტანვარჯიში. საერთაშორისო ტურნირი. პეკინი. ჩინეთი.
**07:29** სპორტის სამყარო.

### EUROSPORT

**11:30** მულტისპორტი.
**14:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**14:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია.
**15:45** გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
**16:15** მულტისპოტი.
**17:15** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**18:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
**19:00** მულტისპოტი.
**20:00** ფეხბურთი. უეფას თასის კლასიკა. ლივერპული-ალავესი. 2000-2001.
**21:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. ბაიერნი-ვალენსია. 2000-2001.
**22:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
**23:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**23:45** პროფესიული კრივი. ავსტრია.
**02:00** რესტლინგი.

### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** მულტისპორტი.
**13:30** ბოულინგი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი.
**14:30** მულტისპორტი.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** მულტისპორტი.
**17:30** დართსი. მსოფლიოს თასი. ფინალი. ჰოლანდია.
**18:30** მულტისპორტი.
**19:00** ბოულინგი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი.
**20:00** მულტისპორტი.
**20:30** რესტლინგი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ექსტრემალური სპორტი.
**22:30** მულტისპორტი.
**23:00** ახალი ამბები.
**23:30** ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. სეზონის მიმოხილვა.
**00:30** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**01:30** მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**02:30** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**03:30** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ჰოკეი**

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| სევერსტალი-მეტალურგი (ნ) | 1:1 |
| აკ ბარსი-ვიტიაზი | 1:1 |
| დინამო-ავანგარდი | 6:1 |
| ლოკომოტივი-სიბირი | 4:3 |
| ნეფტეხიმიკი-ამური | 3:3 |
| სკა-ტრაქტორი | 3:2 |
| ტორპედო-ლადა | 3:1 |
| ხიმიკი-მეტალურგი (მ) | 1:3 |
| მვდ-სპარტაკი | 2:2 |
| ცსკა-ს. იულაევი | 2:2 |

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**პიტსბურგი-ბოსტონი 4:2**

**0:1, 3:0, 1:1**

**გოლები:** 0:1 აქსელსონი-6 (ხარა-16, სავარი-31), 1:1 გ. რობერტსი-2 (ლარაკი-6, ე. კრისტენსენი-5), 2:1 მალკინი-14 (ჯ. სტაალი-6, გონჩარი-23), 3:1 ლარაკი-2 (გ. რობერტსი-12, ე. კრისტენსენი-6), 3:2 ნოკელაინენი-4 (შეფერი-11, ლაშოფი-1), 4:2 გ. რობერტსი-3 (კროსბი-32, კ. არმსტორნგი-10).

**კოლამბუსი-ნეშვილი 1:3**

**0:0, 0:1, 1:2**

**გოლები:** 0:1 ლეგვანდი-8 (კოისტინენი-4, ჟიდლიცკი-16), 1:1 ფრიტშე-5 (გლენკროსი-5, ნოვოტნი-8), 1:2 დუმონი-10 (ტუტუ-6, არნოტი-17), 1:3 ორტმაიერი-3 (ბონკი-4, ჰამჰუისი-11).

**სენტ ლუისი-ატლანტა 2:3 (ო)**

**0:0, 1:1, 1:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 ჯეკმენი-1 (ტკაჩუკი-20, პერონი-7), 1:1 კოვალჩუკი-29 (ენსტრიომი-17, რეკი-10), 2:1 ტკაჩუკი-9 (ე. ჯონსონი-10, ე. მაკდონალდი-16), 2:2 რეკი-6 (ენსტრიომი-18, მარიან ჰოსა-22), 2:3 მარიან ჰოსა-13 (პერენი-15, ჰაველიდი-10).

**კალგარი-ნიუ ჯერსი 0:1 (ო)**

**0:0, 0:0, 0:0, 0:1**

**გოლი:** 0:1 ელიაში-8 (ჯონტა-15).

**დალასი-მონრეალი 4:1**

**2:0, 0:0, 2:1**

**გოლები:** 1:0 მიეტინენი-7 (რიბეირო-19, ნისკანენი-11), 2:0 მოროუ-13 (რიბეირო-20, მიეტინენი-8), 3:0 რიბეირო-19, 4:0 ბარნსი-2 (ჰალპერნი-4), 4:1 ა. მარკოვი-9 (ს. კასტიცინი-2, ა. კასტიცინი-11).

**ჩიკაგო-ედმონტონი 3:2**

**1:2, 1:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 სიბრუკი-4 (ვიშნიევსკი-7, მ. ლაპოინტი-3), 1:1 გილბერტი-6 (კოლიანო-11, რ. ნილსონი-12), 1:2 პენერი-10, 2:2 შარპი-18 (კეინი-25, სოპელი-10), 3:2 სიბრუკი-5 (ლანგი-18, კონტიოლა-2).

**რეინჯერსი-ოტავა 1:3**

**1:1, 0:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 გომესი-9 (იაგრი-20, სტრაკა-8), 1:1 სპეცა-12 (ალფრედსონი-26, რიჩარდსონი-3), 1:2 კელი-7 (დონოვანი-2, ვერმეტი-14), 1:3 მ. ფიშერი-9.

**კოლორადო-ვანკუვერი 3:1**

**0:0, 1:1, 2:0**

**გოლები:** 1:0 სვატოსი-12 (ჰლინკა-8), 1:1 პიატი-8 (რიტჩი-3, ჯეფრეი-2), 2:1 მაკორმიკი-2 (გიტი-7, ლაპერიერი-6), 3:1 ბრუნეტი-6 (ლაილსი-13, სვატოსი-2).



კალათბურთი

## სერბეთი ივკოვიჩს ჩააბარეს

წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე განცდილი კრახის შემდეგ, სერბეთის ეროვნული ნაკრები კარგა ხანი უმწვრთნელოდ იყო დარჩენილი. გუშინ კი, Eurosport-მა გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ სერბების ახალი დამრიგებელი გახდა საყოველთაოდ ცნობილი სპეციალისტი **დუშან ივკოვიჩი**. მოგვიანებით, ეს ცნობა სერბეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **დრაგან კაპიჩიჩმაც** დაადასტურა.

ბოლო წლებში, ივკოვიჩი რუსეთში მუშაობდა, სადაც ჯერ ცსკა-ს და შემდეგ მოსკოვის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი იყო.

## ბრაუნი დეკემბრის ლაურეატია

კაუნასის "ჟალგირისის" ამერიკელი მცველი **მარკუს ბრაუნი** ევროლიგის თვის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

euroleague.net-ის ინფორმაციით, დეკემბერში ბრაუნმა 3 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ შეხვედრაში 24.6 ქულას აგროვებდა (საუკეთესო მაჩვენებელი ლიგაში). ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ თამაშებში ბრაუნმა 19 სამქულიანი ესროლა და აქედან 15-ჯერ (!) ზუსტად, რითაც რეალიზაციის ფანტასტიკური პროცენტი დააფიქსირა - 79.0.

## დრობნიაკი ბეშიქთაშში გადავიდა

თურქეთის "ბეშიქთაშმა" კონტრაქტი გააფორმა სერბ ცენტრალურ თავდამსხმელთან **პრედრაგ დრობნიაკთან** (32 წლის, 212 სმ). ამის შესახებ კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

შეგახსენებთ, რომ ვეტერანი კალათბურთელი გასულ კვირას შეუთანხმდა ესპანეთის "ხირონას" კონტრაქტის განყვეტის თაობაზე. დრობნიაკმა სწორედ ამ კლუბში დაიწყო წლევანდელი სეზონი.

ფორმულა 1

## რალფმა მენეჯერი დაითხოვა

"ტოიოტადან" დათხოვნილმა გერმანელმა პილოტმა **რალფ შუმახერმა** თანამშრომლობა შეწყვიტა თავის მენეჯერ **ჰანს მართან**. არაოფიციალური ინფორმაციით, ამის მიზეზი გახდა უმცროსი შუმახერის ბუნდოვანი მომავალი. როგორც იცით, რალფი დღემდე უგუნდოდ არის დარჩენილი და ფორმულა 1-ში მის კარიერას სერიოზული საფრთხე დაემუქრა.

სავარაუდოდ, გერმანელს 2008 წლის სეზონი გაუცდება.

გამოკითხვა

## გერმანელთა რჩეულები

გერმანიამ 2007 წლის ლაურეატები გამოავლინა. ქვეყნის ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად, ქალთა შორის წლის საუკეთესო სპორტსმენად ბიატლონში მსოფლიო ჩემპიონი **მაგდალენა ნოინერი** გამოცხადდა. მამაკაცებს შორის ანალოგიური პრიზი ტანმოვარჯიშე **ფაბიან ჰამბიუხენს** ერგო, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ორძელზე გამოსვლისას მოიპოვა. ჯილდოების გადაცემის ცერემონია ქალაქ ბადენ-ბადენში გაიმართა.

წლის გუნდი გახდა გერმანიის მამაკაც ხელბურთელთა ნაკრები, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ამ ნომინაციაში გამარჯვებულს სულ 50 ქულით ჩამორჩა ქალთა საფეხბურთო ნაკრები - ამ კოლექტივმაც პლანეტის საუკეთესო გუნდის ტიტული მოიპოვა.

ნოინერი ყველაზე ახალგაზრდა ბიატლონისტია, რომელმაც ერთ მსოფლიო ჩემპიონატზე ერთბაშად სამი ოქრო მოიპოვა. 20 წლის სპორტსმენს 3410 ხმა მისცეს, ბადროს მტყორცნელ **ფრანკი დიტცშს** 2373 ხმა ერგო.

მამაკაცთა შორის რჩეულმა ჰამბიუხენმა, სპორტულ ტანვარჯიშში გერმანიას 10-წლიანი შესვენების შემდეგ მოუტანა ოქროს მედალი. ტანმოვარჯიშემ 4575 ხმა მოიპოვა, რითაც დიდი უპირატესობით გაუსწრო მაგიდის ჩოგბურთელ **ტიმო ბოლს** (1614) და NBA-ის ვარსკვლავ **დირკ ნოვიცკის** (1530).

# საუკუნის პროცესი

ეს იყო ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული დანაშაული, რასაც არანაკლებ გახმაურებული სასამართლო პროცესი მოყვა. 1994 წელს, ამერიკელ მსახიობსა და ფეხბურთელს, ო ჯეის სიმპსონს ცოლისა და მისი მეგობრის, რონალდ გოლდმანის მკვლელობისთვის ასამართლებდნენ. იმ საღამოს, ო ჯეი ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა შინ და თავისი მეუღლე მეგობარი ფეხბურთელის მკლავებში იხილა. გაცოფებულმა სიმპსონმა დანა აიღო და საყვარლებს უამრავი ჭრილობა მიაყენა, რის გამოც ორივენი დაიღუპნენ. მკვლელმა სახლში ბევრი კვალი დატოვა. მის მანქანაში სისხლიანი ხელთათმანიც იპოვნეს და გამოძიებამ დაადგინა, რომ ის სიმპსონს ეკუთვნოდა, ხოლო მასზე აღმოჩენილი სისხლის კვალი, მოკლული მეუღლის სისხლის ჯგუფისა იყო. სიმპსონმა გაქცევა სცადა, მაგრამ პოლიციამ დააკავა.

1994 წლის 26 სექტემბერს, ლოს ანჯელესის სასამართლოში დაიწყო პროცესი, რომელიც ცხრა თვე გრძელდებოდა. საბოლოოდ, ნაფიცმა მსაჯულებმა, რომლებიც თითქმის მთლიანად შავკანიანებისგან და ლათინოამერიკელებისგან შედგებოდა, ო ჯეი გაამართლა. ერთადერთი სასჯელი, რაც ყოფილმა ფეხბურთელმა მიიღო, 67 მილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმა იყო, რომელიც მან დაღუპულთა ოჯახებს გადაუხადა.

1994 წლის 12 ივნისს, გვიან ღამით ორი ადამიანი მოკლეს. ერთ-ერთი ცნობილი სპორტსმენის, მსახიობისა და მილიონერის, **ო ჯეი სიმპსონის** ყოფილი მეუღლე **ნიკოლ ბრაუნ-სიმპსონი** იყო. მეორე მისი მეგობარი **რონალდ გოლდმანი**. პოლიციამ ამ მკვლელობებში სიმპსონი დაადანაშაულა. იმის ნაცვლად, რომ პოლიციას ჩაბარებოდა, სიმპსონი თავის ძველ მეგობართან ერთად დედამისის სახლში გაიქცა. პოლიცია დისტანციას იცავდა, რადგან ყოფილ ფეხბურთელს საფეთქელზე პისტოლეტი ჰქონდა მიბჯენილი. მან წერილი დატოვა, რომელშიც თვითმკვლელობით იმუქრებოდა. რამდენიმე საათის შემდეგ, როცა სიმპსონი დედის სახლთან მივიდა, პოლიციამ მისი დაყოლიებაშეძლო . ო ჯეი მანქანიდან გადმოვიდა და ის მაშინვე დააპატიმრეს. ასეთია მოკლე შინაარსი იმ მოვლენებისა, რომელიც წინ უძღოდა სასამართლო პროცესს.

## მკვლელობა

1994 წლის 12 ივნისს ნიკოლ ბრაუნი ლოს ანჯელესის ცნობილ რესტორანში ვახშმობდა. მას იქ შემთხვევით სათვალე დარჩა და ოფიციანტმა რონალდ გოლდმანმა პირადად ითავა ნივთის პატრონისთვის დაბრუნება. გოლდმანი ნიკოლის მეგობარი იყო. ზუსტად როდის მოხდა მკვლელობა, ეს სასამართლო გარჩევისას გადამწყვეტი მომენტი გახდა. ერთი საათით ადრე ან ერთი საათით გვიან - სწორედ ამას უნდა გაერკვია, ჩაიდინა თუ არა ეს მკვლელობა ო ჯეი სიმპსონმა.

დანაშაული ნიკოლ სიმპსონის რეზიდენციაში მოხდა. მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით იყო ჩადენილი. ორი ადამიანი დანით გამოასალმეს სიცოცხლეს. ყელის გასწვრივ საშინელი ჭრილობით, ნიკოლის თავი თითქმის დაშორებული იყო სხეულს. მას სხვა ადგილებზეც ჰქონდა ჭრილობები. გოლდმანს ყელის, მკერდისა და მუცლის არეში აღენიშნებოდა რამდენიმე სასიკვდილო იარა. მას სახეც დასერილი ჰქონდა.

გვამები შუაღამის შემდეგ მეზობელმა აღმოაჩინა, რომელიც თავის ძაღლთან ერთად ქუჩაში სასეირნოდ გავიდა. პოლიციამ გამოძიება დაიწყო და სასამართლოზე დაცვისა და ბრალდების მხარისთვის, სწორედ ეს გამოძიება გახდა მთავარი განხილვის საგანი. ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი. მაგრამ თავიდანვე, საქმეს ისეთი მსვლელობა არ მისცემია, როგორც ეს ამერიკაში, ჩვეულებრივ სხვა მკვლელობების დროს ხდება. ამის მიზეზი იყო ის, თუ ვინ გახლდათ ერთდროს ნიკოლ სიმპსონის ქმარი.

## ადამიანი

ორენტელ ჯეიმს სიმპსონი - ამერიკული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი. ამერიკელებს ძალიან უყვართ უცხოელებისთვის მისი და მისთანების ისტორიის მოყოლა. ამით ისინი მიგვანიშნებენ, რომ ამერიკაში ნებისმიერს შეუძლია თავისი ნიჭის წყალობით მწვერვალს მიაღწიოს. სან ფრანცისკოს ღარიბ კვარტალში გაზრდილმა ო ჯეიმ, რომელსაც ფეხებთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, თავად შექმნა ამერიკული ლეგენდა. ის სუპერვარსკვლავი გახდა.

სიმპატიური, ყოველთვის კეთილგანწყობილი, მომღიმარი, რომელიც მუდმივად მზად იყო ავტოგრაფის ან ინტერვიუს მისაცემად. არასოდეს ყოფილა ქედმაღალი და ცხვირაწეული როგორც ეს დღევანდელი ვარსკვლავების შემთხვევაში ხდება. მას შემდეგ, რაც მისი სპორტული კარიერა დასრულდა, სხვა სუპერვარსკვლავებისგან განსხვავებით დეპრესია არ ჰქონია. პირიქით, ავტომობილების გამქირავებელი კომპანიის წარმომადგენლის როლში, ის უფრო პოპულარული გახდა. გარდა ამისა, სხვა რეკლამებითაც იყო დაკავებული. შემდეგ ტელევიზიაში კომენტატორი გახდა. დაიწყო მსახიობის კარიერა და ამ ფრონტზე განსაკუთრებით პოპულარული "შიშველი პისტოლეტის" ტიპის ფილმებში გახდა. ის მუდმივად ინარჩუნებდა სუპერდადებითი, სუპერჭკვიანი და სუპერმილიონერის იმიჯს.

მაგრამ ამ იმიჯში ბოლომდე ყველაფერი ვერ ჯდებოდა. მართალია, ის ყოველთვის დიდი მზრუნველობით ეპყრობოდა დედამისს და არასოდეს ტოვებდა განსაცდელში თავის მეგობრებს, მაგრამ ო ჯეის "ანგარიშზე" იყო აგრეთვე არცთუ ისე კარგი დამოკიდებულება პირველ ცოლთან, რომელსაც ო ჯეი მაშინ გაეყარა, როცა უბედურება შეემთხვა მათ პატარა ქალიშვილს - ეს უკანასკნელი მათი სახლის აუზში დაიხრჩო. სიმპსონმა ნიკოლთან ურთიერთობა 1977 წელს, ჯერ კიდევ ცოლიანმა დაიწყო. 1985 წელს იქორწინეს, 1992-ში დაშორდნენ ერთმანეთს. როგორც ამბობდნენ, მათი ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული იყო. სიმპსონის მკვლელობაში დადანაშაულების შემდეგ ცნობილი გახდა ნიკოლ სიმპსონის მიერ 1989 წელს პოლიციის გამოძახების ფაქტი. მან დარეკა და დახმარება ითხოვა, ვინაიდან ო ჯეი ცოლს მოკვლით დაემუქრა. ადგილზე მისულ პოლიციელებს ქალი ნაცემი დახვდათ. მოგვიანებით, ცოლმა მოხსნა ბრალდება და სასამართლომ ფეხბურთელს პასუხი ვერ აგებინა. და ეს არ იყო ერთეული შემთხვევა.

მაშ ასე, ლოს ანჯელესის პოლიციას უკვე ჰქონდა სიმპსონის აგრესიული ქცევის მაგალითები. ამასთან, ამერიკაში მკვლელობათა დიდ ნაწილს ოჯახური წარმომავლობა აქვს. ამან პოლიციას მაშინვე მისცა სიმპსონზე ეჭვის აღების საფუძველი, თუმცა საზოგადოებას თავიდან არაფერი შეატყობინეს: ო ჯეი ხომ ვარსკვლავი იყო. მაგრამ ბუნებრივია, მკვლელობამ პრესის ყურადღება მიიპყრო და ინფორმაციის გაჟონვა თავიდან ვერ აიცილეს. უკვე ისმოდა გაკვირვებული კითხვები: როდის აიყვანენ სიმპსონს? ბევრს გმირის მიმართ სიბრალულის გრძნობა გაუჩნდა. ამის შემდეგ კი, მათი ყურადღება ახალი ამბების ყოველდღიური ბლოკის მისამართით გადაერთო.

## დევნა

ყველაფერი პოლიციელებისგან უშედეგო გაქცევის შემდეგ შეიცვალა. სინამდვილეში, ეს არასოდეს განუხილავთ, როგორც სიმპსონის მხრიდან გაქცევის მცდელობა. პოლიციას მისი დაჭერა ნებისმიერ მომენტში შეეძლო, მაგრამ ეს იმიტომ არ გააკეთა, რომ დევნის დროს, ო ჯეი თავის მოკვლას აპირებდა და პოლიციას მისი პროვოცირების შეეშინდა. ისინი ელოდნენ, თუ როდის ჩაბარდებოდა ის პოლიციას. მაგრამ ამის ნაცვლად, სიმპსონმა გაქცევა გადაწყვიტა, მანამდე კი, დედის მონახულება განიზრახა.

ო ჯეის ძველმა მეგობარმა **ელ კოლინზმა,** სიმპსონის ჯიპი ყოფილი ფეხბურთელის დედის სახლთან მიიყვანა. ის ძალიან ნელა მიდიოდა და პოლიცია (დიდი რაოდენობით) ასევე ნელა მიჰყვებოდა მას, რადგან სიმპსონს საფეთქელთან პისტოლეტი ჰქონდა მიბჯენილი. თანაც, ფეხბურთელის მეორე მეგობარს უკვე მიტანილი ჰქონდა პოლიციის წარმომადგენლებისთვის სიმპსონის წერილი, რომელიც ძალიან ჰგავდა უკანასკნელ "მაპატიეს" და ამიტომაც, პოლიციას ძალიან ეშინოდა, რომ ო ჯეი მანქანაში თავს მოიკლავდა. ასევე ფიქრობდა პრესა. ყველა საინფორმაციო სააგენტომ ვიდეოკამერებით აღჭურვილი ვერტმფრენები დაიქირავა და კორესპონდენტები ამ დევნის გასაშუქებლად გაუშვა. შეიქმნა ერთგვარი ქარავანი, რომელსაც წინ სიმპსონის ჯიპი მიუძღოდა - მარშრუტი ლოს ანჯელესიდან ო ჯეის დედის სახლამდე გადიოდა. ხალხი ქუჩაში გამოეფინა და სიმპსონს ამხნევებდა. საბოლოოდ, ჯიპი ფეხბურთელის დედის სახლთან მივიდა. პოლიცია ო ჯეის მანქანიდან გადმოსვლას და პისტოლეტის დაშვებას სთხოვდა. ბოლოს და ბოლოს, სამართალდამცავებმა შეძლეს ფეხბურთელის დარწმუნება და მთელმა ამერიკამ შვებით ამოისუნთქა.




## მასმედია

ამ ისტორიის გასაშუქებლად უამრავი რეპორტაჟი მომზადდა. სალად მოაზროვნე ადამიანისთვის, ეს აშკარად გადამეტებული რაოდენობა იყო, ამერიკელისთვის კი, სავსებით საკმარისი, რადგან მათ განსაკუთრებული სიყვარული ახასიათებთ ყველაფერი სკანდალურისა და სენსაციურისადმი, მით უმეტეს, თუ საქმე ცნობილ ადამიანს ეხება. პრესა არაჯანსაღ აჟიოტაჟს ქმნიდა. მოკლულების და ეჭვმიტანილის პირადი ცხოვრება, გაცხარებული დებატების საგანი გახდა. ჟურნალები და ტელეკომენტატორები ცოლების ცემის, შერეული ქორწინებების, პოპულარობის მძიმე ხვედრის საკითხებში სპეციალიზირდებოდნენ, ანუ ყველაფერ იმაში, რაც ამ ინციდენტს შეიძლებოდა დაკავშირებოდა. პრესის მასალების მიხედვით, ქვეყანას ის უფრო აღელვებდა, თუ როგორ ახასიათებდა ეს შემთხვევა ამერიკელებს, როგორც ერს.

დაიწყო ეროვნული ეპიდემია, სახელად ო ჯეი: პრაქტიკულად ყველა, იმის მიუხედავად, თვლიდა თუ არა ის სიმპსონს დამნაშავედ, ყველაფერში საზოგადოების დადანაშაულებას ცდილობდა. ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის უამრავი გამოკითხვა, რომელმაც ერთი კანონზომიერება გამოავლინა: თეთრების უმეტესი ნაწილი ო ჯეის დამნაშავედ მიიჩნევდა, იმ დროს, როცა ზანგების უმრავლესობას ფეხბურთელის უდანაშაულობა სჯეროდა. კვლავ წამოყო თავი რასიზმის პრობლემებმა, რომელმაც მოგვიანებით, ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა. ლოს ანჯელესის სასამართლო პანიკამ მოიცვა. სად უნდა ეპოვნათ 12 ნაფიცი მსაჯული, რომლებსაც ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ობიექტური აზრი ექნებოდათ? ამის შანსი არ არსებობდა - ყველას თავისი აზრი გაჩნდა, თანაც უმეტეს შემთხვევაში ეს აზრი პრესის მასობრივი საშუალებების მიერ იყო თავსმოხვეული.

*(დასასრული იქნება)*






სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52; 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა